ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მარტი შაბათი 2012 №076 (13682) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაი, ნახეთ რა შეგვიძლია



საქართველო-ინგლისი 1:0

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ელენე გედევანიშვილი

10

## აქვს ელენეს მსოფლიოს გაოცების შანსი?

# თავისუფლად!

დღეს ქართველი მოციგურავე თავისუფალი პროგრამით მედლისთვის იბრძოლებს

## დავამტკიცოთ, რომ...

U 17 საქართველო კრაინაზე კეთესია

2



## მარტმა კუდი დორტმუნდში მოიქნია

ინვიმა და რა ინვიმა: 4:4!

შტუტგარტმა ბაიერნის საქმე გააკეთა

6



ჟოზე მოურინიო

9

## მოურინიო: ჩემი CITY მადრიდია

სიტიმ მოეს საიდან არ მოუარა, მაგრამ ჟოზემ იუარა

ქართული ფეხბურთი

U17. ელიტრაუნდი. ბოლო ტურის წინათქმა



საქართველო-ინგლისი 1:0

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა!

## დღეს ისტორია უნდა დაიწეროს

"ესპანეთი-ინგლისის სანახავად აუცილებლად წავალ", - ასეთი იყო ბევრი ქართველი ქომაგის რეაქცია მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს "სიკვდილის ჯგუფი" ერგო და იმის მიუხედავად, რომ ელიტრაუნდის მასპინძლობა მოგვანდეს, ჩვენი გუნდის შანსებს თითქმის ყველა ძალიან სკეპტიკურად აფასებდა.

დღეისთვის კი ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ეროვნულ სტადიონზე ესპანელებისა და ინგლისელების დაპირისპირება ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩაივლის, სამაგიეროდ, "მიხეილ მესხზე", გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიული მატჩის მოწმენი გავხდებით – თუ **ვასილ მაისურაძის** გუნდი უკრაინელებს დაამარცხებს, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს!

ვფიქრობთ, ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტიც კი არის. მხოლოდ იმას უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ახლა ჩვენს ბიჭებს ქომაგთა გამხნევება ყველაზე მეტად სჭირდებათ და დიდი იმედი გვაქვს, რომ სტადიონის ტრიბუნები პირთამდე თუ არა, ორი მესამედით მაინც შეივსება. თუკი ელიტრაუნდის პირველი ორი ტურის მატჩები სამუშაო დღეებში გაიმართა, დღევანდელი დღე უქმეა, თანაც, სტადიონზე შესვლა თავისუფალია და ყოველივე ეს, შესაძლოა, ანშლაგის წინაპირობადაც კი იქცეს.

დარწმუნებულები ვართ, სამწვრთნელო შტაბი გუნდს საბრძოლო განწყობით ახლაც იდეალურად დამუხტავს და ბიჭებს დაარწმუნებს, რომ ხელშესახები წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ და უკრაინასთანაც არანაკლებ მძიმე ბრძოლა ელით – თუნდაც იმიტომ, რომ მართალია მცირე, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჩვენს დღევანდელ მეტოქესაც დარჩა.

შანსებზე ქვემოთ, ახლა კი მოკლედ შევეხოთ საქართველოსა და უკრაინის ნაკრებების ბანაკში შექმნილ ვითარებას. **ალექსანდრ პეტრაკოვის** გუნდს წითელ-ყვითელი ბარათების გამო არავინ აკლია. უკრაინელებს უბრუნდებათ პირველ ტურში გაძევებული ძირითადი მცველი **ტარას კაჩარაბა**.

სამაგიეროდ, ელიტრაუნდის ბოლო ტურს დიდი დანაკლისით ხვდება საქართველოს ნაკრები. ჩვენს გუნდს, სავარაუდოდ, დააკლდება კაპიტანი **გიორგი აბურჯანია**, რომელიც პირველ ტურში, ესპანეთთან მატჩისას დაშავდა და მას შემდეგ აღარ უთამაშია. აბურჯანიასთან დაკავშირებით სხვა საინტერესო დეტალებიც იკვეთება, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრის წინ ამაზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამ თემას ელიტრაუნდის დასრულების შემდეგ მივუბრუნდებით.

გაფრთხილებათა ჭარბი რაოდენობის გამო კი საქართველოს ნაკრებს მცველი **ლაშა დვალი** და ნახევარმცველები, **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი** და **გიორგი გოროზია** დააკლდებიან. სამივე ეს ფეხბურთელი ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და სამწვრთნელო შტაბისთვის მათი სრულფასოვნად შევსება იოლი ნამდვილად არ იქნება. ელიტრაუნდის მსვლელობისას 18-კაციან განაცხადში ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება და ისე გამოდის, რომ უკრაინასთან დაპირისპირების წინ მაისურაძის განკარგულებაში მხოლოდ 14 ფეხბურთელი რჩება, აქედან 2 – მეკარე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგ მოთამაშეს პოზიციის შეცვლა მოუწევს, სამწვრთნელო შტაბი კი მატჩისას სამ სრულფასოვან შეცვლასაც ვერ განახორციელებს. მოკლედ, საქართველოს ნაკრების ამოცანას საკადრო პრობლემები კიდევ უფრო ართულებს, მაგრამ ჩვენმა 17-წლამდელებმა უკვე იმდენი სირთულე გადალახეს, რომ დიდი იმედი გვაქვს, ამ რთული მდგომარეობიდანაც ღირსეულად გამოვლენ.

საქართველოსა და უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრებებისთვის ეს პირველი მატჩი არ იქნება. იანვარში ეს გუნდები ერთმანეთს მინსკის საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდნენ და გამარჯვება უკრაინელებს დარჩათ – 2:0.

დღევანდელ შეხვედრას ავსტრიელი **მარკუს ჰამეტერი** განსჯის.

ბოლოს კი გეტყვით, ჩვენი ჯგუფის რომელ ბინადარს ჯგუფში გამარჯვებისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რა შანსი აქვს.

**საქართველო:** დღეისთვის ჯგუფს ერთპიროვნულად ვლიდერობთ, რაც ყველაზე კომფორტულ მდგომარეობაში გვაყენებს – თუ უკრაინელები დავამარცხეთ, პარალელურად მიმდინარე მატჩის შედეგის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. ფრე ხელს გვაძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები და ესპანელებიც ფრედ ითამაშებენ, ამის იმედად ყოფნა კი, დაგვეთანხმებით, არ ღირს.

**უკრაინა:** უკრაინელებს მინიმუმ ორი ბურთის სხვაობით ან შედეგიანი გამარჯვება (2:1, 3:2...) სჭირდებათ და ამავდროულად, იმის იმედზე უნდა იყვნენ, რომ "დინამო არენაზე" მიმდინარე შეხვედრა ფრედ დასრულდება. ამ შემთხვევაში, საქართველოც, უკრაინაც და ინგლისიც 4-4 ქულას დააგროვებენ და რაკი ერთმანეთთან მოპოვებული ქულები თანაბრად ექნებათ, მერე უკვე მათი ურთიერთშეხვედრების ბურთები დაითვლება. უკრაინას ჩვენთან სოლიდური გამარჯვება სწორედ ამ კომპონენტში დასაწინაურებლად სჭირდება.

**ინგლისი:** ინგლისელთა ამოცანა მკაფიოა - მათ ფინალურ ეტაპზე ესპანელთა დამარცხება და საქართველოს ნაკრების ვერმოგება გაიყვანს.

**ესპანეთი:** ესპანელებს მხოლოდ გამარჯვება და ამავდროულად, ჩვენი ვერმოგება სჭირდებათ. თუ ესპანელებმა ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს, ბურთების უკეთესი სხვაობით ხუთქულიან საქართველოს ნაკრებს ნებისმიერ შემთხვევაში ჩამოიტოვებენ. საქართველო-უკრაინის ფრის შემთხვევაში, პირენეელებს დიდი ალბათობით, მინიმალური გამარჯვებაც ეყოფათ.

ერთი სიტყვით, სხვის იმედზე ყოფნა არაფერს გვარგებს, ჩვენმა მწვრთნელებმა და ბიჭებმა თავისი თავდადებით ორი ტურის შემდეგ ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს და შთამბეჭდავად დაწყებული საქმე სხვის დაუხმარებლად უნდა დააგვირგვინონ!

31 მარტი

14:00 მ. მესხი

საქართველო-უკრაინა

14:00 ეროვნული

ინგლისი-ესპანეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 3. ესპანეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

ლევან ჯანეზაშვილი

სიტუაცია

# თასის ფინალი ქუთაისში?



26 მაისს საქართველოს ეროვნული თასის მფლობელი უნდა გაირკვეს. მაგრამ, სად უნდა გაიმართოს ფინალური შეხვედრა, ჯერჯერობით უცნობია.

საერთოდ, მასპინძელი სტადიონის შერჩევის სხვადასხვა პრინციპი არსებობს: ზოგიერთ ქვეყანაში ფინალი ეროვნულ სტადიონზე იმართება, ზოგიერთგან კი ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობის უფლებას რეგიონებსაც აძლევენ.

საქართველო ამ უკანასკნელთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ თავიდან ფინალებს ეროვნული სტადიონი მასპინძლობდა. ბოლო წლებში კი ეროვნული და "მიხეილ მესხი" ენაცვლებოდნენ, წლევანდელი თასის ფინალი კი, შესაძლოა, ქუთაისში გაიმართოს.

ეს ინფორმაცია ქუთაისში ლამის ყველა გულშემატკივარმა იცის. საქმე ისაა, რომ წინასწარი ვარაუდით, საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა ქუთაისში სწორედ 26 მაისს უნდა გაიხსნას და შესაძლოა, სამხედრო აღლუმიც იქვე ჩატარდეს.

შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის ფედერაციაში ჯერ არ გადაუწყვეტიათ, სად გაიმართება თასის ფინალი. მაგრამ არის მოსაზრება, რომ ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მისი ჩატარება ქუთაისში უფრო მისაღები იქნება. გათვლა ისაა, რომ სტადიონზეც მეტი ხალხი მივა, მათ შორის, საპატიო სტუმრებიც, ეს კი ყოველთვის სასურველია.

საკითხის დაზუსტებას ფეხბურთის ფედერაციაში კომპეტენტურ ადამიანებთან ვცდილობდით, მაგრამ რატომღაც, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა, ფაქტია, რომ საკითხი მართლაც განიხილება და თასის გამარჯვებულის ქუთაისში გარკვევა სავსებით რეალურია.

მერაბ მამულაშვილი



2011 წელს საქართველოს თასი გაგრამ მოიპოვა

ფოტო: www.fcgagra.ge

დინამო

# ჩისკოს მალე გამოწერენ

თბილისის "დინამოსა" და გორის "დილას" შეხვედრა მასპინძლებმა 10 მოთამაშით დაასრულეს. მატჩის ბოლო წუთებზე დინამოელთა ესპანელმა ლეგიონერმა **ჩისკომ** ერთ-ერთ მცველთან შეჯახებისას გულ-მკერდის არეში ტკივილი იგრძნო და სასწრაფოდ ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას გამოკვლევები ჩაუტარეს.

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, გამოკვლევის შედეგად ჩისკოს გულ-მკერდის არის დაჟეჟილობა და ტვინის მსუბუქი შერყევა დაუდგინდა. თუმცა, გეგმიური შემოწმების შემდეგ, სავარაუდოდ, თბილისელთა ესპანელი ლეგიონერი ჰოსპიტალს დატოვებს.

მერაბ მამულაშვილი



ტრავმირებული ჩისკოს მდგომარეობით კლუბის მეპატრონე რომან ფიფიაც (მარცხნივ) დაინტერესდა

ფოტო: www.fcdinamo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრავმის შემდეგ

## დავით იმედაშვილი: საფუძვლიანი რეაბილიტაცია



დავით იმედაშვილი

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ გორის „დილას“ აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, **თემურ მახარაძემ დავით იმედაშვილის** დამატება გადაწყვიტა. საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე, „ლელოს“ ვერსიით 2009/10 წლების სეზონში საქართველოს საუკეთესო ნახევარმცველი 2010 წლის ზაფხულში ლენქორანის „ხაზარში“ ჩაირიცხა, მაგრამ მალე მენისკი დაიზიანა, სამი ოპერაცია გაიკეთა.და ამის გამო მოედანს ვერა და ვერ დაუბრუნდა.

იანვარში იმედაშვილი თურქეთში რეაბილიტაციას ასრულებდა და გორელებს შეკრებაზე ვერ გაჰყვა. თუმცა, თურქი ექიმის პასუხის შემდეგ, 27 წლის ნახევარმცველმა თებერვალში ინდივიდუალურად ვარჯიში განაახლა, ნელ-ნელა კი ჩვეულ დატვირთვაზე გადასვლას ცდილობდა და გორის "დილასაც" შეუერთდა. ამბობდა, დატვირთვებს კარგად ვეგუები და იმედოვნებდა, რომ მოედანს მალე დაუბრუნდებოდა.

მაგრამ გავიდა დრო და მისი გვარი არათუ "დილას" განაცხადში ვერ ამოვიკითხეთ, თურმე, გუნდშიც აღარ ვარჯიშობს. შევიტყვეთ, რომ მენისკმა კვლავ შეუქმნა მცირე პრობლემები და ვარჯიშისგან დროებით თავი შეიკავა – ასეთ დროს სიფრთხილეა საჭირო.

ფეხბურთელის თქმით, რეაბილიტაციის პროცესი თურქმა ექიმმა არასწორად დაუგეგმა და მკურნალობის დასრულებას ევროპელ ექიმთან აპირებს.

საქართველოს ჩემპიონატში იმედაშვილმა დაამტკიცა, რომ ჩვენი ნებისმიერი ლიდერი გუნდისათვის საინტერესო მოთამაშე იქნებოდა. ამიტომ, ორმაგად საწყენია, ნიჭიერი მოთამაშე ასე რომ განვალდა და ორი წელია ვერ თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ეროვნული ჩემპიონატი

## დაძაბული აპრილის მოლოდინში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატის მეორე ეტაპის მე-5 ტურის მატჩები, წესით, ხვალ უნდა გამართულიყო, მაგრამ რადგან ხუთშაბათს რამდენიმე გადადებული შეხვედრა ჩატარდა, მორიგმა ტურმა ორშაბათისთვის გადაიწია.

ტურის ვრცელ წინათქმას ორშაბათის ნომერში შემოგთავაზებთ, დღეს კი მხოლოდ 2 აპრილის წყვილებს გეტყვით:

| პლეი ოფი |
|---|
| მეტალურგი-ტორპედო |
| დინამო-კოლხეთი |
| ბაია-ზესტაფონი |
| დილა-მერანი |

| პლეი აუტი |
|---|
| გაგრა-მერცხალი |
| სიონი-სპარტაკი |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია |
| ბათუმი-გურია |

როგორც ხედავთ, ტურის ცენტრალური მატჩი რუსთავში გაიმართება "მეტალურგსა" და "ტორპედოს" შორის.

საერთოდ, აპრილი ძალიან დატვირთული თვე იქნება და სწორედ ეს დაძაბული გრაფიკი გვიჩვენებს, რომელ უმაღლესლიგელს რის ძალა შესწევს. დიდია იმის ალბათობა, რომ სადღაც აპრილის ბოლოსკენ საქართველოს ჩემპიონიც გამოვლინდეს.

მე-6 ტური კი ასევე ძალიან მალე, 6 აპრილს ჩატარდება. ამ დღის ცენტრალური დაპირისპირება "დინამო"-"მეტალურგი" იქნება, რომელიც ასევე ძალიან ბევრს გადაწყვეტს.

10 აპრილს საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩებია – "ზესტაფონი" "მეტალურგს" უმასპინძლებს, "გაგრა" კი – "დილას". ამავე დღეს ჩემპიონატის გადადებულ მატჩში "ტორპედო" "მერანს" შეხვდება.

15 აპრილს აღდგომაა, 14-ში კი მეორე ეტაპის პირველი წრე სრულდება.

18 აპრილს განმეორებითი სათასო შეხვედრებია, ჩემპიონატში კი აპრილის ბოლომდე კიდევ ორი ტურია – 21-22 და 28-29 რიცხვებში.

ერთი სიტყვით, აპრილი მიმდინარე სეზონში ძალიან ბევრ რამეს გაარკვევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**პლეი აუტი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 10 |
| 2 | სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 3 | ჩიხურა | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 4 | გაგრა | 4 | 1 | 2 | 1 | 5 | 4 | 5 |
| 5 | გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 6 | დინამო (ბთ) | 4 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 5 |
| 7 | სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 6 | 6 | 4 |
| 8 | მერცხალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 | 0 |

**პლეი ოფი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 18 | 11 | 5 | 2 | 31 | 14 | 38 |
| 2 | მეტალურგი | 18 | 10 | 2 | 6 | 26 | 21 | 32 |
| 3 | დინამო | 18 | 7 | 6 | 5 | 31 | 24 | 27 |
| 4 | ტორპედო | 17 | 7 | 5 | 5 | 18 | 14 | 26 |
| 5 | ბაია | 18 | 5 | 5 | 8 | 15 | 23 | 20 |
| 6 | კოლხეთი | 18 | 4 | 7 | 7 | 11 | 21 | 19 |
| 7 | დილა | 18 | 4 | 6 | 8 | 17 | 19 | 18 |
| 8 | მერანი | 17 | 4 | 2 | 11 | 15 | 28 | 14 |

## 1 კვირის 1000 წერილმანი

დავით თავართქილაძე



საქართველო-ესპანეთი 1:1

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ყველანი სტადიონზე!

2003 წელს რაგბიში, მსოფლიოს თასზე ინგლისის ნაკრებმა საქართველოს 84:6 მოუგო. შედეგი ჩვენთვის და ალბათ, არც არავისთვის, გასაკვირი არ იყო, თუმცა ინგლისელი ჟურნალისტები შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ. ერთ-ერთმა ბრიტანულმა გაზეთმა მატჩის რეპორტაჟს ასეთი სათაური დაარქვა - Well Done Georgia, ანუ „ყოჩაღ საქართველოს,“ ამაზე დიდი ანგარიშით რომ არ წააგო. ისეთი სათაურია, გინდ დაცინვად მიიღებ, გინდ ქებად, თუმცა ორაზროვნებაში სწორედაც რომ ირონია უფროა, ვიდრე სხვა რამე და სათაურიც არასასიამოვნო იყო ჩვენთვის.

ისიც მახსოვს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ინგლისს შინ რომ ეთამაშებოდა. თამაშამდე რამდენიმე ხნით ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ნოდარ ახალკაცმა**-უფროსმა პრესკონფერენცია გამართა და ინგლისელ ჟურნალისტებზეც ისაუბრა. ეს უფრო ლექცია იყო. ახალკაცმა ინგლისელი ჟურნალისტების თავისებურებებზეც ჩამოაგდო სიტყვა, მოკლედ და ამომწურავად დაგვიხასიათა ისინი.

როგორც კი სარაგბო ნაკრებზე ასეთი სათაური გამოგვიცხვეს, მყის ახალკაცის ბლიც-ლექცია გამახსენდა, სადად და ზუსტად თქმული სიტყვები.

სამი დღის წინ კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისი დაამარცხა. ჭაბუკების ფეხბურთი სხვა დონეა, მაგრამ გამარჯვებას აქაც მოაქვს სიხარული და სიამაყე.

ესპანეთი და ინგლისი - **ვასილ მაისურაძის** გუნდმა ორი ფინალი უკვე ითამაშა, დღეს მესამე ელის უკრაინასთან – თუ მოვიგეთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავალთ.

დიდი გული ჰქონიათ ჩვენს 17-წლამდელებს, სხვანაირად ორ ფინალს წარმატებით ვერ ითამაშებდნენ. ისინი უკვე მომავალს, საკუთარ თავს ქმნიან, დიდ ასპარეზზე არიან გასულები და დღეს მთელი ქვეყანა მათ უყურებს. რომ არა ინგლისთან მოგება, ასე ვერ იქნებოდა.

უკრაინის 17-წლამდელთა გუნდი დიდი კერკეტი რამეა. ესპანეთს კინაღამ მოუგო, ინგლისს კი ათი კაცით ეომებოდა. უკრაინა თავის მისხალ შანსს ჩაეჭიდება და ალბათ უფრო თავისუფლადაც ითამაშებს ჩვენთან. მაისურაძის გუნდის საქმე კი სხვანაირადაა – დღეს ხომ ეს გუნდი საქართველოს იმედია, დღევანდელი ახალი ამბები საქართველო – უკრაინათი დაიწყება.

ჩვენს თინეიჯერებს კაცური საქმისთვის ხალხის მხარდაჭერა დღეს ძალიან სჭირდებათ. ეს ის შემთხვევაა, როცა ხალხს მართლა ბევრი შეუძლია. სტადიონზე მისული ყოველი ქომაგი ფარი და ხმალია საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისთვის. მაისურაძის გუნდი ფინალურ ეტაპზე ხალხმაც უნდა გაიყვანოს, „მიხეილ მესხის" სტადიონი დღეს ერთიანი ბრძოლის ველია.

უკრაინის ნაკრები ორი დღის წინ „დინამო"-„დილას" მატჩს დაესწრო „დინამო არენაზე", ვინძლო დროის მოსაკლავად, ვინძლო იმის სანახავად, თუ როგორ თამაშობენ ფეხბურთს ქართველები. ბევრი რამე იცვლება, მაგრამ ასევე ბევრი რამ უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ინგლისთან გამუდმებით არ უტევდა, მაისურაძის ნაკრებმა მეტოქეს ქართულად მოუგო, გათამაშებული „კედელიცა" და გოლიც ქართულ გენს ჰგავდა.

ცოტა არ იყოს, პათეტიკური რალაცებიც გამერია. ესეც ჩვენი 17-წლამდელების ბრალი უნდა იყოს. მათ ფეხბურთში სიამაყე დაგვიბრუნეს ერთი გემრიელი გამარჯვებით.

ყველანი სტადიონზე!



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

■■■

17-წლამდელთა ელიტ რაუნდი უეფას ტურნირია და ორგანიზაციული მხარე დიდად მნიშვნელოვანი გახლავთ. საქართველო-ინგლისი რომ დასრულდა, გახარებული გულშემატკივარი მოედანზე გადავიდა. მათი შემჩერებელი არავინ იყო. კიდევ კარგი, მარცხი არავის მოსვლია, თუმცა ყოველთვის ასე არ გაგვიმართლებს. არ ვიცი, ფეხბურთის ფედერაციას ფული დაენანა დაცვის სამსახურის დასაქირავებლად თუ სხვა რამეში იყო საქმე, მაგრამ ასეთი რამ რომ არ უნდა მომხდარიყო, წყალი არ გაუვა. არც ის მგონია კარგი საქმე, სტადიონზე შესვლა უფასო რომ არის. რა თქმა უნდა, ფეხბურთი სახალხო სპორტია და ფეხბურთზე მისვლა ყველას უნდა შეეძლოს, მაგრამ ფეხბურთიც ისეთი სანახაობაა, რომლის ნახვაც ფული ღირს. პოპულისტური ჟესტები კი ფეხბურთისთვის რისი მომტანია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა

# ვასილ გიგიაძე: კარიერა დავასრულე!



**შარშან დეკემბერში უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ თავდამსხმელს, ვასილ გიგიაძეს სიმფეროპოლის "ტავრიამ" კონტრაქტი ალარ გაუგრძელა.**

**34 წლის ქართველი თავდამსხმელი იმედოვნებდა, რომ სხვა კლუბში ითამაშებდა, მაგრამ დაიწყო უკრაინაში სეზონი, გიგიაძე კი არსად ჩანდა.**

**გიგიაძე ორი დღის წინ, "ზესტაფონი" – "ტორპედოს" შეხვედრაზე ვნახეთ და აქ ყოფნის მიზეზითაც დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ ვეტერან ფორვარდს კარიერა დაუსრულებია ...**

## კარიერა

ვასილ გიგიაძემ თამაში დაიწყო ქუთაისის "ტორპედოში", გამოდიოდა პირველი ლიგის „რწმენაში", ქუთაისის „ტორპედოში" ითამაშა ორი სეზონი, მაგრამ მწვრთნელთან უთანხმოების გამო, სამტრედიის „იბერიაში" გადავიდა.

1999 წელს თბილისის „დინამოში" ჰოლანდიელმა **იოჰან ბოსკამპმა** მიიწვია, მაგრამ მალე მოსკოვის „ტორპედოში" აღმოჩნდა; მოსკოველებთან ორი კვირა ვარჯიშობდა და მისი ჩარიცხვა გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ როდესაც საქმე ხელშეკრულების გაფორმებამდე მივიდა, პირად პირობებზე ვერ შეთანხმდა და ასე აღმოჩნდა 2000 წლის ზაფხულში გიგიაძე სიმფეროპოლის „ტავრიაში", სადაც მოიპოვა კიდეც აღიარება.

გიგიაძე მალე დამკვიდრდა სიმფეროპოლელთა ძირითად შემადგენლობაში, გახდა გუნდის კაპიტანი და ლიდერი, უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებში მეორე ადგილზე გავიდა. 2003 წელს გადავიდა ელისტის „ურალანში", მაგრამ ფინანსურ პრობლემებში ჩავარდნილი კლუბი მალე დატოვა და 2004 წელს „ტავრიას" დაუბრუნდა.

სეზონის ბოლოს ხელშეკრულების გაგრძელება საკმაოდ კარგი პირობებით შესთავაზეს. ამ დროისთვის, ოთხი უკრაინული კლუბი იწვევდა, საიდანაც კრივოი როგის "კრივბასი" ამჯობინა. მაგრამ იქაც ფინანსური პრობლემებს წააწყდა, რამაც აიძულა ახალი კლუბი მოეძებნა., თითქმის გადაწყვეტილი იყო გიგიაძის ბუქარესტის „რაპიდში" ჩარიცხვა, მაგრამ მოლაპარაკებების დასრულებამდე კრივოიროგელებმა მოლაპარაკება ჩაშალეს და "კრივბასში" დააბრუნეს – მას კონტრაქტი დასრულებული არ ჰქონდა და რუმინელებს მილიონი დოლარი მოსთხოვეს, რაზეც "რაპიდი" არ დათანხმდა.

მაგრამ ქართველმა თავდამსხმელმა კრივოი როგში დარჩენაც აღარ ისურვა და 2007 წლის ზაფხულში მოულოდნელად უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ახტირკის "ნეფტიანიკში" გადავიდა.

2008 წელს სიმფეროპოლის „ტავრიაში" მესამედ დაბრუნდა, 2010 წელს გუნდთან ერთად უკრაინის თასს დაეუფლა. დეკემბერში 34 წლის ქართველ თავდამსხმელს კონტრაქტი დაუსრულდა და რადგან "ტავრიას" მთავარმა მწვრთნელმა **სემიონ ალტმანმა** მასთან თანამშრომლობა აღარ ისურვა, ხელშეკრულებაც აღარ გახანგრძლივდა და კარიერა დაასრულა.

ვასილ გიგიაძე იყო საქართველოს ეროვნული გუნდის წევრი. დებიუტი **ალენ ჟირესის** დროს ჰქონდა, მაგრამ თავის გამოჩენის რეალური შანსი არასოდეს ჰქონია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ფეხბურთს თამაშობდა მისი ტყუპისცალი სოსოც, რომელმაც კარიერა ტრავმის გამო დაასრულა.

## წარსულს ნუღარ გავიხსენებთ ...

ვასილ გიგიაძე გვიყვება თავის კარიერაზე, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი, რატომ არ ათამაშებდნენ საქართველოს ნაკრებში, რას ფიქრობს ჩვენს ჩემპიონატზე და ა.შ.

**- ამბობდი, რომ თამაშის გაგრძელებას აპირებდი. ახლა კი წერტილი დასვი. ასეთი რა მოხდა?**

- მართლა ვაპირებდი თამაშს, მქონდა ვარიანტებიც, ცალკე "ტავრია" მთავაზობდა დარჩენას, მაგრამ საბოლოოდ მაინც კარიერის დასრულება გადავწყვიტე.

**- ანუ უკრაინაში არანაირი ვარიანტი აღარ გქონდა?**

- იყო რეალური წინადადება ლუგანსკის "ზარიადან", მაგრამ მე რომ ვჭირდებოდი, ის მწვრთნელი დეკემბერში მოხსნეს და წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, კარიერის მხოლოდ "ტავრიაში" გაგრძელება და იქვე დასრულება მსურდა. მათ კი გუნდში მუშაობა შემომთავაზეს, მწვრთნელად, სელექციონერად, ან ჩემთვის სასურველ სხვა რანგში.

**- საქართველოში თამაში არავის შემოუთავაზებია?**

- აქ ინტერესიც არავის ჰქონია.

**- თუ კარიერის დასრულებაზე ფიქრობდი, "ტავრიას" კარგი წინადადება შემოუთავაზებია და უარი რატომ თქვი?**

- უცხოეთში 11 წელი ვიცხოვრე და დავიღალე, საკუთარი სახლი და ოჯახთან ყოფნა მომენატრა. თუმცა, უკრაინაში მართლაც შემეძლო კარიერის აწყობა.

**- საქართველოში რას აპირებ?**

- ვფიქრობ, ცოტას დავისვენებ და ალბათ, მწვრთნელობას დავიწყებ. რა თქმა უნდა, სწავლასა და ლიცენზიის მიღებაზეც ვფიქრობ.

**- პირველად საქართველოს ნაკრებში მხოლოდ მაშინ მოგიწვიეს, როდესაც უკრაინაში გაღიარეს. მაგრამ შენთვის ნაკრების კარი მაინც დაკეტილი იყო.**

- სამწუხაროდ, ასე იყო. როდესაც კარგ ფორმაში ვიყავი, გუნდში 90 წუთს ვთამაშობდი და გოლებიც გამქონდა, მაშინაც არ მიძახებდნენ. მერე ყურადღება კი მომაქციეს, მაგრამ ბოლომდე არ მენდობოდნენ, თავდამსხმელ კაცს ფლანგზე მათამაშებდნენ, ერთხელ სულ გადამრიეს, საყრდენად დამაყენეს. ჩემთვის გაუგებარი იყო, საყრდენად რა უნდა გამეკეთებინა? რა დასამალია, გული მწყდებოდა, მაგრამ ეს უკვე წარსულია.

**- თუ არ მეშლება, ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებებშიც არასოდეს გითამაშია.**

- დიახ, არასოდეს არც ერთ ნაკრებში არ მითამაშია. აღარ მინდა წარსულის გახსენება, რაც ხდებოდა, ჩემზე კარგად იცით. მაგრამ ბოლმას გულში არ ვიდებ, არ ვარ ასეთი ადამიანი; მიმაჩნია, რომ საკმაოდ წარმატებული კარიერა მქონდა. 11 წელი უცხოეთში ტყუილად არავინ გამაჩერებდა.

**- "ზესტაფონი"-"ტორპედოს" თამაშს დაესწარი და საინტერესოა შენი აზრი, რა კომპონენტებში ჩამოვრჩებით უკრაინელებს?**

- უკრაინელი სპეციალისტი რომ ჩამოვიდეს, უპირველესად, თვალში ჩვენი მოთამაშეების არასაკმარისი ფიზიკურ მომზადება და ნაკლები მოძრაობა მოხვდება. იქ წარმოუდგენელია, ვინმე გაჩერდეს და არ იმოძრაოს. უკრაინამდე ბევრი გვიკლია. კარგად მომზადებული უკრაინელი ჩვენთან ნაკლებად დაიღლება. ისინი ყველაზე დიდი მნიშვნელობას სწორედ "ფიზიკას", თეორიულ განათლებასა და მოძრაობას აქცევენ. და თუ ჩვენ გვინდა, რომ მოთამაშეები საშუალო ევროპულ დონემდე მაინც განვითარდნენ, ამ ყველაფერს ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**- ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელი არ უნდა იყოს, მაგრამ წლებია, არაფერი ეშველა.**

- ეს ჩემპიონატის დონიდან, კლუბების მომზადებიდან და ინერციიდან გამომდინარეა. არადა, არიან საინტერესო მოთამაშეები, რომელთაც წინსვლა შეუძლიათ.

პირობებსაც ყურადღება უნდა მიექცეს: აქ თუ დიდი ფული არ ჩაიდება, დიდი ფეხბურთიც არ გვექნება. უკრაინისა და ჩვენს პირობებს შორის კი დიდი განსხვავებაა.

**მერაბ მამულაშვილი**



ვასილ გიგიაძე (ბურთით) იტალიასთან მატჩში

დოსიე

### ვასილ გიგიაძე

დაიბადა 1977 წლის 3 ივნისს ქუთაისში
სიმაღლე - 176 სმ, წონა - 77 კგ.
პოზიცია - თავდამსხმელი



| კარიერა | | |
|---|---|---|
| 1993-1994 | ტორპედო 2 (ქუთაისი) | 23 (6) |
| 1994-1996 | რწმენა | 49 (27) |
| 1996-1997 | ტორპედო (ქუთაისი) | 22 (2) |
| 1997-1999 | იბერია (სამტრედია) | 38 (20) |
| 1999-2000 | დინამო (თბილისი) | 8 (1) |
| 2000-2003 | ტავრია | 70 (24) |
| 2003-2004 | ურალანი | 30 (4) |
| 2004-2005 | ტავრია | 26 (9) |
| 2005-2007 | კრივბასი | 56 (20) |
| 2007-2008 | ნეფტიანიკი | 13 (0) |
| 2008-2011 | ტავრია | 47 (4) |
| 2005-2007 | საქართველოს ნაკრები | 6 (0) |
| 2009/10 | უკრაინის თასის გამარჯვებული | |

ლეგიონერები



ვაჟა თარხნიშვილი

## უქმეები უფერულად დაიწყო

**ნიკოლოზ გელაშვილმა** რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ "ბოხუმის" სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, თუმცა ამან მის გუნდს ვერაფერი უშველა. "ბოხუმი" სტუმრად 0:3 განადგურდა ფრანკფურტის "აინტრახტთან", ქართველი ფორვარდი კი მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა. ამ დროისთვის მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო. "ბოხუმს" ჯერ კიდევ არ ემუქრება მეორე ბუნდესლიგიდან დაქვეითების საფრთხე, მაგრამ ასე თუ გაგრძელა, სეზონის ფინიშზე, შესაძლოა, ამის საშიშროების წინაშეც დადგეს.



დავით სირაძე 4 მატჩით დასაჯეს

საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძის** "ლე მანმა" "მონაკოს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. ქართველ მეკარეს ამ შეხვედრაში მონაწილეობა, რატომღაც, არ მიუღია. იგი განაცხადშიც არ ყოფილა. "ლე მანი" კვლავ გასავარდნ ზონაშია.

რუსეთის პრემიერლიგაში ნალჩიკის "სპარტაკმა" ტომსკის "ტომს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. "სპარტაკის" შემადგენლობაში დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია **დავით სირაძეს**, რუსეთის მოქალაქე **გუჯა რუხაიამ** კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო. ნალჩიკელები ბოლო ადგილზე არიან და პრემიერლიგაში დარჩენა ძალიან გაუჭირდებათ.

ფინეთის ლიგის თასს ნახევარფინალში გამოეთიშა ტურკუს "ინტერი". მისმა ქართველმა ფორვარდმა **ირაკლი სირბილაძემ** ჰიკ-ს გოლი გაუტანა. მატჩის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, თერთმეტმეტრიანების სერიაში კი ჰიკმა იმარჯვა.

მოლდოვაში **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფმა" შინ "კოსტულენი" 4:1 გაანადგურა, **ლევან კორღალიძის** "ზიმბრუმ" კი საკუთარ მოედანზე "სფინტულ გეორგეს" 2:0 სძლია. ორივე ქართველი მოედანზე იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. XXX ტურის წინ

### დღეს

**კატანია-მილანი 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** მესბა, მუნტარი (მილანი).
**ტრავმა:** ბიაჯანტი, პოტენცა - ვან ბომელი, ტიაგო სილვა, პატო, ინძაგი, შტრასერი, კასანო, რომა, ფლამინი.

**პარმა-ლაციო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** დიაკიტე (ლაციო).
**ტრავმა:** ფერარიო, მარიგა, პალადინო - კლოზე, სტანკევიჩუსი, ლულიჩი.

### ხვალ

**რომა-ნოვარა 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰაინცე - რიგონი.
**ტრავმა:** პიანიჩი, ბორინი, ბურდისო, ჟუანი, გრეკო, კასეტი, ლობონტი - ლუდი, მარიანინი, და სილვა.

**ბოლონია-პალერმო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პერესი, მუდინგაი, რაჯი - ბერტოლო.
**ტრავმა:** გარიჩი, კაზარინი, ანტონსონი - ბაჩინოვიჩი, სილვესტრი.

**კალიარი-ატალანტა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ასტორი (კალიარი).
**ტრავმა:** ელ ქაბირი, დესენა, რუი სამპაიო, ერიკსონი - ბრივი, მარილუნგო, ბელინი, კაპელი, დენისი.

**ფიორენტინა-კიევო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერჩი - სამარკო.
**ტრავმა:** კროლდრუპი, ფელიპე - ურიბე, მორერო, აჩერბი, გულანი, მოსკარდელი.

**ინტერი-ჯენოა 17.00**

**ტრავმა:** მაიკონი, სნეიდერი - კუჩკა, ანტონელი, გრანკვისტი, კონსტანტი.

**ლეჩე-ჩეზენა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ესპოზიტო (ლეჩე).
**ტრავმა:** კაროციერი, ოფერე, ჟულიო სერჯიო, ობოდო - პაროლო, გუანა, მარტინესი, იაკვინტა.

**სიენა-უდინეზე 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ფლორო ფლორესი, ეკსტრანდი (უდინეზე).
**ტრავმა:** ბოლცონი, გონსალესი, ანჯელო, კალაიო - ბენეტია, ფერონეტი, ბადუ, ბასტა.

**იუვენტუსი-ნაპოლი 22.45**

**ტრავმა:** დონადელი (ნაპოლი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 29 | 19 | 6 | 4 | 59-23 | 63 |
| 2. იუვენტუსი | 29 | 15 | 14 | 0 | 46-17 | 59 |
| 3. ლაციო | 29 | 15 | 6 | 8 | 43-34 | 51 |
| 4. ნაპოლი | 29 | 12 | 12 | 5 | 54-32 | 48 |
| 5. უდინეზე | 29 | 13 | 9 | 7 | 40-27 | 48 |
| 6. რომა | 29 | 13 | 5 | 11 | 42-35 | 44 |
| 7. კატანია | 29 | 10 | 12 | 7 | 38-37 | 42 |
| 8. ინტერი | 29 | 12 | 5 | 12 | 38-38 | 41 |
| 9. ატალანტა | 29 | 10 | 13 | 6 | 33-29 | 37 |
| 10. პალერმო | 29 | 10 | 6 | 13 | 41-46 | 36 |
| 11. კიევო | 29 | 9 | 9 | 11 | 25-36 | 36 |
| 12. ბოლონია | 29 | 9 | 9 | 11 | 31-35 | 36 |
| 13. კალიარი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-36 | 34 |
| 14. ჯენოა | 29 | 9 | 7 | 13 | 37-51 | 34 |
| 15. ფიორენტინა | 29 | 8 | 9 | 12 | 29-35 | 33 |
| 16. სიენა | 29 | 8 | 9 | 12 | 33-31 | 33 |
| 17. პარმა | 29 | 7 | 11 | 11 | 35-46 | 32 |
| 18. ლეჩე | 29 | 6 | 9 | 14 | 31-45 | 27 |
| 19. ნოვარა | 29 | 5 | 9 | 15 | 24-46 | 24 |
| 20. ჩეზენა | 29 | 4 | 6 | 19 | 18-47 | 18 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: **22 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა), პალასიო (ჯენოა); 14 - მილიტო (ინტერი).**

# დიდი ბრძოლები სხვადასხვა მიზნებისთვის



ვნახოთ, ვინ ვის გაექცევა...

რაც უფრო ახლოვდება სეზონის ფინიში, მით უფრო დიდი ფასი ედება თითოეულ ქულას და შესაბამისად, ჩემპიონატი სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. დღეს ორი შეხვედრა გაიმართება და ორივე ძალიან საინტერესო. „ენიო ტარდინიზე" „პარმა" „ლაციოს" უმასპინძლებს, გუნდს, რომელიც სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის. თავისი მიზანი აქვს „პარმასაც", ელიტაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს და ბუნებრივია, რომ იოლად არაფერს დათმობს. ფავორიტის დასახელება ურთულესი საქმეა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ერთი ცხრილის ზედა ნაწილშია, მეორე კი ფსკერზე. ემილიური კლუბის მესვეურებმა **რობერტო დონადონის** სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს, მას „პარმას" მომავალი უწოდეს და ეს უკანასკნელიც შეგულიანებული ხვდება „ლაციოსთან" მნიშვნელოვან დაპირისპირებას - მოვუსმინოთ დონის:

*„რომაელებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ და ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს, მაგრამ ჯაბანნი არც ჩვენ ვართ და წესით, კარგი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. „ლაციოსთან" გამარჯვება ფსიქოლოგიური კუთხითაც მნიშვნელოვანია, რადგან საკუთარ ძალებს ვირწმუნებთ. პირველი ნომრიდან თამაშს შევეცდებით, დანარჩენს კი დრო გამოაჩენს".*

■ ■ ■

„პარმა" **სებასტიან ჯოვინკოსა** და **სერჯო ფლოკარის** ტანდემით შეუტევს, რომაელებს კი მეტწილად **ტომაზო როკის** იმედი ექნებათ, რომელსაც უკნიდან **სტეფანო მაური** და **ერნანესი** დაეხმარებიან... ამ უკანასკნელს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ თამაშამდე მომჯობინება უნდა მოასწროს. ვნახოთ, „ენიო ტარდინიზე" წესით საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს.

„მილანს" აშკარად არ უმართლებს - ამ არანორმალური კალენდროს პერიოდში, „კატანიასთან" მატჩი შედარებით იოლი მოჩანდა, მაგრამ სიცილიურმა გუნდმა ბოლო დროს მკვეთრად მოუმატა, სატურნირო მოტივაცია გაუჩნდა და შესაბამისად, იოლად არაფერს დათმობს. კუნძულელებს ევროპის ლიგაზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვთ და ლიდერს დიდ ბრძოლას ჰპირდებიან. „კატანია" 3-5-2 ტაქტიკით დაუპირისპირდება მეტოქეს, შეტევაში კი **გომესი-ბერგესიოს** ტანდემს ვიხილავთ.

## იბრა დაისვენებს?

რაც შეეხება „მილანს", **მასიმილიანო ალეგრის** კვლავაც დიდი დანაკლისი აქვს, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა კიდეც; თუნდაც **ინაციო აბატე**, რომელიც განაცხადში იქნება და შესაძლოა მეორე ტაიმში ჩაერთოს თამაშში. ჟურნალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ალეგრი **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** დაასვენებს და თავდასხმაში **სტეფან ელ შაარავისა** და **მაქსი ლოპესის** ტანდემს გაამწესებს, მეორე ნაწილი კი იბრას ძირითადში მოიაზრებს იმავე ელ შაარავისთან ერთად. საგულისხმოა, რომ მაქსი ლოპესს ყოფილ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება და თანაც სიცილიაში, იქ, სადაც ერთ დროს კერპი იყო. არგენტინელი ფორვარდის თქმით, „კატანია" დღემდე მის გულშია, მაგრამ თუ თამაშის საშუალება მიეცა, ყველანაირად შეეცდება, რომ სიცილიური გუნდის კარი აილოს. „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მაქსი სათადარიგოთა სკამზე დარჩება, ისევე როგორც **კევინ პრინს ბოატენგი** და **რობინიო** - ამ უკანასკნელმა „ბარსელონასთან" შეხვედრაში ტრავმა გაიმიზეზა, მაგრამ საშიში არაფერია და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. საინტერესოა, რამდენად მოახერხებენ მილანელები ამ თამაშისთვის მობილიზებას, მომდევნო კვირაში ხომ „ბარსასთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის განმეორებითი დაპირისპირება ელით.

## ერთი ფეხის დაცდენა და....

ტურის ცენტრალური შეხვედრა ტურინში გაიმართება, სადაც „იუვენტუსი" „ნაპოლის" უმასპინძლებს. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა და მით უმეტეს მაშინ, როდესაც სატურნირო მოტივაცია ძალიან მაღალია. „იუვე" სკუდეტოსთვის იბრძვის და ნებისმიერი ფეხის დაცდენა **ანტონიო კონტეს** გუნდისთვის შეიძლება ფატალური გამოდგეს, ნეაპოლელებს კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურთ და კონკურენტებთან უმძაფრეს ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. თავად განსაჯეთ, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე გასასვლელი ერთადერთი ვაკანტური ადგილისთვის „ნაპოლისთან" ერთად „ლაციო", „უდინეზე" და „რომა" იბრძვიან.

საგულისხმოა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება. ტურინელებს არც დისკვალიფიცირებული ჰყავთ და არც ტრავმირებული, ნეაპოლელები კი მხოლოდ **მარკო დონადელის** მოისაკლისებენ, რომელიც ისედაც ვერ ხვდება არა თუ ძირითადში, ხშირად განაცხადშიც კი. მოკლედ, დიდი ჯახისთვის გუნდები საუკეთესო შემადგენლობით ემზადებიან, რაც ძალიან კარგი ამბავია. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ანტონიო კონტე შეტევის წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩსა** და **ალესანდრო მატრის** გაამწესებს, **ვალტერ მაცარი** კი ნაცად ტრიოს დაეყრდნობა **ესეკიელ ლავეცის**, **მარეკ ჰამშიკისა** და **ედინსონ კავანის** შემადგენლობით. თადარიგში დარჩება **გორან პანდევი** და ეს მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ბოლოს, სიტყვა მაცარის გადავცეთ, რომელიც მოახლოებულ პაექრობას დიდი იმედებით ელოდება:

*„წინა ტურში, „კატანიასთან" დაკარგულმა ქულებმა ძალიან დაგვწყვიტა გული და იმედი მაქვს, რომ ხასიათს „იუვენტუსთან" პაექრობაში გამოვიკეთებთ. კარგად მესმის, რომ ტურინში თუნდაც ქულის აღება ურთულესი საქმეა, მაგრამ ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავალთ. „ნაპოლი" დიდ გუნდებთან უკეთესად თამაშობს, ვერ ვიტყვი, რომ ეს საუკეთესო ამბავია, მაგრამ ამ შემთხვევაში, კარგი იქნება თუ ტრადიციას არ დავარღვევთ. აი შემდეგ კი სტაბილურობა გვმართებს, ნებისმიერ მოედანზე და ნებისმიერ მეტოქესთან. „იუვე" შემოგვიტევს, მაგრამ დაცვაში არც ჩვენ ჩავჯდებით".*

**იუვენტუსი-ნაპოლი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, პირლო, ვიდალი, მარკიზიო, დე ჩელიე - ვუჩინიჩი, მატრი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანკტისი - კამპანიარო, კანავარო, არონიკა - მაჯო, გარგანო, ინლერი, ცუნიგა - ჰამშიკი - ლავეცი, კავანი

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● მოსაზრება

# დე ლაურენტისი: დააფასეთ დელ პიერო!

## ალეს ერთწლიან კონტრაქტს უმზადებენ

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვენტუსის" მესვეურებმა **ალესანდრო დელ პიეროსთან** კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტეს და ამის შესახებ, უახლოეს დღეებში საგანგებო განცხადებას გააკეთებენ. ითქვა იმის შესახებაც, რომ „ვეკია სენიორას" პრეზიდენტი **ანდრეა ანიელი** პინტურიკიოს პირადად შეხვდება და მას ახალ, ერთწლიან ხელშეკრულებას შესთავაზებს... ეს ამბავი მალე მოედო მთელ იტალიას და კომენტარებიც უხვად გაკეთდა. აი, რას ამბობს „ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი**, რომელსაც სჩვევია სხვის საქმეში ჩარევა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება:

*„დელ პიერო ფენომენალური ფეხბურთელი და საოცრად კარგი ადამიანია. მასთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირს და ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობ. ალე დღესაც იდეალურ ფორმაშია და მიკვირს, რომ მას „იუვეს" მესვეურები სათანადოდ არ აფასებენ. როგორც გავიგე, კონტრაქტის მხოლოდ ერთი სეზონით გახანგრძლივება უნდა შესთავაზონ, რაც მის შეურაცხყოფად მიმაჩნია. დიდი სიამოვნებით შევთავაზებდი ალეს მინიმუმ 3-წლიან კონტრაქტს, მაგრამ კარგად ვიცი, რომ იტალიაში „იუვენტუსის" გარდა არსად ითამაშებს. ეს ასეც უნდა იყოს, დელ პიერო „იუვეს" ლეგენდაა და ვერ წარმომიდგენია სხვა გუნდის, თუნდაც „ნაპოლის" მაისურში. უბრალოდ, კარგი იქნება თუ ამ ლეგენდარულ ადამიანს სათანადოდ დააფასებენ".*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის წინ

მართალია, ბუნდესლიგის 28-ე ტური გუშინ ლიდერმა გახსნა, მაგრამ საუბარი ცხრილის ქვემოდან უნდა დავიწყოთ: აუტსაიდერ „კაიზერსლაუტერნს" გადარჩენისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი უკანასკნელი ფინალი აქვს – კრასიმირ ბალაკოვის გუნდი უშუალო კონკურენტ „ჰამბურგს" მასპინძლობს და თუ ვერ მოიგო, „ეშმაკების" ხელმძღვანელები მომავალი სეზონისთვის მეორე ბუნდესლიგაზე ფიქრს უკვე სერიოზულად დაიწყებენ. „აუგსბურგისა" და „კიოლნის" დაპირისპირებაც სწორედ ამ მხრივაა საინტერესო. ლევან კობიაშვილის „ჰერტა" კი „ვოლფსბურგის" სახით კარგ ფორმაში მყოფ, ალმასვლის გზაზე დამდგარ გუნდს მასპინძლობს. მარსელმოვლილ „ბაიერნს" „ნიურნბერგთან" ბავარიული დერბი აქვს, ევროპალიგის მონაწილეები, „შალკე" და „ჰანოვერი" კი ხვალ თამაშობენ.

### გუშინ

**ბორუსია (დ)–შტუტგარტი 4:4**

გოლები: 1:0 კაგავა (33), 2:0 ბლაშჩიკოვსკი (49), 2:1 იბიშევიჩი (71), 2:2 შიბერი (77), 2:3 შიბერი (79), 3:3 ჰუმელსი (81), 4:3 პერიშიჩი (87), 4:4 გენტნერი (92)

### დღეს

**ნიურნბერგი–ბაიერნი 17:30**

პირველ წრეში: 0:4

დისკვალიფიკაცია: კამავუაკა (ნიურნბერგი)

ტრავმა: აიგლერი, ესვაინი – ბრენო, ვან ბუიტენი

**კაიზერსლაუტ.–ჰამბურგი 17:30**

პირველ წრეში: 1:1

დისკვალიფიკაცია: გერერო (ჰამბურგი)

ტრავმა: კნალერი, შიმუნეკი, იორგენსენი, კუემაა - მიკელი

**ვერდერი–მაინცი 17:30**

პირველ წრეში: 3:1

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: პრიოდლი, ბოროვსკი, ექიჩი, ჰანტი, არნაუტოვიჩი – ბელი, სვენსონი, რისსე

**ლევერკუზენი–ფრაიბურგი 17:30**

პირველ წრეში: 1:0

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ადლერი, ჩორლუკა, და კოშტა, შვააბი, ბალაკი, ლ. ბენდერი, სემი – ბართი, ფერატი, ჰიონი, ფლუმი, პუცილა, როზენტალი, ს. ბრანდშტეტერი, დემბელე

**აუგსბურგი–კიოლნი 17:30**

პირველ წრეში: 0:3

დისკვალიფიკაცია: იაიალო (კიოლნი)

ტრავმა: დე იონგი, ბა, გოგია, იორლი – პეტიტი, ჩიჰი, უთი

**ჰერტა–ვოლფსბურგი 20:30**

პირველ წრეში: 3:2

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ფრანცი, მიატოვიჩი, ლუსტენბერგერი, რონი – კრისი, თიოლკე, მედოიევიჩი, ოხსი

### ხვალ

**ჰანოვერი–ბორუსია (მ) 17:30**

პირველ წრეში: 1:2

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: არავინ

**ჰოფენჰაიმი–შალკე 19:30**

პირველ წრეში: 1:3

დისკვალიფიკაცია: კომპერი (ჰოფენჰაიმი)

ტრავმა: იაისლე – ფერმანი, უნერშტალი, ჰიოვედესი, მეტცელდერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 28 | 19 | 6 | 3 | 63-21 | 63 |
| 2. ბაიერნი | 27 | 18 | 3 | 6 | 66-18 | 57 |
| 3. შალკე | 27 | 17 | 2 | 8 | 60-34 | 53 |
| 4. ბორუსია (მ) | 27 | 15 | 6 | 6 | 40-18 | 51 |
| 5. შტუტგარტი | 28 | 11 | 7 | 10 | 48-38 | 40 |
| 6. ლევერკუზენი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-36 | 40 |
| 7. ვერდერი | 27 | 11 | 7 | 9 | 41-40 | 40 |
| 8. ჰანოვერი | 27 | 9 | 11 | 7 | 35-38 | 38 |
| 9. ვოლფსბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 36-48 | 37 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 27 | 8 | 9 | 10 | 31-38 | 33 |
| 11. ნიურნბერგი | 27 | 9 | 4 | 14 | 25-38 | 31 |
| 12. მაინცი | 27 | 7 | 9 | 11 | 39-44 | 30 |
| 13. ფრაიბურგი | 27 | 7 | 7 | 13 | 35-53 | 28 |
| 14. კიოლნი | 27 | 8 | 4 | 15 | 34-56 | 28 |
| 15. აუგსბურგი | 27 | 5 | 12 | 10 | 28-41 | 27 |
| 16. ჰამბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 31-50 | 27 |
| 17. ჰერტა | 27 | 6 | 8 | 13 | 29-48 | 26 |
| 18. კაიზერსლ. | 27 | 3 | 11 | 13 | 17-38 | 20 |

ბომბარდირები: 23 – გომესი (ბაიერნი); 22 – ჰუნტელაარი (შალკე); 17 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 16 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 15 – როისი (ბორუსია /მ/); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი); 12 – რაული (შალკე).

# გადამწყვეტი ბრძოლები გადარჩენისთვის

## კაიზერსლაუტერნში, აუგსბურგსა და ბერლინში ცეცხლი დაენთება

### ბალაკოვი: მხოლოდ გამარჯვება!

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ამ ეტაპზე სერიოზულად ექვს გუნდს ემუქრება და ამ ექვსიდან ოთხი ერთმანეთს ხვდება. ყველაზე მძიმე წნეხის ქვეშ, რა თქმა უნდა, ბოლოადგილოსანი „კაიზერსლაუტერნია". პფალცელები ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ჰერტას" მთელი 6 ქულით ჩამორჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურენტ „ჰამბურგთან" მატჩი 1. FCK-სთვის გადარჩენის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. მიუხედავად იმისა, რომ „ლაუტერნს" 17-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, ახალი მწვრთნელი **კრასიმირ ბალაკოვი**, რომელსაც წინა ტურში დებიუტი ჩაუმწარდა (0:2 ფრაიბურგში), შეგირდებისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს.

*„უმძიმეს მდგომარეობაში ვართ და ახლა მხოლოდ მოგება გვჭირდება! იმედი მაქვს, რომ ბიჭები თავს არ დაზოგავენ. უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს, „ჰამბურგთან" შემტევი, ვაჟკაცური ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ,"* - თქვა გუშინ ბულგარელმა სპეციალისტმა.

„კაიზერსლაუტერნში" კვლავ აქტუალურია კითხვა - ვინ უნდა გაიტანოს გოლები? შეგახსენებთ, რომ პფალცელებს ყველაზე უხეირო თავდასხმა ჰყავთ (17 გოლი 27 მატჩში). ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბალაკოვი წინა ხაზზე გამოჯანმრთელებულ **სანდრო ვაგნერს** ენდობა.

„ჰამბურგს" ზედიზედ ოთხი თამაში აქვს წაგებული და სარელეგაციო, მე-16 ადგილზე დაქვეითების შემდეგ HSV-ს ბოსებმა განგაშის ზარებს შემოჰკრეს. *„ვინც ახლა არ მოინდომებს, ზაფხულში აქედან გავაგდებთ! თითოეულ ფეხბურთელს ვაკვირდები და ვინც იზარმაცებს, განაცხადშიც კი არ შევიყვან,"* - იმუქრებოდა 44 წლის მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** კვირის დასაწყისში. თუ „ჰამბურგი" ბეტცენბერგზეც დამარცხდება, გამორიცხული არ არის, თავად ფინკის საკითხი დადგეს დღის წესრიგში...

### სოლბაკენი ჩემოდნებზე

„კიოლნი" შავ ზონაში ჯერ არ არის, მაგრამ იქამდე მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. შესაბამისად, „თხების" მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენიც** ჩემოდნებზე ზის და თუ დღეს **ლუკას პოდოლსკი** და კომპანია გადარჩენისთვის ასევე მედგრად მებრძოლ აუგსბურგელებთან დამარცხდებიან, ნორვეგიელი სპეციალისტის და ზოგადად „კიოლნის" მდგომარეობა ძალიან დამძიმდება. დიდი შანსია, ასეც მოხდეს, რადგან „აუგსბურგს" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია (2 მოგება, 3 ფრე) აქვს, „კიოლნმა" კი, „ჰერტას" დამარცხების შემდეგ ორი თამაში წააგო. **იოს ლუჰუკაის** გუნდი, ბოლო დროს, განსაკუთრებით კარგად საკუთარ მოედანზე გამოიყურება (7-მატჩიანი წაუგებელი სერია). კიოლნელები წინა ტურში დორტმუნდის „ბორუსიასთან" 1:6 განადგურდნენ, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ სოლბაკენის გუნდს ბუნდესლიგაში ყველაზე უსუსური დაცვა ჰყავს (56 გაშვებული გოლი). აქვე იმასაც გეტყვით, რომ „კიოლნს" ბუნდესლიგის ისტორიაში ზუსტად 499 თამაში აქვს წაგებული...

### ბავარიული დერბი

ზემოთ ვთქვით, რომ ამ ეტაპზე მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად 6 გუნდს ემუქრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ზემოთ მყოფ კლუბებს მშვიდად ყოფნის უფლება აქვთ. ეს პირველ რიგში „ნიურნბერგზე" ითქმის: მას მერე, რაც ზედიზედ სამი თამაში წააგეს, ფრანკები, მართალია მე-11 ადგილზე არიან, მაგრამ გასავარდნ ზონამდე მხოლოდ 4 ქულა აშორებთ. და „ნიურნბერგი" მაინცდამაინც ახლა ეთამაშება „ბაიერნს" - შეგახსენებთ, ეს ბავარიული დერბია.

საინტერესო ის არის, რომ „ბაიერნს" ნიურნბერგში 2005 წლის შემდეგ არ მოუგია. რეკორდმაისტერმა ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა (2:0 მარსელში) და შეუძლია, დროებით ისევ მთლიანად ბუნდესლიგაზე გადაერთოს.

**ბასტიან შვაინშტაიგერი** უკვე მწყობრშია და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. ნიურნბერგელთა თავკაც **დიტერ ჰეკინგს** კი წინა ხაზის ერთ-ერთ უმთავრეს ფეხბურთელზე, **ესვაინზე** მოუწევს უარის თქმა. მისი ალტერნატივა პეკჰარტია.

### პისარო ბრუნდება

„მაინცს" სანერვიულო თითქოს არაფერი ჰქონდა, მაგრამ **თომას ტუხელის** შეგირდებმა ბოლო ოთხი თამაშიდან სამი წააგეს და „ვერდერთან" მატჩის წინ კომფორტულ მდგომარეობაში აღარ არიან. თავის მხრივ, დაზაფრულია ბრემენული კლუბიც, რადგან დორტმუნდში წაგებამ (0:1) და აუგსბურგთან ფრემ (1:1) „ვერდერს" სანერვიულო გაუჩინა – ევროპალიგის საგზურისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში „მუსიკოსებს" კონკურენტები - „შტუტგარტი", „ჰანოვერი" და „ვოლფსბურგი" ძალიან მიუახლოვდნენ. **თომას შააფი** „მაინცთან" თამაშის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი, რადგან ლაზარეთიდან **ვიზე** და **ბარგფრედე** დაბრუნდნენ, მთავარმა გოლეადორმა **კლაუდიო პისარომ** კი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მოედანზე გასვლა შეუძლია.

ბოლო პერიოდის მთავარი გმირი ბუნდესლიგაში „ფრაიბურგია", რადგან ბრაისგაუელებმა 12 შესაძლოდან 10 ქულას მოუყარეს თავი და გასავარდნი ზონიდან ამოვიდნენ. **კრისტიან შტრაიხის** პროგრესირებადი გუნდი ამჯერად ლევერკუზენში ჩადის და ეთამაშება ჩემპიონთა ლიგის საგზურზე მეოცნებე „ბაიერს", რომელსაც „ფრაიბურგის" ყოფილი მწვრთნელი **რობინ დუტი** ხელმძღვანელობს. მიუხედავად ზედიზედ სამი თამაშის წაგებისა, ლევერკუზენელებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმის იმედი, რომ მომდევნო სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, მაგრამ თუ ასე გააგრძელეს, ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, დიდი შანსია, ევროპალიგის საგზურსაც ვერ გამოჰკრან ხელი. აქვე გეტყვით, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „ბაიერის" კაპიტანი **სიმონ როლფესი** არ დასაჯა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა წინა ტურში შალკელ **იულიან დრაქსლერს** იდაყვი ჩაარტყა.

### რეჰაგელი VS მაგათი

სალამოს ბუნდესლიგის ორი ყველაზე გამოცდილი მწვრთნელის დუელს ვნახავთ: „ჰერტა" „ვოლფსბურგს" მასპინძლობს, **ოტო რეჰაგელისა** და **ფელიქს მაგათის** დაპირისპირება კი, დაგვეთანხმებით, ძალიან საინტერესოა. ბერლინელებმა წინა ტურში მაინცში 3:1 მოიგეს, რითაც მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორეს, ახლა კი საკუთარი პუბლიკის წინაშეც სურთ გამარჯვება, რაც ძალიან ძნელი იქნება, რადგან „ვოლფსბურგი", როგორც მოსალოდნელი იყო, სეზონის დასკვნით ფაზაში ძალიან გამოსწორდა და ახლა ზედიზედ სამი თამაში აქვს მოგებული. მაგათის გუნდი მე-9 ადგილზეა და ევროზონას მხოლოდ 2-3 ქულა აშორებს. აღსანიშნავია, რომ ვოლფსბურგელები ბერლინში უმეტესად ვერ იგებენ ხოლმე – დედაქალაქში ჩატარებული 13 შეხვედრიდან მხოლოდ ერთხელ გამოვიდნენ გამარჯვებულები.

### „ევროპელები" ხვალ თამაშობენ

ხვალ პირველი მატჩი „ჰანოვერისა" და „გლადბახის" საკმაოდ საინტერესო დაპირისპირებაა. „ჰანოვერს" არსებობის ისტორიაში არასდროს ჰქონია ისეთი დაძაბული და საინტერესო ფაზა, როგორიც ახლა აქვს: **მირკო სლომკას** გუნდი ევროპალიგის მეოთხედფინალშია (ხუთშაბათს, მადრიდში, „ატლეტიკოსთან" 1:2 წააგო), ბუნდესლიგაში კი ევროზონაში მოსახვედრად იბრძვის. მიონხენგლადბახელები წინა ტურში „ჰოფენჰაიმთან" დამარცხდნენ (1:2), მაგრამ ჯერჯერობით მაინც მშვიდად არიან, რადგან საუკეთესო ოთხეულში ადგილის შენარჩუნებას საფრთხე არ ემუქრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „გლადბახს" მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვნახავთ. მეტიც: **ლუსიენ ფავრის** გუნდი მესამე ადგილისთვის იბრძვის, რაც პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტია იქნებოდა. მიონხენგლადბახელებს დისკვალიფიკაციამოხდილი საყრდენი ნახევარმცველი **ნორდტვეიტი** უბრუნდებათ.

ხვალვე თამაშობს ევროპალიგაზე მოასპარეზე მეორე გერმანული კლუბიც: „შალკე" (ხუთშაბათს „ბილბაოსთან" 2:4 დამარცხდა) „ჰოფენჰაიმს" სტუმრობს და ეს მატჩი შალკელი **ჩინედუ ობასი ოგბუკესთვის** განსაკუთრებულია, რადგან გელზენკირხენულ კლუბში სწორედ „ჰოფედან" გადავიდა. დიდი შანსია, რომ „შალკეს" კარში რიგით მეოთხე მეკარე, **მათიას შობერი** ვიხილოთ, რადგან „ბილბაოსთან" მატჩში, **ფერმანისა** და **უნერშტალის** შემდეგ **ჰილდებრანდიც** დაშავდა. რაც შეეხება „ჰოფენჰაიმს": „სოფლელებმა" მწვრთნელ **მარკუს ბაბელს** ახლა მენეჯერის ფუნქციებიც შეუთავსეს და ეს უკანასკნელი ახლა ისეთივე ფუნქციონერია, როგორიც მაგათი ვოლფსბურგში...




ითაი შეხტერი კაიზერსლაუტერნის თავდამსხმელია, თანაც 9 ნომერი და მიმდინარე სეზონში მის გუნდს მხოლოდ 17 გოლი აქვს გატანილი, თავად შეხტერის ანგარიშზე კი ყველაზე მეტი, ოდენ 3 გოლია (!) 22 მატჩში – შესაბამისად, ლოგიკურია, რომ „კაიზერსლაუტერნი" მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტურის წინ



ძირითადში სერხიო აგუეროს (მარჯვნივ) ალბათ კარლოს ტევესი ჩაანაცვლებს

## დღეს

**ასტონ ვილა–ჩელსი 18:00**

**ტრავმა:** კლარკი, ბენტი, დელფი, ნ'ზოგბია, დანი – ტერი, ივანოვიჩი

**ევერტონი–ვესტ ბრომვიჩი 18:00**

**ტრავმა:** კოულმენი, როდუელი, გიბსონი – რიდი, ოდემვინგე, ფულოპი, გერა

**ფულჰემი–ნორვიჩი 18:00**

**ტრავმა:** სიდუელი, გრიგერა, ეთერიჯი – სა, აიალა, რუდი, ტირნი, ვონი

**დისკვალიფიკაცია:** - ჰოლტი

**მანჩ. სიტი–სანდერლენდი 18:00**

**ტრავმა:** ლესკოტი, აგუერო – ვესტვუდი, ო'ში, რიჩარდსონი, ბრაუნი, ანხელერი, ბრამბლი

**დისკვალიფიკაცია:** - კატერმოული

**ქუინზ პარკი–არსენალი 18:00**

**ტრავმა:** კემპბელი, ჰელგუსონი, ფორლინი, ჰოლი, ჰილი, დაიერი, ტრაორე – ფრიმპონგი, სკილაჩი, დიაბი, მერტეზაკერი, უილშირი, კოკლენი

**უიგანი–სტოკ სიტი 18:00**

**ტრავმა:** პოლიტი, ჯონსი, როდალიეგა – დიაო, სიდიბე, ვუდგეიტი

**ვულვერჰემ.–ბოლტონი 18:00**

**ტრავმა:** ო'ჰარა, ჰენრი, მილიაში, დევისი – გარდნერი, ჰოლდენი, მირსი, ლი, მუამბა

**დისკვალიფიკაცია:** ზუბარი –

## ხვალ

**ნიუკასლი–ლივერპული 16:30**

**ტრავმა:** ბესტი, ტიოტე, ამეობი, სიმპსონი, ლოვენკრანდსი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი, მარვო – ლეივა, აგერი, ჯონსონი, ბელამი, რობინსონი, კელი, ადამი

**დისკვალიფიკაცია:**

**ტოტენჰემი–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** ჰადლსტოუნი, კინგი, დოუსონი, ადებაიორი, გომეში, ლენონი – აგუსტინი, ორლანდი, ბოდე

**დისკვალიფიკაცია:** - დაიერი

## ზეგ

**ბლექბერნი–მანჩესტერ იუნ. 23:00**

**ტრავმა:** სალგადო, ჟივე, გრელა – მაკედა, ფლეტჩერი, ანდერსონი, ნანი, ჯონსი, ვიდიჩი, ლინდეგორი, კლევერლი, ოუენი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 30 | 23 | 4 | 3 | 74-27 | 73 |
| 2. სიტი | 30 | 22 | 4 | 4 | 72-22 | 70 |
| 3. არსენალი | 30 | 18 | 4 | 8 | 61-39 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 30 | 16 | 7 | 7 | 53-35 | 55 |
| 5. ჩელსი | 30 | 14 | 8 | 8 | 49-34 | 50 |
| 6. ნიუკასლი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-42 | 50 |
| 7. ლივერპული | 30 | 11 | 9 | 10 | 36-31 | 42 |
| 8. სანდერლენდი | 30 | 11 | 7 | 12 | 39-34 | 40 |
| 9. ევერტონი | 30 | 11 | 7 | 12 | 30-32 | 40 |
| 10. სუონსი | 30 | 10 | 9 | 11 | 34-36 | 39 |
| 11. ნორვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 41-47 | 39 |
| 12. სტოკ სიტი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-41 | 38 |
| 13. ფულჰემი | 30 | 9 | 9 | 12 | 37-41 | 36 |
| 14. ვესტ ბრომვ. | 30 | 10 | 6 | 14 | 36-41 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 29 | 7 | 12 | 10 | 31-38 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 30 | 7 | 7 | 16 | 43-62 | 28 |
| 17. ბოლტონი | 29 | 8 | 2 | 19 | 33-58 | 26 |
| 18. ქუინზ პარკი | 30 | 6 | 7 | 17 | 33-53 | 25 |
| 19. უიგანი | 30 | 5 | 10 | 15 | 27-55 | 25 |
| 20. ვულვზი | 30 | 5 | 7 | 18 | 31-65 | 22 |

# ქალაქი მდევრის როლში

"ასტონ ვილამ" წინა ტურში უიმედოდ დათმო შეხვედრა "არსენალთან", რამაც ბირმინგემელთა ხელმძღვანელობა მიახვედრა, რომ ჯერ კიდევ არსებობდა პრემიერლიგიდან გავარდნის შანსი, ამიტომ წამყვან ფეხბურთელებთან ახალ კონტრაქტებზე მოლაპარაკებები შეწყდა. ერთი სიტყვით, "ვილა პარკზე" ნამდვილად არ სუფევს საზეიმო განწყობა. გულშემატკივრები მთავარ მწვრთნელს დასანახად ვერ იტანენ, **ალექს მაკლიში** კი გუნდიდან წასვლას არ აპირებს. "ჩელსი" უკანასკნელი უქმეების შემდეგ იმედგაცრუებულია, რადგან ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ "ტოტენჰემს" ვერ მოუგო. "ლურჯებს" ესმით, რომ ბირმინგემში ქულების დაკარგვა უკვე იმის ნიშანი იქნება, რომ ოთხეულისთვის ბრძოლას წყვეტენ. მათ ისლა დარჩენიათ, თავისი მოსაგები მოიგონ და მეორე დღეს "ტოტენჰემის" წაფორხილებას დაელოდონ.

ნესით, "ევერტონს" დიდი პრობლემები არ უნდა შეექმნას, რადგან **დევიდ მოიესის** გუნდი ბოლო ორი თამაში ბრწყინვალე ფეხბურთს გვიჩვენებს. მერსისაიდელებმა გასვლით მატჩებში ჯერ "სუონსი" დაამარცხეს, მერე "სანდერლენდი" (ასოციაციის თასზე) და **როი ჰოჯსონის** გუნდთანაც ფავორიტებად მიიჩნევიან. სტუმრებს კი მიმდინარე სეზონში გადასაჭრელი ამოცანა პრაქტიკულად აღარ დარჩათ. მართალია, ლიგაში ადგილი ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებიათ, მაგრამ რეალური საფრთხე უკვე ჩავლილია. "ნიუკასლთან" სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ მათ შეიძლება ყურები შეიბერტყონ და "გუდისონ პარკზე" ცოტა მეტი ენერგია დახარჯონ.

30-ე ტურში "ფულჰემმა" "ოლდ ტრეფორდზე" დათმო 3 ქულა. "ოცნებათა თეატრის" სცენაზე ვის არ წაუგია, მაგრამ გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ამის მიზეზი არა იმდენად "კოტეჯელთა" სუსტი ასპარეზობა (არც ამის აღუნიშნაობა ივარგებს), არამედ **მაიკლ ოლივერის** მიერ ბოლო წუთზე 100%-იანი პენალტის არდადება იყო. წესების დარღვევის ფაქტი **ალექს ფერგიუსონმაც** ვერ დამალა, სტუმრებს თერთმეტმეტრიანის მოთხოვნის უფლება ნამდვილად ჰქონდათო, თქვა მან. ცუდი კიდევ ის არის, რომ ლონდონელები ამ წაგების შემდეგ საბოლოოდ გამოეთხოვნენ საევროთასო ამბიციებს. "ნორვიჩმა" ბოლო ტურში გამარჯვებით (2:1) საბოლოოდ გაინაღდა ელიტაში დარჩენა. ბუკმეკერები მასპინძელს მოგების მეტ შანსს აძლევენ, რადგან **პოლ ლამბერტის** გუნდს საუკეთესო ბომბარდირი (12 გოლი) **გრანტ ჰოლტი** დააკლდება, ვინც არბიტრმა **მარკ კლეტენბერგმა** "ვულვზთან" მატჩის მიწურულს მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევა.

### უჩვეულო როლში – მდევრებად

"მანჩესტერ სიტი" თავს უჩვეულოდ გრძნობს. მიმდინარე სეზონში "ქალაქელები" პირველ ადგილზე 5 თვის განმავლობაში იყვნენ გამაგრებულნი, მაგრამ 11 მარტს "სუონსისთან" წაგების შემდეგ მდევრის როლი მოირგეს. ვისაც არ ეზარება ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ შექმნილი ვითარების გამო მათ ნერვები ღალატობთ. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ასეთ ბრძოლებში გამობრძმედილი "სიტის" არც ერთი ფეხბურთელი არ არის. **რობერტო მანჩინის** იტალიის ჩემპიონატი მრავალჯერ მოუგია, მაგრამ ეს იმ დროს, როცა "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ ვითარება იტალიურ ფეხბურთში ძალიან არეული გახლდათ. "სანდერლენდს" ("ნორვიჩისა" არ იყოს) ბოლო ტურებში აღარაფერი ანაღვლებს და თუ მაინცდამაინც თავს გამოიდებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მერე საჩემპიონო მარათონში თავის როლზე სალაპარაკო გაუჩნდეს. თუმცა მაინც ვეჭვობთ, **მარტინ ონილის** შეგირდები "ეტიჰადზე" მასპინძელს რამეს გამორჩნენ, "სიტის" ხომ შინ 15-დან 15 მოგება აქვს.

### არსენალი და ტრადიცია

მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, რაც წელს "არსენალში" უკვე ერთგვარი ტრადიციაა, "მეთოფეები" "ლოფტუს როუდზე" ლონდონურ დერბიში შეხვედრის აშკარა ფავორიტები არიან. **არსენ ვენგერის** შეგირდებმა ჩემპიონატში ზედიზედ 7 თამაში მოიგეს და გაჩერებას არც დღეს აპირებენ. ჩრდილოლონდონელებზე ერთი უცნაურობის აღნიშვნა შეიძლება. 2 თამაშია **რობინ ვან პერსის** არ გაუტანია. ვფიქრობთ, ამის გამო ის ჩვეულებრივზე მეტად კონცენტრირებული იქნება. **მარკ ჰიუზის** გუნდზე კი იმას გეტყვით, რომ ეს გუნდი მორიგეობით ხან იგებს საშინაო შეხვედრას, ხან მარცხდება. წინა შემთხვევაში "ლოფტუს როუდზე" "ლივერპული" დაეცა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე...

"უიგანი" ბოლო სამი თამაშია არ დამარცხებულა, რამაც **რობერტო მარტინესის** გუნდს გადარჩენის იმედი გაუღვივა. განსაკუთრებით ეფექტური იყო გუნდი "ენფილდზე", საიდანაც სრულიად დამსახურებულად წამოიღო 3 ქულა. "სტოკ სიტიმ" უკანასკნელ შეხვედრაში "სიტის" დასცინცქლა ქულა და რაკი დიდად არც გავარდნაზე ნერვიულობს და არც რამე პერსპექტივა აქვს, "დივი სტედიუმზე" ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშებს.

ბოლოადგილოსანი "ვულვზი" კიდევ ერთ აუტსაიდერ "ბოლტონს" მასპინძლობს. "მოლინიუზე" "მგლებს" ერთადერთი უპირატესობა აქვთ – სტუმარი "ტოტენჰემთან" სათასო დაპირისპირების შემდეგ დაღლილია. აისახება თუ არა ეს ანგარიშში, ამას ვნახავთ. ისე, "ბოლტონი" უკეთეს ფორმაშია – ჩემპიონატში ზედიზედ ორი თამაში აქვს მოგებული.

"სენტ ჯეიმს პარკთან" "ლივერპულს" კარგი მოგონებები აკავშირებს. "წითლებს" ბოლო წლებში აქ მასპინძელი ორჯერ ჰყავთ გემოზე "გალახული" - 2009-ში 5:1, 2008-ში კი 3:0. რამდენად უშველის **კენის დალგლიშის** გუნდს ისტორია, ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია, "უილიამ ჰილი" მასპინძელს მოგების ნაკლებ შანსს უწინასწარმეტყველებს.

"ტოტენჰემმა" პრემიერლიგაში ბოლო თამაში 11 თებერვალს მოიგო "ნიუკასლთან". მას მერე ჩემპიონატში "დეზებმა" 5 თამაში გამართეს, საიდანაც 3 წააგეს. თუმცა "უაით ჰართ ლეინზე" **ჰარი რედნაპის** გუნდი მაინც უპირობო ფავორიტი იქნება. მიზეზი მარტივია. ლონდონელებმა ბოლო ტურში "სტემფორდ ბრიჯიდან" წამოიღეს ქულა, რასაც თასზე "ბოლტონთან" 3:1 მიაყოლეს და ხასიათი ცოტა გამოიკეთეს. უელსელებმა პრემიერლიგაში ზედიზედ მოგებული 3 მატჩის შემდეგ მოულოდნელად "ევერტონთან" დათმეს შეხვედრა. რას მოიფიქრებს **ბრენდან როჯერსი**, ამას ხვალ ვნახავთ.

ორშაბათს ჩვენი დროით 23:00-ზე "ივუდ პარკზე" "ბლექბერნი" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს, რითაც 31-ე ტური დაიხურება. ეჭვსგარეშეა, რომ "ალისფერი ეშმაკები" შურისძიების სურვილით აღვსილები გავლენ მოედანზე, რადგან დღემდე მწარედ ახსოვთ პირველი წრის შეხვედრა და **სტივ კინის** "წინასაახალწლო საჩუქარი" – 3:2. თანაც, "იუნაიტედს" "სიტის" შედეგი უკვე ეცოდინება და შესაბამისად **ალექს ფერგიუსონს** გუნდის მოტივირება არ გაუჭირდება.

საფრანგეთი. ლიგა 1. XXX ტურის წინ

# ხაფანგი მარსელ პიკოზე

## დღეს

| | |
|---|---|
| ოსერი-ვალანსიენი | 21:00 |
| ბორდო-დიჟონი | 21:00 |
| ლორიანი-ევიანი | 21:00 |
| სტ. ეტიენი-ნიცა | 21:00 |
| სოშო-ბრესტი | 21:00 |
| ნანსი-პსჟ | 23:00 |

## ხვალ

| | |
|---|---|
| კანი-აიაჩო | 19:00 |
| ლილი-ტულუზი | 19:00 |
| რენი-ლიონი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 29 | 18 | 6 | 5 | 53-27 | 60 |
| 2. პსჟ | 29 | 17 | 9 | 3 | 53-30 | 60 |
| 3. ლილი | 29 | 14 | 11 | 4 | 53-31 | 53 |
| 4. ტულუზი | 29 | 14 | 8 | 7 | 31-24 | 50 |
| 5. ლიონი | 29 | 15 | 4 | 10 | 46-36 | 49 |
| 6. სტ. ეტიენი | 29 | 13 | 7 | 9 | 35-31 | 46 |
| 7. რენი | 29 | 12 | 8 | 9 | 37-33 | 44 |
| 8. ბორდო | 29 | 10 | 11 | 8 | 35-32 | 41 |
| 9. მარსელი | 29 | 10 | 10 | 9 | 36-30 | 40 |
| 10. ევიანი | 29 | 9 | 9 | 11 | 41-43 | 36 |
| 11. ვალანსიენი | 29 | 9 | 7 | 13 | 29-34 | 34 |
| 12. ნანსი | 29 | 8 | 9 | 12 | 27-36 | 33 |
| 13. დიჟონი | 29 | 9 | 6 | 14 | 36-48 | 33 |
| 14. ლორიანი | 29 | 7 | 11 | 11 | 28-37 | 32 |
| 15. აიაჩო | 29 | 7 | 10 | 12 | 31-49 | 31 |
| 16. ბრესტი | 29 | 5 | 15 | 9 | 23-27 | 30 |
| 17. კანი | 29 | 7 | 8 | 14 | 32-44 | 29 |
| 18. ნიცა | 29 | 6 | 10 | 13 | 27-34 | 28 |
| 19. სოშო | 29 | 6 | 9 | 14 | 29-45 | 27 |
| 20. ოსერი | 29 | 4 | 12 | 13 | 33-44 | 24 |

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 30-ე ტური საფრანგეთში არასრულია და თანაც ძალიან საინტერესო მატჩი აკლია – "მარსელი"-"მონპელიე". თამაშის გადატანის თხოვნით ჯერ კიდევ "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე პროფესიული ფეხბურთის ლიგას "მარსელმა" მიმართა. პროვანსელთა თხოვნა დაკმაყოფილდა. ასე რომ, დღეს საღამოს ნანსიში მოგების შემთხვევაში "პარი სენ-ჟერმენს" შეუძლია მეტოქეს სამი ქულით მოსწყდეს და ამით გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვოს, მაგრამ... ვაიდა ვერ მოიგო? მერე თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ დედაქალაქური გრანდი საჩემპიონო რბოლაში ინიციატივას დაკარგავს. "ლურჯ-წითლებს" თასსა და ჩემპიონატში უკვე სამი მოუგებელი თამაში დაუგროვდათ (კანი 2:2, ლიონი 1:3, ბორდო 1:1) და მიჯრით მეოთხე წარუმატებლობა სწორედ ამის ნიშანი იქნება. "ლელოს" გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ **კარლო ანჩელოტისთან**, სადაც იტალიელი "ბორდოსთან" ჩატარებულ მატჩს მკვეთრად უარყოფითად აფასებდა. კარლეტოს თქმით, მის გუნდს უჭირდა ბურთის ჯერ მოპოვება, მერე გათამაშება, ნაკლებად აგრესიული იყო პრესინგის დროს და რაც მთავარია, დაცვაში უამრავ შეცდომას უშვებდა. აღნიშნულ პრობლემებზე სამუშაოდ პსჟ-ს მთელი კვირა ჰქონდა. ვნახოთ, რამდენად ეფექტურად გამოიყენა გუნდმა ეს პერიოდი. ზოგად სტატისტიკას თუ გადავხედავთ, "ნანსიზე" ვერც იმას ვიტყვით, რომ მძლავრი გამომცდელია-თქო და ვერც მეტისმეტად "სტუმართმოყვარეს" ვუწოდებთ - ლოტარინგიელებს საშინაო "მარსელ პიკოზე" ჩატარებული 14 თამაშიდან 4 მოგება და 4 წაგება აქვთ, მაგრამ... ეშმაკი რომ დეტალებში იმალება საქმეც ეს არის. **ჟან ფერნანდესის** გუნდმა ბოლო 4 თამაშიდან 3 მოიგო (1 ფრე), მათ შორის ორი შინ, ჯერ "ლიონთან" (2:0), მერე "მონპელიესთან" (1:0), რისი წყალობითაც მე-18-დან მე-12 ადგილამდე აღზევდა. ამას დავუმატოთ გუნდების ურთიერთშეხვედრების სტატისტიკა, რომელიც ანჩელოტის შეგირდებს კარგს არაფერს უქადის. დედაქალაქელებმა ჩრდილოელები ბოლოს 2009 წელს დაამარცხეს (4:1), მას მერე კი 6 თამაშიდან 2-ჯერ დამარცხდნენ და 4 ფრედ დაასრულეს. პლუს, ლოტარინგიაში 8 ვიზიტიდან პარიზელებს ერთადერთი მოგება აქვთ (2007 წელს, 3:0). ასე რომ, რა შანსი აქვს პსჟ-ს, თავად განსაჯეთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის წინ

# გაფიცვა და დერბები

## საით მიდის ესპანური ქარავანი?

**გრანდების ჭიდილი ბასკურ-ნავარულ გუნდებთან, დიდი ვალენსიური და მცირე მადრიდული დერბები, ერთი დერბიც ანდალუსიაში - ასეთია, პრიმერადივიზიონის 30-ე ტურის „მენიუ“, მაგრამ არის ერთი საფრთხეც: პროფკავშირებმა მთელს ესპანეთში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს (ისინი შრომის კანონმდებლობის გადახედვას აპროტესტებენ) და ვინძლო, ტურის გამართვასაც შეუშალონ ხელი... პირველი ინციდენტები უკვე ხუთშაბათს დაფიქსირდა, როცა „ესპანიოლმა“ ვერ ივარჯიშა სატრანსპორტო პრობლემების გამო, „ბარსელონა“ კი იტალიაში ჩარჩა და მხოლოდ გუშინ დაბრუნდა შინ.**

### დღეს

**სპორტინგი-სარაგოსა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბოტია - სუკულინი, ალვარესი, ლაფიტა

**ტრავმა:** გრეგორი - ლაკრუსი

**რასინგი-გრანადა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** კრისტიანი - მარტინში, ბორხა, ნიომი

**ტრავმა:** აკოსტა, ტონიო - დიახატე, იებდა, ფ. რიკო, რომერო

**ოსასუნა-რეალი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნეკუნამი - პეპე

**ტრავმა:** იბრაჰიმა, მასუდი, სოლა - რ. კარვალიო, კალეხონი, დი მარია (?)

**ბარსელონა-ბილბაო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:**

**ტრავმა:** ფონტასი, აფელაი, აბიდალი, ვილია, ადრიანო - კასტილიო, ოსიო, მარტინესი, გურპეგი

**მალაგა-ბეტისი 00:00**

**ტრავმა:** როსარიო, ტულალანი, ბაპტიშტა, ხოაკინი, ხუანმი - სერხიო, უსტარიცი, მარიო

### ხვალ

**ატლეტიკო-ხეტაფე 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი, გაბი - მიჩელი, რიოსი

**ტრავმა:** სილვიო, ტიაგო - პედრო ლეონი, უსტარი, ლოპესი, ლოპო

**ვალენსია-ლევანტე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბრუნო, სოლდადო, ალბა - ლოპესი

**ტრავმა:** ალკასერი, მიგელი, კანალესი, ბანეგა (ვალ)

**სოსიედადი-ვალეკანო 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ესტრადა, ელუსტონდო (სოს)

**ტრავმა:** მარტინესი, ბერგარა - მიჩელი

**ვილიარეალი-ესპანიოლი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** მორენო (ესპ)

**ტრავმა:** კატალა, როსი - სანჩესი, ს. გარსია, ალვარესი, მარკესი, მატიონი

### ზეგ

**სევილია-მალიორკა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფ. ნავარო - ბიგასი (მალ)

**ტრავმა:** სპაჰიჩი - ტეხერა, კევინი, ოგუნჯიმი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 29 | 24 | 3 | 2 | 95-26 | 75 |
| 2. ბარსელონა | 29 | 21 | 6 | 2 | 84-22 | 69 |
| 3. ვალენსია | 29 | 13 | 8 | 8 | 45-36 | 47 |
| 4. მალაგა | 29 | 14 | 5 | 10 | 44-41 | 47 |
| 5. ლევანტე | 29 | 13 | 5 | 11 | 41-40 | 44 |
| 6. ოსასუნა | 29 | 10 | 13 | 6 | 34-41 | 43 |
| 7. ესპანიოლი | 29 | 11 | 7 | 11 | 37-39 | 40 |
| 8. ატლეტიკო | 29 | 10 | 9 | 10 | 39-35 | 39 |
| 9. სევილია | 29 | 10 | 9 | 10 | 33-31 | 39 |
| 10. ხეტაფე | 29 | 10 | 9 | 10 | 31-36 | 39 |
| 11. ბილბაო | 29 | 9 | 11 | 9 | 44-40 | 38 |
| 12. ვალეკანო | 29 | 11 | 4 | 14 | 42-49 | 37 |
| 13. მალიორკა | 29 | 9 | 9 | 11 | 31-37 | 36 |
| 14. სოსიედადი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-45 | 33 |
| 15. ბეტისი | 29 | 9 | 5 | 15 | 33-43 | 32 |
| 16. ვილიარეალი | 29 | 7 | 10 | 12 | 30-42 | 31 |
| 17. გრანადა | 29 | 9 | 4 | 16 | 27-46 | 31 |
| 18. რასინგი | 29 | 4 | 13 | 12 | 23-44 | 25 |
| 19. სპორტინგი | 29 | 6 | 7 | 16 | 28-54 | 25 |
| 20. სარაგოსა | 29 | 6 | 7 | 16 | 25-51 | 25 |

**ბომბარდირები:** 35 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 18 - გონსალო იგუაინი (რეალი); 16 - ქარიმ ბენზემა (რეალი), რობერტო სოლდადო (ვალენსია); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო); 10 - რუბენ კასტრო (ბეტისი), ჩავი (ბარსელონა), არუნა კონე (ლევანტე).



როგორც იქნა, ბარსამ სამშობლოში ჩააღწია

### მოუ: კასილიასთან არ მიჩხუბია, რაულს წასვლა ჩემს მოსვლამდე ჰქონდა გადაწყვეტილი

*„პამპლონაში თამაში ყოველთვის ძალიან ჭირს. ჩვენ პატივს ვცემთ „ოსასუნას“, მაგრამ იქ ჩვენ თამაშს ვითამაშებთ“*, - აცხადებს „რეალის“ ბრაზილიელი მცველი **მარსელო**, რომლის გამოსვლაც ასე პოზიტიურად დაეტყო „სამეფო კლუბს“ კვიპროსში. გუშინ „რეალის“ მეორე მცველის, **სერხიო რამოსის** იუბილე იყო - ანდალუსიელი 26 წლის გახდა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ის ერთ-ერთი მონინავე ფეხბურთელია კლუბში, მან „რეალის“ მაისურა 302-ჯერ მოირგო და ამ მაჩვენებლით მხოლოდ კაპიტან იკერ კასილიასს ჩამორჩება. ამასთან სერხიოს ანგარიშზე 36 გოლია, არცთუ ურიგო მაჩვენებელია მცველისთვის. სერხიო ძალიან ფრთხილად უნდა იყოს პამპლონაში, თუკი ყვითელ ბარათს მიიღებს, ეს მისთვის მე-10 იქნება და მომდევნო ტურის შეხვედრის გამოტოვება ემუქრება. მსგავსი ბედი ელით **ჩაბი ალონსოს** (9 გაფრთხილება) და **კრიშტიანო რონალდოსაც** (4 გაფრთხილება).

ჟოზე მოურინიოს გუნდი ნავარაში რიხით ჩადის: ხუმრობა ხომ არაა, ზედიზედ 19 მატჩია, „რეალს“ სტუმრად არ წაუგია. ეს „რეალის“ ისტორიაში საუკეთესო მიღწევაა, მადრიდელებს შეუძლიათ მაჩვენებელი 20-მდე გაზარდონ, თუმცა უპირველესი ამოცანა მაინც სამივე ქულის აღებაა - „ბარსელონა“ მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩება „სამეფო კლუბს“.

მეორე მხრივ, „ოსასუნასაც“ შესანიშნავი დროება უდგას, ნავარული კლუბი 6 ტურია წაუგებელია და 43 ქულით მე-6 ადგილზეა. მასპინძლებს არ ეყოლებათ **მარკ ბერტრანი**, რომელმაც „ლევანტესთან“ მატჩში ტრავმა მიიღო. ასევე არ იქნებიან **კიკე სოლა** და **მასუდ შოჯაეი**, თუმცა კიდევ ერთი ირანელი, **ჯავად ნეკუნამი** ბრუნდება, მან დისკვალიფიკაცია მოიხადა.

„რეალს“ ტრავმების გამო დააკლდება **ხოსე კალეხონი**, **ლასანა დიარა** და **რიკარდო კარვალიო**. აი, **ანხელ დი მარია** კი ბრუნდება და თუ ძირითად შემადგენლობაში არა, სათადარიგოთა სკამზე მაინც იქნება. **მესუთ იოზილმა** მოიხადა დისკვალიფიკაცია (ისევე როგორც, ჟოზე მოურინიომ), **პეპეს** კი ერთი მატჩი კიდევ მოუწევს დასვენება. პეპეს ალბათ **რაფაელ ვარანი** შეცვლის, ახალგაზრდა მცველისთვის პამპლონაში თამაში დიდი გამოცდა იქნება.

პრესკონფერენციაზე ჟოზე მოურინიომ კატეგორიულად უარყო, პრესაში გავრცელებული ხმები, თითქოს, მას კიდევ დაეძაბა ურთიერთობა **იკერ კასილიასთან**. *„მსგავსი არაფერია, ყველა ფეხბურთელთან კარგი ურთიერთობა მაქვს, გამოგონებულ ისტორიას კი რა კომენტარი გავუკეთო“*, - განაცხადა პორტუგალიელმა, რომელმაც მოულოდნელად **რაული** ახსენა და ხუთშაბათის დუბლისთვის ცამდე აქო, ფანტასტიკური ფეხბურთელი უძახა. კითხვაზე, მაშ რატომღა გაუშვითო, მოურინიომ უპასუხა: *„მას ჩემს მოსვლამდე ჰქონდა მყარად გადაწყვეტილი „რეალიდან“ წასვლა“*.

#### ფაქტები

■ „ოსასუნამ“ ამ სეზონში მხოლოდ 2 მატჩი წააგო შინ, „რასინგთან“ და „ატლეტიკოსთან“.

■ „რეალმა“ ბოლო სამი ვიზიტიდან ორი მარცხით დაასრულა პამპლონაში. „სამეფო კლუბმა“ პამპლონაში ბოლოს 2008 წლის მაისში მოიგო.

■ „რეალს“ თამაშში საშუალოდ 3,3 გოლი გააქვს, ეს ლა ლიგის საუკეთესო მაჩვენებელია.

■ წინა ტურში კრიშტიანო რონალდომ ლა ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფად მიაღწია 100-გოლიან ზღვარს (92 მატჩში).

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოსასუნა:** *ა. ფერნანდესი - რაიტალა, როვერსიო, ფლანიო, დამია - პუნიალი, ნეკუნამი - სეხუდო, რ. გარსია, ლამა - ნინო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - იოზილი, კაკა, რონალდო - ბენზემა.*

### აეროპორტიდან კამპ ნოუზე

„ბარსელონა“ შეეცდება ლა ლიგაში მოგებათა სერია 8-მდე გაზარდოს, თუმცა მეტოქეც სერიოზული ჰყავს - ფაქტობრივად ეს შეხვედრა 25 მაისს „ვისენტე კალდერონზე“ გასამართი თასის ფინალის მოთელვაა - „კამპ ნოუს“ ბილბაოს „ატლეტიკი“ სტუმრობს.

ერთი დიდი უპირატესობა, რომელიც ჩემპიონს აქვს - „ბილბაომ“ ხუთშაბათს გერმანიაში მომქანცველი თრილერი მოიგო ევროპალიგაზე „შალკეს“ წინააღმდეგ - 4:2 და ძალების აღდგენის მოსწრება გაუჭირდება. არადა, ბასკებს ლა ლიგაში ასე კარგად არ მიუდით საქმე, როგორც ევროსარბიელზე - გუნდი 38 ქულით მხოლოდ მე-11 ადგილზეა.

„ბარსელონასაც“ შეექმნა პრობლემები - გუნდი მილანიდან მხოლოდ პარასკევს დაბრუნდა და აეროპორტიდან „კამპ ნოუზე“ გაემართა სავარჯიშოდ. გუნდთან ერთად ივარჯიშა ტრავმამოშუშებულმა **ადრიანომ** და **ერიკ აბიდალმაც** (!), რომელსაც წესით, არ უნდა ეფეხბურთებოდეს. ადრიანომ ტრავმა 20 მარტს „გრანადასთან“ მატჩში მიიღო, მისი თამაში „ბილბაოსთან“ ჯერაც საეჭვოა.

„ბარსას“ დაუბრუნდა დისკვალიფიკაციამოხდილი **დანი ალვეში**, თუმცა **ხოსეპ გვარდიოლა** დილემის წინაშეა - დაასვენოს თუ არა რამდენიმე ვარსკვლავი „მილანთან“ გადამწყვეტი მატჩის წინ.

**ტიაგო ალკანტარა**, რომელსაც წესით არ უნდა ეთამაშა, გვარდიოლას განკარგულებაშია, რადგან სადისციპლინო კომიტეტმა ახალგაზრდა ნახევარმცველს წითელი ბარათი გაუუქმა. **იბრაჰიმ აფელაის** აქვს შანსი სათადარიგოთა შორის მოხვდეს.

**მარსელო ბიელსას** უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი **მიკელ სან ხოსე**. გერმანიაში ტრავმა არავის მიუღია.



მეორე ლოგოზე ჯვარი „გაქრა“

#### ფაქტები

■ „ბარსელონამ“ ლა ლიგაში ზედიზედ 7 მატჩი მოიგო, ბურთების შეფარდება: 21:6.

■ 51 მატჩია (!) „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ არ წაუგია.

■ ბოლო 8 მატჩში **ლიონელ მესიმ** 15 გოლი გაიტანა.

■ „ბილბაოს“ ლა ლიგაში 4 მატჩია არ მოუგია (1 ფრე, 3 წაგება).

■ „ბილბაომ“ „კამპ ნოუზე“ ბოლოს 2001 წლის ნოემბერში მოიგო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, პუიოლი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, პედრო.*

**ბილბაო:** *ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - დე მარკოსი, იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, ფ. ლორენტე, მუნიაინი.*

### სამი დერბი, სამი ომი

მალაგაში ამაღამ ანდალუსიური დერბი გველის, მე-4 ადგილზე მყოფ „მალაგას“ „ბეტისი“ სტუმრობს. სევილიელებს ჯერ კიდევ არ აქვთ თავი ქუდში, მათთვის ჯერჯერობით გრძელდება ბრძოლა ადგილის შენარჩუნებისთვის. **მანუელ პელეგრინის** გუნდში ბევრი ტრავმირებულია, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია **ხოაკინის**, **ბაპტიშტას** და **ტულალანის** არყოფნა.

ხვალ უკვე ვალენსიური დერბია: „ვალენსია“ „ლევანტეს“ წინააღმდეგ. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. „ბაყაყებთან“ ფეხის დაცდენა არა გვგონია, შერჩეს „ღამურების“ მწვრთნელ **უნაი ემერის**.

კვირას, „ვისენტე კალდერონზე“ „ატლეტიკო“ მადრიდულ დერბიში „ხეტაფეს“ უმასპინძლებს.

### ჯვარი „მოტეხეს“

მოგეხსენებათ, როგორ გააქტიურდა მადრიდის „რეალი“ არაბულ ბაზარზე. ახლახან სიმბოლურად მიეცა სტარტი „რეალის“ მომავალ დასასვენებელ კუნძულის შენებას (დიახ, კუნძული ხელოვნურია) არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. პირველად ნიჩაბს ფეხი სწორედ **ფლორენტინო პერესმა** დაჰკრა. ამ ხელოვნურ კუნძულზე, რომელიც 2015 წელს გაიხსნება, უკვე ვწერდით. ახლა მხოლოდ ერთს შევნიშნავთ - „რეალის“ გერბი არაბეთში შეცვლილია, მუსულმანური მოსახლეობის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, ჯვარი ლოგოზე მოცილებულია. რამდენად მოეწონებათ ეს „სიახლე“ ესპანელებს?

#### ლა ლიგის სტატისტიკიდან

**გოლები თავით**

| გოლი | გუნდი |
|---|---|
| 16 | ბილბაო |
| 11 | მალაგა, ვალეკანო |
| 10 | ატლეტიკო, ოსასუნა |
| 9 | რეალი, ესპანიოლი, მალიორკა, გრანადა |
| 8 | ბარსელონა, ლევანტე, სევილია, რასინგი |
| 7 | ვალენსია |
| 6 | სოსიედადი, ხეტაფე |
| 4 | ბეტისი, სარაგოსა |
| 3 | ვილიარეალი |
| 2 | სპორტინგი |

**გოლები საჯარიმო დარტყმით**

| გოლი | გუნდი |
|---|---|
| 4 | ბარსელონა, მალაგა |
| 3 | ლევანტე |
| 2 | ბეტისი, ვილიარეალი |
| 1 | ბილბაო, ვალენსია, ვალეკანო, ესპანიოლი, ოსასუნა, მალიორკა, სპორტინგი, ხეტაფე, გრანადა |
| 0 | რეალი, ატლეტიკო, სევილია, სოსიედადი, სარაგოსა, რასინგი |

**გოლები პენალტით**

| გოლი | გუნდი |
|---|---|
| 10 | რეალი |
| 5 | ლევანტე, ატლეტიკო, მალიორკა |
| 4 | ვალეკანო, რასინგი |
| 3 | ბარსელონა, ბეტისი, ვილიარეალი, გრანადა, სარაგოსა |
| 2 | ვალენსია, ხეტაფე |
| 1 | ბილბაო, მალაგა, ესპანიოლი, ოსასუნა, სევილია, სპორტინგი |
| 0 | სოსიედადი |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ასტონ ვილა

# სტილიან პეტროვი ლეიკემიით არის ავად


სტილიან პეტროვი

"ასტონვილამ" საკუთარ ვებგვერდზე შოკისმომგვრელი განცხადება გაავრცელა, რომელსაც აქვე გთავაზობთ: "კლუბის ხელმძღვანელობამ ინფორმაცია მიიღო, რომ ჩვენს კაპიტან სტილიან პეტროვს ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს. "არსენალთან" შეხვედრის შემდეგ სტილიანს სიცხემ აუწია, რის შემდეგაც ის გამოსაკვლევად დოქტორ იან მაკგინესთან გავაგზავნეთ. ჰემატოლოგიურმა ექსპერტიზამ პირველადი დიაგნოზი უკვე დაადასტურა. უახლოეს დღეებში ველოდებით, რომ აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით უფრო მეტ ინფორმაციას მივიღებთ. ამწუთას კი გვინდა, სტილიანსა და მის ოჯახს მხარდაჭერა გამოვუცხადოთ. ასეთ ვითარებაში პირად ცხოვრებაზე უფლება ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ, თუმცა გპირდებით, რომ ყველა აუცილებელ ინფორმაციას ოპერატიულად გაგაცნობთ. ფეხბურთელს კლუბში ყველა გვერდით უდგას. ჩვენ ყველამ ერთად უნდა მოვახერხოთ და მას სიტუაციიდან გამოსავალი მოვაძებნინოთ".

აქვე გაგაცნობთ "ასტონ ვილასთან" დაკავშირებულ კიდევ ერთ ინფორმაციას. სეზონის დასრულებისთანავე ბირმინგემელთა 25 წლის თავდამსხმელის **გაბრიელ აგბონლაჰორის** გადაბირება "სანდერლენდი" შეეცდება. "შავი კატები" მზად არიან, ფეხბურთელში 7 მილიონი ფუნტი გადაიხადონ. "ვილა" ლიდერს ბევრად უფრო ძვირად აფასებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გაბის წელს სუსტი სეზონი აქვს (28 თამაშში 6 გოლი და 7 პასი), ფასი ალბათ სერიოზულად დაიკლებს. ფეხბურთელი ჯერ კიდევ შემოდგომაზე აცხადებდა, **ეშლი იანგის** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ მოედანზე თავს ობლად ვგრძნობო. აგბონლაჰორის კონტრაქტს ვადა "ასტონ ვილასთან" 2015 წელს ეწურება.

"სანდერლენდის" ხელმძღვანელობა **მარტინ ონილს** სატრანსფეროდ სოლიდური თანხების გამოყოფას შეჰპირდა. გარდა ბირმინგემელისა, ონილს ყოფილი კლუბიდან **რიჩარდ დანის** შეძენაც სურს. რაც მთავარია, კლუბმა "არსენალიდან" **ნიკლას ბენდტნერის** კონტრაქტის გამოსყიდვაც საბოლოოდ გადაწყვიტა.

ამბები

## აშკარად დაუჯერებელი: მოურინიო სიტის შეუთანხმდა

"პუნტო რადიოს" ცნობით, მადრიდის "რეალის" დამრიგებელმა **ჟოზე მოურინიომ** წინასწარი კონტრაქტი გააფორმა "მანჩესტერ სიტისთან". წყაროს მტკიცებით, პორტუგალიელმა ამის შესახებ თავისი კლუბის პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** უკვე აცნობა, მიზეზად კი **იკერ კასილიასთან** დაძაბული ურთიერთობა დაასახელა. მათ შორის კონფლიქტზე ესპანურ პრესაში უკვე რამდენჯერმე დაიწერა.

ბრიტანული პრესის ცნობით კი, მანჩესტერელები "რეალის" კიდევ ერთი პორტუგალიელი ვარსკვლავით არიან დაინტერესებულები. ლაპარაკია **კრიშტიანო რონალდოზე**. უცნობია, რა თანხად შეიძლება შეფასდეს ფეხბურთელი, ვისაც წელს ჩატარებულ 43 შეხვედრაში 45 გოლი და 12 საგოლე გადაცემა აქვს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ "ეტიჰადზე" მას კვირაში 400 ათას ფუნტზე მეტს გადაუხდიან. ჯერჯერობით "სიტის" მხრიდან ამ ინფორმაციებზე კომენტარი არავის გაუკეთებია.

## ფინანსური კრიზისი მარსელში

მარსელის "ოლიმპიკში", როგორც ჩანს, მხოლოდ სათამაშო კი არა, ფინანსური კრიზისიც მძვინვარებს. სიტუაციის აღსაწერად ცოტა რბილი ფორმულირების ნახვაც შეიძლებოდა, თუმცა ამ კალიბრის გუნდისთვის მსგავსი პრობლემები, როგორიცაა ბონუსების დაგვიანება, მეტისმეტად უცხოა. გაზეთ "პროვანსის" ცნობით, ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში გასვლისთვის კუთვნილი პრემიები ჯერ არ მიუღიათ, არადა ველოდრომელებმა ეს უფლება გასული წლის 6 დეკემბერს გაინაღდეს. ამასთან, ცნობილი ხდება ისიც, რომ პრეზიდენტმა **ვენსან ლაბრუნმა** პროფესიული ფეხბურთის ლიგაში უკვე შეიტანა განცხადება, რომლის თანახმადაც კლუბი ფეხბურთელებისთვის მაისის ხელფასების გადავადების უფლებას იქამდე ითხოვს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობისთვის უეფასგან კუთვნილ თანხას არ მიიღებს.

## ვენგერი 3 თამაშით მოკვეთეს


არსენ ვენგერი

უეფამ "არსენალის" მთავარ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** ევროთასებზე 3-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცა და პლუს, 40 ათასი ევროთი დააჯარიმა. მიზეზი ციურიხელი ფუნქციონერებისთვის ტრივიალურია – 62 წლის ფრანგმა სპეციალისტმა 6 მარტს "არსენალი"-"მილანის" (3:0) სლოვენიელ არბიტრ **დამიენ სკომინას** თამაშის შემდეგ კრიტიკა "აკადრა", განაცხადა რა, რომ მსაჯი ძალიან ბევრ ჯარიმას ნიშნავდა მოედნის ცენტრში, რითაც "როსონერი" მუდმივად სარგებლობდა და სწორედ ცენტრში მოპოვებული წვრილმანი ჯარიმებით "არსენალის" შეტევებს აფერხებდა. გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ვენგერს 3 დღე აქვს. შეგახსენებთ, რომ უეფამ ვენგერი შარშანაც შერისხა. ფრანგს მაშინ "ბარსელონასთან" მატჩის არბიტრის მუშაობა არ მოეწონა. ასეთი მკაცრი სანქციებიც სწორედ ამითაა გამოწვეული.

ლევან ბიბილაშვილი

ჩელსი

# დიდი ბაზრობა

მიმდინარე სეზონში "ჩელსის" წარუმატებელი ასპარეზობის გამო ლონდონელები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან, რომ ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშების მიღმა დარჩნენ, რაც კლუბს, მინიმუმ, 30 მილიონი ფუნტის ზარალს უქადის. აქედან გამომდინარე, "ლურჯების" ხელმძღვანელობა აქედანვე გეგმავს, თუ რა შეიძლება ილონოს ზარალის შესამცირებლად. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ **რომან აბრამოვიჩს** დოტაციისთვის რესურსი არ აქვს. უეფას "ფეარ პლეის" წესებით, კლუბებმა პირველ ეტაპზე კონკრეტულ დონემდე უნდა დაიყვანონ მესაკუთრეთა მიერ დახარჯული სახსრების წილი, რის მიღწევასაც "ლურჯები" უკვე რამდენიმე წელიწადია ცდილობენ.

ფინანსური წლის დადებითი შედეგით დასრულებისთვის "ჩელსის" ფეხბურთელების გაყიდვა მოუწევს. მახაჩყალის "ანჟი" ლონდონელებს **ფერნანდო ტორესში** 45 მილიონ ფუნტს სთავაზობს. სხვა საქმეა, თავად ესპანელი ვარსკვლავი რამდენად დათანხმდება კარიერის რუსეთში გაგრძელებას. მოთხოვნა არსებობს "ჩელსის" სხვა ფეხბურთელებზეც. მაგალითად, "პარი სენ-ჟერმენის" თავკაცი **კარლო ანჩელოტი** მზადაა, 31 წლის **ეშლი კოულში** 12 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, "რეალი" კი **რაულ მეირელეშში** 10 მილიონს იხდის.


ფერნანდო ტორესი ფორმაში შედის


## ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია

თბილისი, ფალიაშვილის №15

**უროლოგია**

- პოტენციის აღდგენა ასაკისა და მიმდინარე დაავადებების მიუხედავად.
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება და მკურნალობა.

**გინეკოლოგია**

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.
- საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა კრიო აპარატით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი.

**პროქტოლოგია**

- ბუასილის მკურნალობა უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**ექოსკოპია**

- სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, მაღალხარისხიანი ულტრაბგერითი გამოკვლევა ექიმ ლადო კახაძესთან.

გამოიყენება თანამედროვე მკურნალობის მეთოდები.

ანონიმურობა დაცულია!

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა



ტელ: 229 00 66; 229 47 47

დარეკეთ და ჩაეწერეთ!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

Email: oxford.tbilisi@gmail.com

ბოლო ტურის წინ




# ჭაბუკებს კიევი შეგვირჩევს

დღეს და ხვალ კიევში ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის ევროპის თასი ტარდება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით იასპარეზებს: **ირაკლი კუპატაძე** (50), **გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი, ერეკლე არხოზაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი** (55), **კობა მჭედლიშვილი, ბექა სეხნიაშვილი, დიმიტრი ცაბაძე, ბექა უდესიანი** (60), **ზაზა მეგრელიშვილი** (66), **თამაზ კირაკოზაშვილი, ვანო ჩურჩხელაშვილი** (73), **გიორგი ქურდიანი, ნიკა მოველიძე** (81), **დავით რამაზაშვილი, გიორგი გველესიანი** (90), **გიორგი ძებისაშვილი, ზაზა გოჯიაშვილი** (+90). ორი წარმომადგენელი გვეყოლება გოგოების ტურნირშიც - **მარიამ ჯანაშვილი** და **გურანდა შოთაძე**, რომლებიც 57-ში ჭიდაობენ.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ამ ასაკის ნაკრებმა წარმატებით იჭიდავა ანთალიაში ასევე ევროპის თასზე, სადაც ნათათრალიშვილი და მეგრელიშვილი ჩემპიონები გახდნენ, არხოზაშვილი, მჭედლიშვილი, რამაზაშვილი და გოჯიაშვილი მეორეზე გავიდნენ, კუპატაძე, კაციაშვილი, მოველიძე, გველესიანი და ძებისაშვილი კი მესამე პრიზიორები გახდნენ. ასევე მესამეზე გავიდნენ ჯანაშვილი და შოთაძე. მწვრთნელები ახლაც თურქეთში ნაჭიდავებ შემადგენლობას დაეყრდნენ, რადგან ევროპაზე წასვლის პრეტენდენტთა ძირითადი ბირთვი მათ ხარჯზე გამოიკვეთა, თუმცა ამჯერად გამოცდილების მისაღებად გუნდს კიდევ რამდენიმე მოზარდი დაამატეს. სავარაუდოდ, კიევში უკვე ყველა სადავო საკითხი გადაიჭრება, ხოლო თუ რომელიმე წონაში მაინც ღიად დარჩება კონკურენციის საკითხი, მაშინ საამისოდ კანდიდატები 5-6 მაისს ევროპის კიდევ ერთ თასზე გამოვლენ ბერლინში. გერმანიაში დასკვნით ტურნირზე სტარტისთვის ისინიც იჭიდავებენ, რომლებიც კიევის შემდეგ უკვე საბოლოოდ გაინაღდებენ ადგილს ნაკრებში.

დღეს ბიჭებიდან 50, 55, 60 და 66 კილოგრამების წარმომადგენლები, დანარჩენები კი ხვალ მოსინჯავენ ძალებს. ხვალვე იასპარეზებენ ჩვენი გოგოებიც. იმედია, ანთალიაში ნაჩვენებ შედეგს თუ არ გააუმჯობესებენ, არც ჩამორჩებიან. არადა, ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გია თენაძის** თქმით, თურქეთში ჯანაშვილი შემთხვევით დამარცხდა რუს **კატარინა ბოლოტოვასთან**, რაც გამოუცდელობით იყო გამოწვეული, თორემ ვინძლო, შარშანდელი შედეგიც გაემეორებინა, როცა ჩემპიონი გახდა. სამაგიეროდ, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ბოლოტოვას შოთაძემ აუღო რევანში ძალზე დამაჯერებლად.

**ირაკლი თავაძე**

თბილისი-2015. კონკურსი

# დასრულდა, მაგრამ მაინც გრძელდება

დასრულდა 2015 წელს თბილისში გასამართავი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სიმბოლიკაზე გამოცხადებული კონკურსი, რომელშიც მსურველებმა 200-მდე ნამუშევარი წარადგინეს. გუშინ სეოკ-ის ოფისში „თბილისი-2015-ის“ საორგანიზაციო კომიტეტმა ჟიურის მიერ საუკეთესოდ დასახელებული ლოგოს პრეზენტაცია გამართა და წარმოგვიდგინა მისი ავტორი - **ია დარახველიძე**, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის 2-კაციანი საგზურით დაჯილდოვდა. დარახველიძე ბრიტანეთში დასთან ერთად გაემგზავრება და 5 დღის განმავლობაში დაესწრება თამაშებში ქართველ სპორტსმენთა გამოსვლებს.

გუშინვე წარმოგვიდგინეს ფეისბუქზე გამარჯვებული ლოგოს ავტორი, რომელიც ქომაგებმა დაასახელეს - **ია მოსაშვილი**. მას ჯილდოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ნაკრების სრული ეკიპირება გადაეცემა, ოღონდ პრიზს მოგვიანებით მიიღებს, რადგან სამოსი ჯერ არაა დამზადებული.

ამდენად, კონკურსი დამთავრდა, მაგრამ ლოგოს ძიება ისევ გრძელდება. საქმე ისაა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს ბოლომდე არ აკმაყოფილებს ლოგოს წარმოდგენილი ვარიანტი და კვლავაც ახლის ძიებაშია, ოღონდ ამჯერად პირადად აწარმოებს მოლაპარაკებას სასურველ პარტნიორებთან. როგორც „თბილისი-2015“ პროექტის კოორდინატორმა **გიორგი ხაჩიძემ** გვითხრა, კონკურსის პირობებში თავიდანვე იყო ჩადებული მუხლი, რომ შეიძლება გამარჯვებული ვარიანტი არ გამხდარიყო ფესტივალის ოფიციალური ემბლემა და ეს ავტორთან არანაირ გაუგებრობას არ გამოიწვევს, თუმცა გამარჯვებულები საკომპენსაციოდ შეპირებულ ჯილდოებს მაინც მიიღებენ. ხაჩიძისავე თქმით, კონკურსის განმავლობაში მათ ბევრი სარეკლამო კომპანია თუ სხვადასხვა ორგანიზაცია დაუკავშირდა. ასე განსაჯეთ - ბრიტანულ-რუსული სარეკლამო კომპანიებიც კი დაინტერესებულან. ახლა საორგანიზაციო კომიტეტი მათთან ინდივიდუალურად აწარმოებს მოლაპარაკებას, ოღონდ სიმბოლიკის მთელ კომპლექტზე - ლოგო, სლოგანი, თილისმა, საუკეთესოს კი უკვე არა ჟიური, არამედ თავად ორგკომიტეტი აარჩევს. რაც შეეხება დარახველიძის შეთავაზებულ ლოგოს, ის კვლავაც რჩება ერთ-ერთ პრეტენდენტად და არაა გამორიცხული, ყველა ვარიანტის განხილვის შემდეგ ისევ მასზე შეჩერდნენ.

გუშინდელი პრესკონფერენციის მეორე საკითხი ლიტვურ შიაულიაიში 12-წლამდელ ჩოგბურთელთა ტურნირში ჩვენი გუნდის (**ანა შანიძე, ლანა კენჭიაშვილი, ზურაბ ტყემალაძე** და **გიორგი ფშავლიშვილი**) მონაწილეობა იყო. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ




**ლეილა მესხის** თქმით, ამ ასაკის სპორტსმენებს პირველად აგზავნიან უცხოეთში შეჯიბრებაზე, რაც სეოკ-ისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით მოხდა. 12-წლამდელთა ერთი ჯგუფი უკვე პორტუგალიაშია, თუმცა ლიტვაში ძირითადი შემადგენლობა მიდის.

**ირაკლი თავაძე**

სამბო. ფედერაციის ყრილობა

# ლიპარტელიანი სამბოს ჩოხაში

გუშინ სამბისტებმა ფალავანთა კლუბში გამართულ რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე სამბოს ფედერაციის ახალ პრეზიდენტად დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელი, ძიუდოში ოლიმპიური პრიზიორი **სოსო ლიპარტელიანი** აირჩიეს. საარჩევნო ყრილობის საჭიროება მას შემდეგ გაჩნდა, რაც ძველი პრეზიდენტი, საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელი **თემურ გიორგაძე** პოსტიდან გადადგა. შეგახსენებთ, რომ მან მანამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი **არჩილ ჩოხელს** გადააბარა. ეტყობა, თავის ძირითად სამსახურთან სპორტის შეთავსება გაუჭირდა. ცოტა ხნის წინათაც იყო შემთხვევა, როცა შუა ტურნირისას ხანძრის გამო სასწრაფოდ სამსახურში გამოიძახეს და მის ლოდინში შეჯიბრების ფინალური ბლოკის დაწყება ცოტა შეფერხდა.




ლიპარტელიანმა კარიერის ძირითადი ნაწილი ძიუდოში კი გაატარა, მაგრამ შეხება სამბოსთანაც ჰქონდა. მას არჩევნებში კონკურენტი არ ჰყავდა და 45-ივე დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი. ასევე ერთხმად აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტიც - **თამაზ ცოფურაშვილი**.

ლიპარტელიანმა ყრილობის მონაწილეებს ძირითადი სამუშაო გეგმებიც გააცნო - რეგიონებში სამბოს განვითარება, მსაჯებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება და თბილისში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დაარსება. მისი თქმით, შეიცვლება ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ხელმძღვანელებიც, თუმცა მათ ვინაობას მოგვიანებით დაასახელებს.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

წყალბურთი



# ჩემპიონები მოგებით, ვიცე-ჩემპიონები კი მარცხით იწყებენ

გუშინ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობს. სტარტზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შარშანდელი პირველობის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორები:

**თბილისი — ივერია 6:7**

(3:2, 1:2, 2:2, 0:1).

**„თბილისი“:** ნამორაძე, ქენქაძე (3), კოტარია (1), ბაბუნაშვილი, ლაითაძე (1), ყავლაშვილი, ტუკვაძე, რაფავა (1), ჩერქეზიშვილი, ჩომახაშვილი, ქავთარაძე, ალიბეგაშვილი, ლომიძე, მანძულაშვილი, მწვრთნელები — ბაქრაძე, კინწურაშვილი.

**„ივერია“:** შუბლაძე, ჩიქვინიძე (1), ქარჩილაძე, ჯახაია, ცანკაშვილი (3), სხილაძე, ქართველიშვილი, გელაშვილი (1), ურუშაძე, სულაძე (1), ყაზახიშვილი (1), კახეთელიძე, კაპანაძე, მწვრთნელები — ჩომახიძე, ჩხარტიშვილი.

შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველ პერიოდში ვიცე-ჩემპიონები დაწინაურდნენ ერთი ბურთით. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში 1993-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრების წევრებით დაკომპლექტებულმა „ივერიამ“ წონასწორობა აღადგინა. მესამე პერიოდში თანაფარდობა არ დარღვეულა, რადგან მეტოქეებმა მხოლოდ ორ-ორი ბურთი გაცვალეს. დასკვნით ეტაპზეც თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ივერიელებმა პენალტით გამარჯვების გოლი გაიტანეს და გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს.

**ლიგამუსი — ზვიგენები 12:7**

(5:2, 2:1, 1:2, 4:2)

**„ლიგამუსი“:** ჭუმბურიძე, თუხარელი, მანძულაშვილი (1), იმნაიშვილი (1), ბაქრაძე ჩიკვაიძე, ხვედელიანი (1), რუსიშვილი, გიორგაძე (4), გეგელაშვილი (3), ნიკოლეიშვილი (2), გაბადაძე, შენგელია, ბალათურია, მწვრთნელი ისელიძე.

**„ზვიგენები“:** ციხელაშვილი, ალავიძე, ალხაზოვი, ჩოდრიშვილი (3), ბერიშვილი, თოდრია, გოგელია, ცაგარელი (2), ბრეგვაძე (1), დოლიძე, მოსეშვილი (1), ჩიხლაძე, ქოიავა, ჩუბინიძე, დაუშვილი, მწვრთნელები — მაისურაძე, დოლიძე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი“ შარშანდელი გათამაშების გამარჯვებულია. არც არის გასაკვირი, რადგან გუნდი, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. ჩემპიონებს წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზეც წარმატების მიღწევა არ გასჭირვებიათ. შესვენებამდე ისინი შეხვედრას ოთხი ბურთის სხვაობით იგებდნენ. მესამე პერიოდში „ზვიგენებმა“ მატჩში გარდატეხის შეტანა სცადეს — რვაწუთიანი მონაკვეთი ერთი ბურთითაც მოიგეს, მაგრამ ბოლო პერიოდში ლიგამუსელებმა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დააბრუნეს და გაიმარჯვეს კიდეც — 12:7.

**ჭაბუკთა ნაკრები — ბათუმი 22:5**

(7:0, 4:1, 7:1, 4:3)

**ჭაბუკთა ნაკრები:** ინწკირველი, ჩიკვაიძე, რევია (2), იმნაიშვილი (2), გაბადაძე (1), ბითაძე (3), ჯახაია (3), ჩერქეზიშვილი (1), კახეთელიძე (4), ყაზახიშვილი (1), ჩომახაშვილი (2), კაკულია (3), შენგელია, მწვრთნელები — პოპოვიჩი, ბაქრაძე.

**ბათუმი:** დადიანი, მელუა, ბარამიძე (1), ბერიძე (2), ხუხუნაშვილი, ხოზრევანიძე (1), ფანცხავა, გამყრელიძე (1), ჩაგუნავა, საბაშვილი, ზოიძე, მჟავანაძე, ძნელაძე, პეტრიძე, მწვრთნელი კაზიევი.

უკვე ვწერდით, რომ წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატს ორი გუნდი დაემატა — 1995 წელსა და უფრო გვიან დაბადებულთა საქართველოს ნაკრები, რომელიც აპრილის პირველ დეკადაში ნოდარ გვახარიას თასზე საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშებს და „ბათუმი“. დებიუტანტები გუშინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამას წინათ სერბეთში წრთობაგამოვლილმა ბიჭებმა აშკარად დაჩაგრეს ზღვისპირელები და დიდი ანგარიშითაც სძლიეს მეტოქეს — 22:5.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: „ლიგამუსი“-„ბათუმი“, ჭაბუკთა ნაკრები-„თბილისი“, „ივერია“ - „ზვიგენები“.

**ვაჟა დანელია**

ფიგურული ციგურაობა

# ისევ ბოლოსწინა ჯგუფში, ისევ მესამე

დღეს ფრანგულ ნიცაში ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს მორიგი პირველობა დასრულდება. ასპარეზობის ბოლო პროგრამა ძალზე საინტერესო უნდა იყოს ქართველი გულშემატკივრებისათვის - 22 წლის **ელენე გედევანიშვილი** შეეცდება თავისუფალ პროგრამაში მიღწეულის (მოკლე პროგრამის შემდეგ მე-7 ადგილზეა) გაუმჯობესებას და ხუთეულში დამკვიდრებას. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურმა კარგად ისრიალა ასპარეზობის პირველ დღეს, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სულ რაღაც 2,5 ქულით ჩამორჩება მესამე ადგილზე მყოფ **კაროლინა კოსტნერს** (იტალია), მე-4 ადგილზე მყოფ **მაო ასადასთან** (იაპონია) ჩამორჩენა კი სულ რაღაც ქულაა. გედევანიშვილისთვის მე-7 მსოფლიოს ჩემპიონატი, შესაძლოა, ყველაზე წარმატებული გამოდგეს - აქამდე ის ორჯერ გავიდა მე-10 ადგილზე.



გუშინდელმა კენჭისყრამ ელენე ბოლოსწინა ჯგუფში მოახვედრა, სადაც მესამე გავა ყინულზე **ვალენტინა მარკეის** (იტალია) და **კექსინ ჟანგის** (ჩინეთი) შემდეგ. აბსოლუტურად ყველა, ვინც ჩვენებურს უსწრებს - ბოლო, მეოთხე ჯგუფში ისრიალებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● სპორტული მედიცინა. სემინარი

# კინეზოთერაპია საქართველოშიც შემოდის

თბილისში გუშინ დაიწყო ორდღიანი საერთაშორისო სემინარი კინეზოთერაპიის თემაზე, რომლის ინიციატორებიც საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია და ფირმა „ეს-კა-ინტექსი" არიან.

სემინარს თითქმის ყველა ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრების ექიმები და სპორტულ მედიცინაში ჩართული დასტაქრები ესწრებიან, მომხსენებელი კი იტალიელი **მასიმო მარუცია.**

კინეზოთერაპია მკურნალობის უახლესი საშუალებაა, რაც ახლა იკიდებს ფეხს მსოფლიოში და სულ უფრო პოპულარული ხდება, როგორც სწრაფი და



ეფექტური პირველადი დახმარება. ესაა ლეიკოპლასტირის მსგავსი სპეციალური დასაკრავი, რომელიც ექსტრემალურ შემთხვევაში გამოიყენება - ვთქვათ, სპორტსმენმა უშუალოდ შეჯიბრებისას მიიღო ღია ჭრილობა, ან სჭირდება ტკივილის სწრაფად გაყუჩება. აი, სწორედ მსგავს ექსტრემალურ სიტუაციებში ეს ახალი სამკურნალო საშუალება ფასდაუდებელი ხდება, რადგან წინამორბედებზე ბევრად ჩქარა და ეფექტურად აგვარებს პრობლემას. მისი კიდევ ერთი დიდი დადებითი თვისება ისაა, რომ წყალში ანუ სისველის პირობებშიც გამოიყენება. მკითხველს ალბათ, უცხოურ სპორტულ ტელერეპორტაჟებში ხშირად შეუმჩნევია სპორტსმენებზე დაკრული მომწვანო ქსოვილი (თუნდაც ძიუდოისტთა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე **ილიას ილიადისი**, იგივე **ჯარჯი ზვიადაური** გავიხსენოთ) - ამაზეა ლაპარაკი.

მარუცი ქართველ ექიმებს ამ ახალი სამკურნალო საშუალების თვისებებზე, მის დადებით მხარეებსა და გამოყენების მეთოდებზე ესაუბრება. თუმცა სემინარი მხოლოდ თეორიული განათლებით არ შემოიფარგლება და მის ყველა მონაწილეს დისკებზე ჩაწერილი ინსტრუქცია დაურიგდა.

დასასრულ, გეტყვით, რომ ეს სიახლე უკვე ჩვენთანაც ფართოდ იკიდებს ფეხს და ოლიმპიადაზეც იქნება გამოყენებული, რადგან უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ფირმა „სიქსტუსთან".

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

პლოვდივში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-13 ჩემპიონატი. ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა ფრანგ დიდოსტატ **ლორენ ფრესინეს,** რომელმაც გუშინ თეთრი ფიგურებით სომეხ ვლადიმერ აკოპიანს სძლია და 8 ქულას მოუყარა თავი. ერთპიროვნულ ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ვლადიმირ მალახოვი, დმიტრი ანრეიკინი, მაქსიმ მატლაკოვი, ერნესტო ინარკიევი, დმიტრი იაკოვენკო (ყველა — რუსეთი), ანდრეი ვოლოკიტინი (უკრაინა), ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა) და სერგეი აზაროვი (ბელარუსი). 24 მონაწილეს 7-7 ქულა აქვს, მათ შორის — **ბაადურ ჯობავას,** რომელმაც გუშინ 86-ე სვლაზე სომეხ ტიგრან პეტროსიანს სძლია. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს **შოთა აზალაძემ** და **მიხეილ მჭედლიშვილმა.** ქართველმა მოჭადრაკეებმა ბოლოსწინა ტურში პაველ პონკრატოვი და რიჩარდ რაპორტი დაამარცხეს.

**ვაჟა დანელია**

● მილოცვა

## ომარ ბლიაძე 70 წლისაა



*იგი, ვინც კეთილ-მყოფელია, ბრძენია; ბრძენი კაცი ხომ ყოველთვის კეთილია და კეთილი კიდევ თავისის მხრით აბედნიერებს ადამიანს.*

**მარკუს ავრელიუსი**

**ჩვენო ომარ!**

გილოცავთ ღირსშესანიშნავ დღეს, დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღს. ჩვენი მეგობრობა მრავალ წელს ითვლის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსაკუთრებული პიროვნული თვისებების მატარებელი ბრძანდებით. გასული საუკუნის 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭიდავემ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ცნობილმა მოღვაწემ, ღრმა კვალი დატოვეთ ქართული სპორტის ისტორიაში.

კეთილი ნების ადამიანთა ზრუნვის თუ ფიქრის საგანია, მუდამ სრულ შესაბამისობაში იყოს ადამიანის ინტელექტი, განათლება და თანამდებობა. ჩვენი აზრით, ბატონი ომარი სწორედ ასეთ კეთილშობილ ადამიანთა კოჰორტას განეკუთვნება.

ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩვენო ომარ, შენს დიდებულ ოჯახთან ერთად.

*ვახტანგ ბალავაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ლერი ხაბელოვი, ზარბეგ ბერიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, გურამ სალარაძე, მიხეილ სალაძე, ვლადიმერ კანკავა, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ აფხაზავა, თემურ ხითარიშვილი, თამაზ მაჭავარიანი, გურამ გედეხაური, თემურ ყაზარაშვილი, ნოდარ გელიაშვილი, ვასიკო ცუხიშვილი, ბეგი დარჩია, ბიჭიკო შელია, გივი მაზიაშვილი, კოტე ღულუნიშვილი, ბათუ კანკავა, მურმან ჩიბურდანიძე, ომარ თარგამაძე, თემურ ქურციკიძე, გელა ჭელიძე.*

● ოლიმპიური ფილატელია

MEXICO 68







● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** სასროლეთი მშვილდოსნობაში გაიხსნა პარიზში 1897 წელს.

■ ■ ■

**პირველმა** nxl-ის კლუბებიდან სტენლის თასი ზედიზედ ხუთჯერ (1956-1060) მოიგო „მონრეალ კანადიესის" (კანადა) ყინულის ჰოკეის გუნდმა.

■ ■ ■

**პირველად** საფეხბურთო საერთაშორისო მატჩში უშუალოდ კუთხურის ჩაწოდებიდან გოლი გავიდა 1991 წელს გლაზგო „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე შოტლანდია — ინგლისის ნაკრებების მატჩის 88-ე წუთზე. თავი **ალეკ ჩეინიმ** გამოიჩინა. მატჩი სკოტებმა 1:0 მოიგეს

● ვიქტორინა

**1. თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში პირველი ჩემპიონი და პირველი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი გახდა:**

ა — ელერი კლარკი (აშშ, სიმაღლეზე ხტომა)
ბ — ედვინ ფლეკი (ავსტრალია, 800 მ)
გ — ჯეიმს კონოლი (აშშ, სამხტომი)

**2. რომელ წელს გაიხსნა იტალიის ცენტრალური ავტოდრომი, სადაც ტარდება ფორმულა 1-ის რბოლები და ტესტური სერიები?**

ა — 1936 წელს
ბ — 1950 წელს
გ — 1964 წელს

**3. დედამიწაზე რამდენი მწვერვალია 8 ათასი და მეტი სიმაღლის?**

ა — ათი
ბ — თორმეტი
გ — თოთხმეტი

**4. რომელი წლიდან იწოდება რაგბიში ხუთი ერის პირველობა ექვსი ერის პირველობად?**

ა — 1999 წლიდან
ბ — 2006 წლიდან
გ — 2009 წლიდან

**5. ოლიმპიური მონეტა არის:**

ა — ფულის სამახსოვრო ნიშანი
ბ — ოლიმპიური ატრიბუტიკა
გ — ფინანსური ნომინალი

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ბ, 5 — ა.

● ნაკლებად ცნობილი თამაშები

# ველობურთი

**ველობურთი** გუნდური სპორტული თამაშია ველოსიპედითა და ბურთით. იმარჯვებს გუნდი, რომელიც ველოსიპედის ბორბლით მეტოქის კარში მეტ გოლს გაიტანს. პირველი მატჩი გაიმართა 1899 წელს გერმანიაში. 1928-იდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატები. გარდა გერმანიისა, ეს სახეობა პოპულარულია ჰოლანდიაში, ბელგიასა და ჩეხეთში. ველობურთს მეტწილად დარბაზებში თამაშობენ. მოედნის სიგრძეა 12-15 მ, სიგანე — 9-12 მ. კარი კვადრატულია — 2X2 მ. ბურთი მზადდება უხეში ტილოსგან, დიამეტრი — 16-18 სმ, წონა — 500-600 გ. თამაშისთვის იყენებენ ჩქაროსნულ, მსუბუქ, მანევრირებად ველოსიპედს მაღლა აწეული საჭით. გუნდში ორი წევრია, რომელთაგან ერთი უმთავრესად კარს იცავს, მეორე კი უტევს. მატჩი შედგება ორი 7-7-წუთიანი ტაიმისაგან. მოთამაშეს ბურთის ტარება და დარტყმა შეუძლია მხოლოდ ტანით ან ველოსიპედის თვლებით. მცველს უფლება აქვს ბურთი ხელით მოიგერიოს საკუთარ საჯარიმო მოედანზე, ოღონდ ამ დროს ველოსიპედის ორივე თვალი საჯარიმო მოედნის ფარგლებში უნდა იყოს. თუ ველობურთელი დაეცა ან ველოსიპედიდან გადავიდა, თამაშში დასაბრუნებლად ველოსიპედის ერთ-ერთი თვლით აუცილებლად უნდა გადაკვეთოს პირითი ხაზი საკუთარი საჯარიმო მოედნის მიღმა. აკრძალულია მეტოქისთვის ხელის კვრა, დარტყმა, ველოსიპედიდან გადაგდება. საკუთარ საჯარიმო მოედანზე წესების დარღვევისათვის ინიშნება 4- მეტრიანი პენალტი, სხვა დარღვევებისთვის — თავისუფალი დარტყმა. თამაშობენ ღია ცის ქვეშაც, დიდ მოედანზეც (60 X 40 მ). კარის ზომები: 2,25 X 4 მ, ბურთი — ხელბურთის ან ფეხბურთისაა. თამაში შედგება ორი 20-20-წუთიანი ტაიმისგან. გუნდში ექვსი წევრია: მეკარე, ორი მცველი და სამი თავდამსხმელი.



● თარიღი 31 მარტი-6 აპრილი

**31. 03. 1878 წ.** დაიბადა პლანეტის უძლიერესი მოკრივე 1908-15 წლებში **ჯეკ ჯონსონი.**

**31. 03. 1968 წ.** დაიბადა **სეზარ სამპაიო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**01. 04. 1954 წ.** დაიბადა **ჯანკარლო ანტონიონი** — ფეხბურთი (იტალია).

**01. 04. 1927 წ.** დაიბადა **ფერენც პუშკაში** — ფეხბურთი (უნგრეთი).

**02. 04. 1955 წ.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ტურნირის დაფუძნებას მხარი დაუჭირა თექვსმეტმა საფეხბურთო ფედერაციამ.

**03. 04. 1905 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბოკა ხუნიორსი" (ბუენოს-აირესი, არგენტინა).

**03. 04. 1948 წ.** დაიბადა **გეორგ შვარცენბეკი** — ფეხბურთი (გერმანია).

**04. 04. 1925 წ.** დაიბადა **დიტმარ კრამერი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (გერმანია).

**05. 04. 1934 წ.** დაიბადა **ანტონიუს გეეზინკი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**06. 04. 1896 წ.** ათენში გაიხსნა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები.

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

● იყო ასეთი შემთხვევა...

# პირველის კურიოზები

ფეხბურთის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე ურუგვაიში, 1930 წელს, ჯგუფურ ტურნირში არგენტინელები უალრესად უხეშად ეთამაშებოდნენ მექსიკელებს. მატჩი დამთავრდა არგენტინელთა შთამბეჭდავი გამარჯვებით — 6:3.

რეფერი ბოლივიელი ულრიკო სასუედო იძულებული იყო ორი აშკარა პენალტი დაენიშნა, უხეში ფავორიტების დასასჯელად. მექსიკელებმა ორივე დარტყმა მიზანს ააცილეს. თამაშის შემდეგ დამარცხებულმა მექსიკელებმა ეჭვი შეიტანეს „თერთმეტმეტრიანის" სიზუსტეში და მართლებიც აღმოჩნდნენ. მაშინ თერთმეტმეტრიანის დასარტყმელი ცარცის ნიშნული არ არსებობდა და მსაჯები ყოველი პენალტის მანძილს ნაბიჯებით ზომავდნენ. ფიფას რეკომენდაცია იყო თოთხმეტი ნაბიჯი (საშუალო ნაბიჯი დაახლოებით 85 სმ). ახმახმა გრძელფეხება ულრიკომაც ეს პროცედურა დიდი მონდომებით შეასრულა. თამაშის შემდეგ დაზარალებულებმა მანძილი გააზომინეს მოხალისეებს. აღმოჩნდა რომ იგი 15(!) მეტრს შეადგენდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შემდეგ ეტაპზე მომავალი ფინალისტები ჩემპიონატის მასპინძლები და არგენტინელები გახდნენ. ურუგვაელებმა მონტევიდეოში, 30 ივლისს, ეს მატჩი 80 ათასი მაყურებლის თვალწინ 4:2 მოიგეს.



1930 წ. ურუგვაის ნაკრები

● სუპერლიგა. XX ტური



უილიამ ტომასმა ბათუმში 26 ქულა ჩააგდო

# გეგმიურად

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის მე-20 ტური დასავლეთში გაიხსნა: მეორეადგილოსანმა "ქუთაისმა" შინ სტუ-ს აჯობა, ხოლო "არმიამ" ბათუმში იმარჯვა.

**30 მარტი**

**ბათუმი**

**ბათუმი-არმია 87:110**

18:25, 21:25, 27:29, 21:31

**ბათუმი:** მაისურაძე (14ქ, 4პ), რამიშვილი (10ქ, 5მ, 4პ), მიქელაძე (17ქ, 8პ), ელიაშვილი (2ქ), კეშელავა (33ქ, 6მ), ნინუა, რევაზაშვილი (11ქ, 6მ).

**არმია:** რიჩარდსონი (22ქ), ბაბიაშვილი (4ქ), ბოისა (6ქ), კვიმსაძე (2ქ), ტომასი (26ქ, 7მ, 5პ), ათანელიშვილი, შელბომი (14ქ, 7მ, 4პ), დიასი (15ქ, 5მ), ვუდსაიდი (19ქ, 8მ, 10პ, 3ჩ, 2დ), შარაბიძე (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ს. საინერსი, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** თ. ქიქოძე.

ბათუმური შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა, თუმცა მოულოდნელობა მაინც დაფიქსირდა – "ბათუმმა" "არმიას" კალათში 87 ქულა მოათავსა, რაც მეტად მაღალი შედეგია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის **ლაშა კეშელავას**, რომელმაც 33 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია სროლის სიზუსტეც: ლაშამ 9-დან 6 ორქულიანი, 5-დან 4 სამიანი და 9-დან 9 საჯარიმო გამოიყენა.

არმიელთაგან ორმაგი დუბლი **ბენჟამინ ვუდსაიდმა** მიითვალა (19 ქულა, 10 პასი). 20-ქულიან ზღვარს ასცდნენ არმიელი ამერიკელები **ჯერემი რიჩარდსონი** და **უილიამ ტომასი**. პირველმა 22 ქულა მოაგროვა, ხოლო მეორემ – 26.

მატჩის ოქმში რამდენიმე საინტერესო ციფრი დაფიქსირდა: "არმიამ" თითქმის ორმაგი სხვაობით იმარჯვა მოხსნებში (40:21), ხოლო პერიმეტრიდან ბათუმელებმა იყოჩაღეს – 9 სამქულიანი ჩააგდეს, მაშინ როცა "არმიამ" 4 შორეული ტყორცნა გამოიყენა.

**30 მარტი**

**ქუთაისი**

**ქუთაისი-სტუ 81:54**

30:8, 19:19, 24:20, 8:7

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ, 7მ), ბაბუნაშვილი (9ქ), დიდია (5ქ), ცეკვავა (16ქ, 4პ), ტუკვაძე, ცირეკიძე (2ქ, 8მ), დ. ბარბაქაძე (3ქ), გ. ბარბაქაძე (14ქ, 5მ), კუჭავა (10ქ), კოლუაშვილი (10ქ), ქორიძე (7ქ).

**სტუ:** ტეტელაშვილი (17ქ, 4პ), თევზაძე, ჭოხონელიძე (3ქ), ჯავახიშვილი (2ქ, 5მ), ახალაია (5ქ), დეკანოიძე (2ქ, 8მ), ძიძიგური, კოპალიანი (9ქ, 3პ), კორძაძე, ნოზაძე (2ქ), ანთაძე (14ქ, 9მ, 7ჩ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი

**კომისარი:** რ. გელოვანი.

"ქუთაისს" რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილის დასაკავებლად დარჩენილი ორივე მატჩის მოგება სჭირდებოდა: გუშინ სტუ უნდა დაემარცხებინა, ხოლო 20 აპრილს – "ბათუმში" უნდა იმარჯვოს. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორეობის შანსი "ოლიმპსაც" აქვს, ოღონდ თბილისელებმა სამივე მატჩი უნდა მოიგონ (მათ შორის "არმიასთან").

სტუ-სთან იმერლებმა პირველივე მეოთხედში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი – 30:8 დაწინაურდნენ. დარჩენილ 30 წუთში "ქუთაისმა" უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და დაგეგმილი გამარჯვებაც ჩაიწერა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 18 | 18 | 0 | 1648/1161 | 36 |
| 2. ქუთაისი | 19 | 15 | 4 | 1621/1444 | 34 |
| 3. ოლიმპი | 17 | 14 | 3 | 1437/1247 | 31 |
| 4. სოხუმი | 18 | 10 | 8 | 1433/1377 | 28 |
| 5. შსს აკადემია | 17 | 10 | 7 | 1512/1334 | 27 |
| 6. დინამო | 17 | 9 | 8 | 1407/1442 | 26 |
| 7. სამედიცინო | 18 | 7 | 11 | 1457/1545 | 25 |
| 8. თსუ | 17 | 6 | 11 | 1383/1499 | 23 |
| 9. სტუ | 18 | 5 | 13 | 1343/1556 | 23 |
| 10. ბათუმი-რსუ | 18 | 2 | 16 | 1303/1622 | 20 |
| 11. რუსთავი | 17 | 1 | 16 | 1176/1493 | 18 |

● ქართველი ბელგიაში

# თორნიკეს ექვსიანი



თორნიკე შენგელიას ჩატენვა

ტრავმის მოშუშების შემდეგ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** "შარლერუას" რიგებში მეორე თამაში ჩაატარა.

ამჯერად მან 13 წუთი ითამაშა, თანაგუნდელებს 6 ქულითა და 2 მოხსნით შეეწია. 20 წლის ახალგაზრდამ 5 ორქულიანი სტყორცნა და კალათში 3 მოათავსა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, "ალასტარისა" და "შარლერუას" დაპირისპირება დაძაბული გამოდგა, გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებამდე უცნობი იყო. საფინალო სირენამ აალსტარელთა მოგება დააფიქსირა – 91:90.

"შარლერუას" მხრიდან დუეინ ბროლისი გამოირჩა, 23 ქულა მიითვალა, ხოლო მატჩის ბომბარდირი კრის კოპლენდი გახდა – 45 ქულა.

წაგების მიუხედავად თორნიკეს თანაგუნდელები ბელგიის ჩემპიონატში პირველობას ინარჩუნებენ. მათ 23 მატჩიდან 16 აქვთ მოგებული. მეორე ადგილს "ანტვერპენი" და "ოოსტენდე" იყოფენ, რომლებსაც "შარლერუაზე" თითო მოგებით ნაკლები აქვთ.

● საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი

# ესეც ორი ნახევარფინალისტი

**სოხუმი-შსს აკადემია 68:78**

16:22, 21:14, 11:16, 20:26

**სოხუმი:** ძიძიგური (11ქ, 3პ), ზედელაშვილი (5ქ, 13მ), ქაჯაია, გოლეთიანი (6ქ, 5მ, 2დ), ეზოაშვილი (2ქ), ანანიაშვილი (10ქ, 8მ, 4პ), ხატიაშვილი (2ქ), ბულიავა (32ქ, 9მ, 2დ).

**შსს აკადემია:** ცხაკაია, მირზიაშვილი, ლოლიშვილი (22ქ, 12მ, 3პ), პულუზაშვილი (2ქ, 6მ, 3დ), ჟორჟოლიანი (17ქ, 3ჩ), აბულაძე (20ქ, 10პ, 7მ), გელაზონია (17ქ, 13მ).

**აკადემია-ჰიუნდაი 58:63**

12:13, 5:18, 26:13, 15:19

**აკადემია:** ამირხანაშვილი (12ქ, 5მ, 5პ), ბერულავა, ჯაყელი (6ქ, 9მ, 3პ), ცქიტიშვილი, ქობალავა, ქართველიშვილი, ღურწკაია (4ქ), ფაცია (11ქ, 8მ), დარახველიძე (4ქ, 9მ), ბიჭიაშვილი (21ქ, 14მ).

**ჰიუნდაი:** ჭონაშვილი, სანაძე (8ქ, 7მ), ტომარაძე (12ქ, 7მ, 3ჩ), როგავა (18ქ, 3პ), ბოლქვაძე (20ქ, 11მ, 5პ, 4ჩ), სისაური, სანიკიძე (3ქ), ყანდორელაშვილი (2ქ, 6მ).

საქართველოს 18-წლამდელთა პირველობაზე ორი მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართა. "სოხუმი" შსს-ს დაუპირისპირდა, ხოლო "აკადემია" – "ჰიუნდაის". დებულების მიხედვით, ნახევარფინალისტების ვინაობის გამოსარკვევად თითო მატჩიც საკმარისი იყო. შსს-ელებმა სოხუმელებს სძლიეს, ჰიუნდაელებმა – აკადემიელებს და მომდევნო ეტაპის საგზურებიც მოიპოვეს.

■■■

პირველ შეხვედრაში ძალოვნების გამარჯვება ძირითადად 4 კალათბურთელის დამსახურებაა. მათ გარდა მხოლოდ ერთმა, **პულუზაშვილმა** ჩააგდო (2 ქულა). **ლოლიშვილმა** 22 ქულა მიითვალა (12 მოხსნა), **აბულაძემ** – 20 ქულა (10 პასი), ხოლო **ჟორჟოლიანმა** და **გელაზონიამ** - 17-17.

სოხუმელთაგან კი ყველაზე მეტი, 32 ქულა **ბულიავამ** ჩააგდო. შსს-ელებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ პერიმეტრიდან ტყორცნებში – 11 სამქულიანი ჩააგდეს, საკუთარ კალათში კი 4 მიიღეს.

■■■

დიდი იყო ამპლიტუდა "აკადემიასა" და "ჰიუნდაის" დაპირისპირებაში. თავად განსაჯეთ: მეორე პერიოდი ჰიუნდაელებმა 18:5 მოიგეს, ხოლო "აკადემიკოსებმა" ჩამორჩენა გააბათილეს მესამე ათწუთეულში, რომელშიც 26:13 იმარჯვეს. მეოთხე პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და "ჰიუნდაის" გამარჯვებით დასრულდა – 63:58.

სნაიპერი აკადემიელი **ვალერი ბიჭიაშვილი** გახდა (21 ქულა, 14 მოხსნა), ხოლო ჰიუნდაელმა **სანდრო ბოლქვაძემ** 20 ქულას მოუყარა თავი.



აკადემია - ჰიუნდაი

● საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# რეგულარულის ჩემპიონი სოხუმია

**რუსთავი-სოხუმი 65:88**

17:26, 18:17, 12:20, 18:25

**რუსთავი:** ჯაჯანიძე, ოქროჭელიძე (21ქ, 10მ, 3ჩ), დვალი (19ქ), ნარჩომაშვილი, ბარამიძე, გაგნიძე (13მ, 4ქ), ლორთქიფანიძე (19ქ), ქიტოშვილი (6პ), ობგაიძე (2ქ, 2დ, 7მ).

**სოხუმი:** გოლეთიანი (3ქ), როგავა (19ქ, 6პ), გაფრინდაშვილი (7ქ, 5მ), ძიძიგური (13ქ), ზედელაშვილი (3ქ), ჯინჭარაძე (10ქ, 7მ, 3პ, 4ჩ), ქაჯაია, რუხაია (7ქ), დვალიშვილი (22ქ, 11მ), მესხი (2ქ, 6პ), ანანიაშვილი, ბულიავა (2ქ, 5მ).




რუსთავური შეხვედრით დასრულდა საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი. ქვემო ქართლს ესტუმრა "სოხუმი", რომელსაც მოგება ჰაერივით სჭირდებოდა - რეგულარულში პირველი ადგილის დასაკავებლად სოხუმელებს რუსთავიდან უპირობოდ უნდა წამოეღოთ ორი ქულა.

პირველივე მეოთხედი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და სოხუმელები 9 ქულით დაწინაურდნენ. მას მერე მათ "რუსთავისთვის" სხვაობის შემცირების უფლება არ მიუციათ და 88:65 იმარჯვეს.

სტუმართა წარმატების წინაპირობად მოხსნების რაოდენობა იქცა – 53:30. ამ კომპონენტში **დიმიტრი დვალიშვილი** გამოირჩა, რომელმაც 11 მოხსნას 22 ქულა მიუმატა. რუსთავიდან **გიორგი ოქროჭელიძემ** იყოჩალა– 21 ქულა, 10 მოხსნა.

■■■

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: "სოხუმი"-"კარდინალი", "დინამო"-"რუსთავი", "შსს აკადემია"-"ოლიმპი", "ქუთაისი"-სტუ. შეხვედრები 19 და 20 აპრილს გაიმართება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 16 | 12 | 4 | 1293/1118 | 28 |
| 2. შსს აკადემია | 16 | 12 | 4 | 1281/1110 | 28 |
| 3. დინამო | 16 | 12 | 4 | 1401/1231 | 28 |
| 4. ქუთაისი | 16 | 11 | 5 | 1436/1220 | 27 |
| 5. სტუ | 16 | 9 | 7 | 1284/1238 | 25 |
| 6. ოლიმპი | 16 | 7 | 9 | 1167/1222 | 23 |
| 7. რუსთავი | 16 | 6 | 10 | 1162/1294 | 22 |
| 8. კარდინალი | 16 | 3 | 13 | 1038/1251 | 19 |
| 9. მაკაბი | 16 | 0 | 16 | 1107/1485 | 16 |

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ხუთი ტურით ადრე, ისევ ხუთი ლიდერობს



მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა და პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა უკიდურესად მძაფრდება. მედლებისთვის ასპარეზობის გაგრძელების შანსი ერთბაშად ცხრა გუნდს აქვს, ამათგან ექვსი ქართველ მორაგბეთა გუნდებია. ხუთ მათგანს კი სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური უკავია.

გათამაშების ლიდერი **აქვსენტი გიორგაძისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულონი" სტუმრად ეთამაშება პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „სტად ფრანსეს". ამ ორი გუნდის დაპირისპირება, როგორი სატურნირო მდგომარეობაც უნდა ეკავოთ, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ორივე ფრანგული რაგბის ყველაზე ტიტულოვანი და ძველი გუნდია.

შეხვედრა პარიზში „სტად დე ფრანსზე" გაიმართება. მასპინძლები მატჩამდე დიდი ზეიმის გამართვას აპირებენ. ირლანდიური ცეკვები, პომ-პომ გოგონები და კელტურ სამოსში გამოწყობილი ადამიანების ალლუმი, აი ყველაფერი ის, რასაც სტადიონზე მისული ქომაგი დიდ რაგბისთან ერთად იხილავს.

„ტულუზი" მთელი ჩემპიონატის განმავლობაში დამაჯერებლად ლიდერობდა. თუმცა, ბოლო სამ ტურში ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ორი მარცხი განიცადა და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" წამოეწია. ამ გუნდებს შორის სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა.

ტულუზელთა თავკაცმა, **გი ნოვემ** პარიზში შესუსტებული შემადგენლობით გადაწყვიტა თამაში, რადგან ერთი კვირის შემდეგ, „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში მეოთხედფინალური მატჩი ელის. პარიზელების წინააღმდეგ არ ითამაშებენ **ვილიამ სერვა, კლემან პუატრენო** და **ხუთრო სტენკამპი.**

ამასთან ერთად ტრავმირებულნი არიან **რუპენი კაუკაუ, ჰარი ბოთა, აქვსენტი გიორგაძე, ვენსან კლერი** და **მაქსიმ მედარი.** თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ტრავმები მოიშუშეს და „სტად ფრანსესთან" ითამაშებენ **ტიერი დუსოტუარი, იონ მაესტრი** და **ჟან-ბატისტ პუ.**

საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. პირველ წრეში „ტულუზმა" შინ 18:15 მოიგო.

დავით ზირაქაშვილის „კლერმონი" სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბიარიცს", რომელსაც ამ გუნდისთვის უჩვეულო ამოცანა აქვს გადასაჭრელი. ბიარიცელები დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვიან. ბასკებმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს, რაც ძირითადად გუნდში ქართული წარმოშობის ცხრა ნომერის **დიმიტრი იაშვილისა** და საფრანგეთის ნაკრების მესამეხაზელის **იმანოლ არინორდოკის** დაბრუნებას შეიძლება მივაწეროთ.

„კლერმონს" რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე აკლია. გუნდის განაცხადში არც ზირაქაშვილია. პირველ წრეში „ვულკანებმა" ბასკები მშრალი ანგარიშით 41:0 დაამარცხეს.

მესამე ადგილოსანი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" სტუმრად ეთამაშება **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს", რომელსაც დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრება. ჩვენებურთა ამ გუნდს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რადგან მომავალ სამ ტურში დივიზიონის საუკეთესო გუნდებთან, „ტულუზთან", „კლერმონთან" და „მეტრო რასინგთან" უწევს თამაში.

ალსანიშნავია, რომ „ბრივი" საკუთარ მოედანზე კერკეტი კაკალია და ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლა. ბრიველები ყველაზე გაუვალი დაცვის ხაზით ამაყობენ, თუმცა შეტევაში თამაში უჭირთ. „ტულონს" გამარჯვების მიღწევა, სავარაუდოდ, გაუჭირდება. ყველაფერი ამ გუნდის ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბინობაზე იქნება დამოკიდებული.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, სავარაუდოდ, ასევე ძირითადში დაიწყებს თამაშს კაკოვინიც. პირველი წრეში „ტულონმა" შინ მოიგო - 18:3.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელიც მეოთხე ადგილზეა და „ტულონს" შვიდი ქულით ჩამორჩება, სტუმრად ეთამაშება პარიზულ „მეტრო რასინგს", რომელიც ჩვენებურის გუნდის კონკურენტია პლი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში.

თამაში უშელავათო, ძალიან საინტერესო იქნება, მით უფრო, რომ კასტრელები სტუმრად შესანიშნავად თამაშობენ. პარიზელებმა სამმატჩიანი მოგებების სერია ერთი კვირის წინ ტულონში მარცხით შეწყვიტეს და ახლა დანაკარგის ანაზღაურებას ეცდებიან.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იქნება. პირველ წრეში „კასტრმა" შინ 23:19 წააგო.

„კასტრს" სამი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე", რომელიც 22-ე ტურში შინ ეთამაშება **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს", რომელიც პლეი ოფში მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

მონპელიელებმა ერთი კვირის წინ „კასტრთან" წააგეს და წინსვლა დაამუხრუჭეს, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ საკუთარი მოედნიდან გორგოძე და კომპანია აჟენელებს გახარებულს არ გაუშვებს.

გორგოძე, ჟღენტი და შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში არიან, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში ვერ მოხვდნენ. პირველ წრეში „აჟენმა" შინ 18:12 გაიმარჯვა.

**გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი", რომელიც უიმედო აუტსაიდერია, შინ ეთამაშება „ბორდოს", რომელმაც წინა ტურში შინ გათამაშების ლიდერი „ტულუზი" დასცა. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ არიან. პირველ წრეში „ბორდომ" შინ 31:10 მოიგო.

**I დივიზიონი**

**XXII ტური**

მეტრო რასინგი-კასტრი, ბიარიცი-კლერმონი, მონპელიე-აჟენი, პერპინიანი-ბაიონი, ლიონი-ბორდო, ბრივი-ტულონი, სტად ფრანსე-ტულუზი.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 74 ქულა, 2. კლერმონი - 73, 3. ტულონი - 62, 4. კასტრი - 55, 5. მონპელიე - 52, 6. სტად ფრანსე - 52, 7. მეტრო რასინგი - 49, 8. აჟენი - 44, 9. ბორდო - 41, 10. ბრივი - 38, 11. ბიარიცი - 38, 12. პერპინიანი - 35, 13. ბაიონი - 34, 14. ლიონი - 26**



შუაში ირაკლი ნატრიაშვილი

ევროპის ჩემპიონატი, U-18



# პირველი მარცხი ევროპულ ელიტაში

**საქართველო-ინგლისი 8:58**

**საქართველო:** 15. გიორგი აფციაური (დევი დევსურაშვილი 35), 14. იოსებ კიკვაძე, 13. ნიკა ამაშუკელი, 12. გიორგი ნათელაშვილი (ილია მელაძე 35), 11. მურაზ გიორგაძე (გიორგი ფრუიძე 53), 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. ლაშა ნადირაძე (რევაზ ბროძელი . 1. ზაური ხარებავა, 2. ბექა ფირიაშვილი (ბადრი ალხაზაშვილი 53), 3. ალექსი ცისკარიშვილი (გიორგი მარგველანი 35), 4. ფარნავაზ გასვიანი, 5. მიხეილ მასხარაშვილი, 6. ვახტანგ ამირანაშვილი, 7. საბა შუბითიძე (გიორგი გოგლიძე 63). 8. შალვა შაშიაშვილი.

**ლ:** შაშიაშვილი. **ს:** აფციაური

**სინბინი:** შაშიაშვილი, ამირანაშვილი.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მეოთხდფინალურ მატჩში ინგლისელ თანატოლებთან დიდი ანგარიშით - 8:58 წააგო.

ინგლისლელები, რომლებიც ამ ტურნირის შარშანდელი ფინალისტები არიან, მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას და რვა ლელო გაგვიტანეს. ყველა პრობლემას, რაც ჩვენი გუნდის თამაშს ახლდა, თან ისიც დაერთო, რომ ხუთი წუთის განმავლობაში მოედანზე ორი კაცით ნაკლები ვიყავით. მატჩის არბიტრმა მოედნიდან ჯერ **შალვა შაშიაშვილი** გაასინბინა, მერე კი **ვახტანგ ამირანაშვილი.**

ჩვენი გუნდიდან ერთადერთი ლელო, მატჩის მიწურულს, 66-ე წუთზე შაშიაშვილმა გაიტანა, ერთი საჯარიმო კი ფულბეკის, **გიორგი აფციაურის** ანგარიშზეა.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 3 აპრილს, მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში იტალიის ნაკრებთან გამართავს, რომელიც უელსის 18-წლამდელთა გუნდთან ვერას გახდა - 8:41

შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება პირველად ტარდება და ექსპერიმენტულია.

**ევროპის ჩემპიონატი**

**30 მარტი**

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ინგლისი | 8:58 |
| ირლანდია-პორტუგალია | 34:24 |
| უელსი-იტალია | 41:8 |
| საფრანგეთი-შოტლანდია | 19:7 |

**3 აპრილი**

**ნახევარფინალი**

I ადგილისთვის
ინგლისი-უელსი,
ირლანდია-საფრანგეთი.
V ადგილისთვის
საქართველო-იტალია,
პორტუგალია-შოტლანდია

**7 აპრილი**

**ფინალი**

ტურნე ინგლისსა და უელსში

# ბოლო მატჩი ჩრდილოეთ უელსის ნაკრებთან

საქართველოს A ნაკრები დღეს ბრიტანულ ტურნეში ბოლო, მესამე შეხვედრას გამართავს, ჩვენი გუნდის მეტოქე ამჯერად ჩრდილოეთ ინგლისის ნაკრები იქნება. ქართველმა მორაგბეებმა აქამდე გამართული ორი შეხვედრიდან ორივეში გაიმარჯვეს.

პირველ მატჩში საქართველოს A ნაკრებმა ინგლისური პრემიერშიფის გუნდი „ეშერი" დაამარცხა 25:8. მერე კი გაცილებით ძლიერ მეტოქეს, უელსის კლუბების ნაკრებს მოუგო - 36:32. ალსანიშნავია, რომ ორივე მატჩში ჩვენმა მორაგბეებმა ხუთ-ხუთი ლელო გაიტანეს, რაც ძალიან კარგი შედეგია. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ სინბინის გარდა ერთ მორაგბეს, მეორეხაზელ **კონსტანტინე მიქაუტაძეს** წითელი ბარათი უჩვენეს. ის ექვსკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს A ნაკრებთან ერთად, რომლის მთავარი მწვრთნელიც **ლევან მაისაშვილია,** ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი** და **ტონი ბარჯესი** იმყოფებიან.

**საქართველო A**

**პირველი ხაზი:** შალვა მამუკაშვილი, ბექა მეკოკიშვილი (ორივე-არმია), გიორგი მენაბდიშვილი (გრენობლი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), კარლენ ასეიშვილი (ორიაკი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), დავით ჩიტიძე (არმია), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია).

**მესამე ხაზი:** გიორგი თხილაიშვილი, ლაშა თავართქილაძე, ბექა ბიწაძე (სამივე-არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ტყეშელიაძე (გლოსტერი).

**№9:** გიორგი კაჭარავა (ლელო), ბიძინა სამხარაძე (არმია).

**№10:** გიორგი ჯიმშელაძე (არმია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

**№12-13:** ირაკლი ჩხიკვაძე, გიგა გაგოშვილი (ორივე-არმია), ზურაბ ძნელაძე (აია).

**№11-14:** ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა (ორივე-ლელო), სანდრო ნიჟარაძე (გლოსტერი).

**№15:** ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), საბა ნიკოლავა (არმია).

**21 მარტი**

| | |
|---|---|
| საქართველო A-ეშერი | 25:8 |

**27 მარტი**

| | |
|---|---|
| საქართველო A-უელსი XV | 36:32 |

**31 მარტი**

საქართველო A-ჩრ.უელსი XV

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი


მერდი ფიში

# ჩოგბურთი და ოლიმპიადა

ამერიკული ჩოგბურთის პირველი ნომრის **მერდი ფიშის** განცხადებით, ის დარწმუნებული არ არის იმაში, რომ ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.

ფიშის სიტყვებით, მისი ყოყმანის მიზეზი კალენდარია: მას სურს სახლთან ახლოს ჩაატაროს ტურნირები, რათა უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი (ლოს ანჯელესისა და ვაშინგტონის ტურნირები თითქმის ოლიმპიადის პარალელურად ჩაივლის).

შეგახსენებთ, რომ ფიში ათენის 2004 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

*"ოლიმპიური თამაშებისგან შესანიშნავი მოგონებები დამრჩა, მაგრამ არასასიამოვნოს გახსენებაც შემიძლია. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის"*, - ამბობს ამერიკელი.

■ ■ ■

ლონდონის ოლიმპიადის დაწყებამდე დაახლოებით სამი თვე დარჩა. ქალთა პრო-ტურის ბევრი წარმომადგენელი მოუთმენლად ელის ზაფხულის თამაშების დაწყებას. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე საჩოგბურთო ტურნირი უიმბლდონის კორტებზე გაიმართება.

პირველად ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილია მიქსტის ტურნირი, რითაც ჩოგბურთელთა შეჯიბრმა დამატებითი ინტრიგა შეიძინა. მაიამის ტურნირის მსვლელობისას WTA-ის ტურის ტოპ-მოთამაშეებმა ოლიმპიადასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმები გაამხილეს.

**ვიქტორია აზარენკა:** *"ოლიმპიადაზე ვაპირებ ერთეულებსა და მიქსტში გამოსვლას მაქს მირნისთან ერთად. მოუთმენლად ველი ამ მოვლენას. ადრე მაქსთან ერთად მითამაშია, ასე რომ ეს სერიოზული გამოწვევა იქნება".*

მარია შარაპოვა: *"წყვილებში თამაში - ჩემი ძლიერი მხარე არ არის, თუმცა რამდენიმე ტურნირი მოგებული მაქვს. მოკლედ, წყვილები არ იქნება ოლიმპიადაზე ჩემი პრიორიტეტი. შესაძლოა, თუ რომელიმე ჩემს თანაგუნდელთან თამაში მთხოვეს, დავფიქრდე ამ წინადადებაზე. ნამდვილად არ ვითამაშებ მიქსტში".*

პეტრა კვიტოვა: *"რა თქმა უნდა, ერთეულთა თანრიგში გამოვალ, აგრეთვე წყვილებში რადეკ შტეპანეკთან ერთად".*

სამანტა სტოსური: *"გონებაში მაქვს მოქმედების გარკვეული სქემა, მაგრამ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენი ნაკრების კაპიტანსა და სხვა მოთამაშეებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაკრების საბოლოო შემადგენლობის მიუხედავად, დიდ სიამოვნებას მივიღებთ ლონდონში გამოსვლისგან".*

**კაროლინ ვოზნიაცკი:** *"აუცილებლად ვითამაშებ ერთეულთა თანრიგში. შესაძლოა, წყვილებში ვითამაშო ფრედერიკ ნილსენთან ერთად. უაილდქარდს უნდა დაველოდოთ. მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა".*

ნა ლი: *"არ მგონია, რომ წყვილებში კარგად ვთამაშობ. ჩემს ქვეყანაში ამ მხრივ უფრო ნიჭიერი მოთამაშეები არიან. ამიტომაც კონცენტრაციას ერთეულთა თანრიგზე გავაკეთებ".*

● ფორმულა 1

# ლუისი ბავშვი გახდა

"მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** UNICEF-ის კეთილი ნების ელჩის რანგში ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჩავიდა.

ავსტრალიისა და მალაიზიის ეტაპების შემდეგ, ფორმულა 1-ის პილოტებმა პაუზა აიღეს. ჩინეთის გრანპრიმდე, რომელიც აპრილის პირველ დღეებში გაიმართება, ბრიტანელი არქიპელაგზე გაემართა და მონაწილეობა მიიღო მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელსაც ბრიტანეთში მაისის ბოლოს აჩვენებენ.

სურათი საქველმოქმედო პროგრამის ეგიდით გადაიღეს და მასში გამახვილებულია ყურადღება იმ ბავშვებზე, რომელთა ოჯახები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ. *"იმედი მაქვს, რომ გადავიღეთ ფილმი, რომელიც დაგვანახებს მკაცრ რეალობას იმ ბავშვებს შორის, რომლებიც მანილასა ქუჩებსა და მთელს მსოფლიოში ცხოვრობენ,* - გადმოგვცემს Daily Mail ჰემილტონის სიტყვებს. – *გოგონები და ბიჭები, რომლებსაც მე შევხვდი, ფანტასტიკური ბავშვები არიან, მაგრამ იმ ელემენტარულის გარეშე ცხოვრობენ, რაც ადამიანთა უმრავლესობას აქვს: საკვები, სუფთა წყალი და ნორმალური დასაძინებელი ადგილი. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს".*


ლუისი მანილაში

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი პლეი ოფს მიუახლოვდა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში პრაქტიკულად ყველა შეხვედრა გადამწყვეტი ხდება. "ვაშინგტონისთვის" უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოსტონში გასვლას. "დათვებს" მთელი მატჩი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ დიდი ხანი ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის მეკარეს. თამაში "ვაშინგტონის" კარში **ტომაშ ვოკოუნმა** დაიწყო, მაგრამ ჩეხმა ტრავმა მიიღო და ყინულზე **მიხალ ნოივირტი** გამოჩნდა, რომელმაც საიმედო თამაში აჩვენა. მასპინძლები განსაკუთრებით კარგად მესამე 20-წუთეულში უტევდნენ. მაგრამ "ვაშინგტონის" ორმა შესანიშნავმა კონტრშეტევამ თითქოს გადაწყვიტა მატჩის ბედი.

"დათვებს" ნახევარი პერიოდი რჩებოდათ თამაშის გადასარჩენად. მასპინძლები აგრძელებდნენ ზეწოლას და ანგარიშში სხვაობა **კრეისიმ** შეამცირა, როცა **ხარას** დარტყმულს შეუცვალა მიმართულება. "ვაშინგტონს" უჭირდა ზონიდან გამოსვლა და მალე მეორე გოლიც მიიღო! ამჯერად შეიძლება ამ შაიბაში ნოივირტის დადანაშაულება, რომელიც **ფერენსის** შორეულ დარტყმას ვერ გაუმკლავდა. ოვერტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ბულიტების სერიაში კი სტუმრებმა **ლეიჩის** პენალტით მოიგეს.

"ვაშინგტონმა" ორი ქულა აილო და დაენია "ბაფალოს", თანაც მან ორ გუნდს – "ბოსტონსა" და "ნიუ ჯერსის" შეუშალა ხელი პლეი ოფის საგზურის გაფორმებაში. "ნიუ ჯერსის" უნდა მოეგო "ტამპა ბეისთვის" და "კეპიტალზის" წაგებას დალოდებოდა, მაგრამ გეგმა 50 პროცენტით შესრულდა. თანაც "ეშმაკებს" გაუჭირდა "ლაითნინგის" დამარცხება. მატჩის მსვლელობისას "ტამპა" სამჯერ გადიოდა წინ, მაგრამ "ნიუ ჯერსი" ეწეოდა მეტოქეს. მხოლოდ 3:3-ზე შეძლო "დევილზმა" ინიციატივის ხელში ჩაგდება და სამი შაიბის გატანა.

"პიტსბურგს" კი, როგორც ჩანს, პლეი ოფის პირველ რაუნდში მოუწევს "ფილადელფიასთან" შეხვედრა. გუშინ, "პინგვინებმა" ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარეს "ნიუ იორკ აილენდერსის" წინააღმდეგ და ისევ წააგეს. "კუნძულელების" გამარჯვებაში დიდი წვლილი **ჯოშ ბეილიმ** დაიდო, რომელმაც ხუთი ქულა (2+3) მიითვალა. როგორც ჩანს, 22 წლის ჰოკეისტმა დაიწყო 2008 წლის დრაფტის მერვე ნომრის გამართლება. "პიტსბურგს" გაახარებდა ის ფაქტი, რომ რეგულარულში 100-ქულიან ზღვარს მიაღწია **მალკინმა**, ასევე სასიხარულოა **სიდნი კროსბის** ჯანმრთელობა. კაპიტანს ერთ-ერთ მომენტში ცხვირი გაუტეხეს, მაგრამ სიდს დახმარება აღმოუჩინეს და ის ყინულზე დაბრუნდა.

"პიტსბურგმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, "ფილადელფიამ" კი პირიქით, ბოლო ორ შეხვედრაში ოთხი ქულა აილო. გუშინ, "მფრინავებმა" 7:1 გაანადგურეს "ტორონტო" და ცხრილში "პინგვინზს" ორ ქულამდე მიუახლოვდნენ. "ფილადელფიას" რიგებში ბრწყინვალე მატჩი ჰქონდათ **ბრიერს** (0+4), **იაგრს** (0+3) და **სიმონდსს** (2+1). კვირის ბოლოს საინტერესო იქნება "პიტსბურგისა" და "ფილადელფიას" მატჩი.

მცირე საჩუქარი გაუკეთა "ვაშინგტონს" "მინესოტამ", რომელმაც "ფლორიდა" დაამარცხა – 3:2. თუმცა "პანტერებმა" ოვერტაიმში წააგეს და ერთქულიანი ნაბიჯი გადადგეს დივიზიონის ტიტულისკენ. ფლორიდელები დედაქალაქელებს ოთხი ქულით უსწრებენ და თამაში აქვთ თადარიგში.

დასავლეთში ცენტრალური დივიზიონის მოგების შანსი გაუშვა ხელიდან "სენტ ლუისმა", რომელმაც ბულიტებით 3:4 წააგო "ჩიკაგოსთან". თუმცა "ბლუზმენები" უნდა შევაქოთ ხასიათის გამოვლენისთვის, რადგან მესამე პერიოდში სტუმრები 1:3-ს აგებდნენ, მაგრამ გაათანაბრეს ანგარიში და ერთი ქულა აილეს. მოგების მიუხედავად, "ჩიკაგომ" ვერ შეძლო პლეი ოფის საგზურის განაღდება.

**ბოსტონი–ვაშინგტონი 2:3 (ბ)**

**0:0, 0:0. 2:2, 0:0**

გოლები: 0:1 უაიდემანი-11 (მ. იოჰანსონი-30, ოვეჩკინი-26), 0:2 მ. იოჰანსონი-14 (ოვეჩკინი-27), 1:2 კრეისი-21 (ხარა-37, ლუჩიჩი-32), 2:2 ფერენსი-6 (კრეისი-36).

ბულიტები გაიტანეს: ჰენდრიქსი (ვაშინგტონი), სეგუინი (ბოსტონი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი), სიომინი (ვაშინგტონი), ლეიჩი (ვაშინგტონი).

**ტორონტო–ფილადელფია 1:7**

**1:2, 0:2, 0:3**

გოლები: 0:1 შენი-10 (სიმონდსი-21, ბრიერი-28), 0:2 შენი-11 (ბრიერი-29, იაგრი-32), 1:2 გრაბოვსკი-23 (კონოლი-22, კრები-13), 1:3 სიმონდსი-24 (ბრიერი-30, ქობურნი-18), 1:3 რიდი-23 (ტელპოტი-12, გუსტაფსონი-4), 1:5 უელვუდი-5 (რიდი-23, ვორაჩეკი-28), 1:6 ვორაჩეკი-15 (იაგრი-33, კუბინა-12), 1:7 სიმონდსი-25 (ბრიერი-31, იაგრი-34).

**ნიუ ჯერსი–ტამპა ბეი 6:4**

**0:1, 4:2, 2:1**

გოლები: 0:1 მელოუნი-16 (სტემკოსი-36, ჰედმანი-14), 1:1 ზუბრუსი-17 (ელიაში-46), 1:2 მელოუნი-17 (ბრიუერი-19), 2:2 ჯოზეფსონი-2 (რ. კარტერი-4, კლარკსონი-15), 2:3 მელოუნი-18 (ჰედმანი-15), 3:3 კოვალჩუკი-33 (ენრიკე-33, პარიზე-35), 4:3 ჟიდლიცკი-2 (კოვალჩუკი-44, ელიაში-47), 5:3 პონიკაროვსკი-13 (სალვადორი-9), 6:3 კლარკსონი-29 (პონიკაროვსკი-18, ენრიკე-34), 6:4 ტ. სმიტი-2 (უოლასი-5, ოლი-3).

**აილენდერსი–პიტსბურგი 5:3**

**1:0, 2:1, 2:2**

გოლები: 1:0 რისონერი-1 (შტრაიტი-38, ბეილი-16), 1:1 დუპუი-24 (კ. ადამსი-12, პ. მარტინი-24), 2:1 ოკსოპო-19 (ბეილი-17, ჰამონიკი-20), 3:1 ბეილი-12 (პანდოლფო-2), 4:1 ოკსოპო-20 (ბეილი-18, ნილსენი-26), 4:2 ჯ. სტაალი-24 (ზ. მიხალეკი-9, პ. მარტინი-25), 4:3 მალკინი-47 (კენედი-21, კუკი-19), 5:3 ბეილი-13.

**მინესოტა–ფლორიდა 3:2 (ო)**

**0:0, 0:1, 2:1, 1:0**

გოლები: 0:1 აპშოლი-2 (ფლიშმანი-33, ბ. კემპბელი-46), 1:1 ბროძიაკი-21 (კლატერბეკი-12), 1:2 ფლიშმანი-25 (გარისონი-15, ბ. კემპბელი-47), 2:2 კრისტენსენი-6 (გილბერტი-17, მ. კოივუ-28), 3:2 მ. კოივუ-12 (გილბერტი-18, სტოუნერი-4).

**ჩიკაგო–სენტ ლუისი 4:3 (ბ)**

**1:1, 0:0, 2:2, 0:0**

გოლები: 1:0 ბიკელი-9 (ბოლანდი-18, ლედი-31), 1:1 სტინი-14 (რასელი-5, ჰასკინსი-5), 2:1 ბრუნეტი-12 (პ. კეინი-41, მარიან ჰოსა-46), 3:1 შარპი-31 (სტალბერგი-21), 3:2 არნოტი-17, 3:3 პერონი-18 (რასელი-6, კ. სტიუარტი-14). 3 - 3

ბულიტები გაიტანეს: ბოლანდი (ჩიკაგო).

**ფინიქსი–სან ხოსე 2:0**

**0:0, 1:0, 1:0**

გოლები: 1:0 ვრბატა-31 (რეი უიტნი-49, ჰანჟალი-24), 2:0 ვრბატა-32 (რეიუი უიტნი-50, ეკმან-ლარსონი-19).



ნოივირტმა ვაშინგტონს მოაგებინა

● ფიგურული ციგურაობა

## პირველი ოქრო კანადისაა

ნიცაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა. სპორტულ ცეკვებში ფავორიტის სტატუსი დაამტკიცეს კანადელებმა – **ტესა ვირტუმ** და **სკოტ მოირმა**. ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონებმა მოკლე და თავისუფალი პროგრამის შემდეგ 182.65 ქულა დააგროვეს და ოთხი ქულით გაუსწრეს შარშანდელ ჩემპიონებს, ამერიკელებს – **მერილ დევისსა** და **ჩარლი უაიტს**. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ფრანგული დუეტი **ნატალი პეშალასა** და **ფაბიან ბურზას** შემადგენლობით (173,18 ქულა).

ვირტუმ და მოირმა მეორედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული – მათ 2010 წლის შედეგი გაიმეორეს.

● სათხილამურო რბოლა

## ფურკადი ახალ ამპლუაში

ბიატლონში წლევანდელი სეზონის გმირმა, მსოფლიოს თასის მფლობელმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ფრანგმა **მარტენ ფურკადმა** საფრანგეთის პირველობაზე თხილამურებით რბოლაში მონაწილეობა მიიღო. ფურკადი თავისუფალი სტილით 15-კილომეტრიან დისტანციაზე გამოვიდა და 22-ე ადგილი დაიკავა. მან გამარჯვებულ **ივან ბუატიესთან** წუთი და 59.7 წამი წააგო.

*"ეს შედეგი არ შეესაბამება ჩემს დონეს"*, - ასე შეაფასა თავისი გამოსვლა ფურკადმა.

● კრივი

## მილიონად იყიდა და დააბრუნა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ვლადიმერ კლიჩკომ** აუქციონზე გაყიდა 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ოქროს მედალი. მაგრამ საქველმოქმედო აუქციონის დროს უცნაური რამ მოხდა: უცნობმა მსოფლიოს ჩემპიონის მედალი მილიონ (!) დოლარად შეიძინა და შემდეგ ჯილდო მის ძველ პატრონს დაუბრუნა. მისი თქმით, მან ეს ნაბიჯი მოკრივისა და მისი ოჯახის მიმართ პატივისცემის გამო გადადგა.

უკრაინული პრესის ინფორმაციით, ვაჭრობა თავად უმცროსმა კლიჩკომ შეწყვიტა. ის სცენაზე ავიდა და გამოაცხადა, რომ უცნობს მისი მედლის მილიონ დოლარად შეძენა სურს. ამის შემდეგ მყიდველის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მედალს მოკრივეს უტოვებს.

კლიჩკომ აღნიშნა, რომ ატლანტაში მოგებული ოქროს მედალი პროფესიულ კრივში მიღწეული წარმატებების საწინდარი გახდა. მოკრივემ მადლობა გადაუხადა მყიდველს იმ ბავშვების სახელით, რომელთა დასახმარებლადაც ჩატარდა ეს აუქციონი.

სულ აუქციონზე მილიონ-ნახევარ დოლარზე მეტი შეგროვდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი



ლებრონი დალასის წინააღმდეგ

# მოსაწყენი რიმეიქი

უკვე მეორედ ამ სეზონში ლოს ანჯელესის "სტეიპლს ცენტრის" პუბლიკას ფეხზე მდგომი უწევს ოვაციის გამართვა. პირველად მაყურებელი ფეხზე წამოაყენა **ლამარ ოდომმა,** რომელიც კალიფორნიაში თავისი ახალი კლუბით დაბრუნდა. ახლა სიტუაცია განმეორდა – "ოკლაჰომა" სტუმრად ეთამაშებოდა "ლეიკერსს" და საყვარელ ქალაქს ეწვია "თანდერის" ახალწვეული **დერეკ ფიშერი.** და თუ ოდომის "დალასის" დამარცხება მასპინძლებმა მოახერხეს, ფიშერი და მისი ახალი გუნდი კარგ ხასიათზე გაუშვეს კალიფორნიიდან.

მხოლოდ მატჩის ეკვატორამდე მიდიოდა თანაბარი თამაში – "ლეიკერსი" ლიდერის როლშიც კი იყო. მესამე მეოთხედი კი სტუმრებმა სასტიკი სხვაობით მოიგეს – 34:19, ხოლო **უესტბურკის** გიჟურმა ტყორცნამ (მცველმა ორ წამში შეძლო თავისი ნახევრიდან დაწყებული შეტევის დასრულება) "ოკლაჰომას" უპირატესობა ორნიშნა გახადა. ბოლო მეოთხედის მსვლელობისას სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა. ბოლო წუთებზე "თანდერის" ოდნავ მოდუნებამაც ვერ უშველა კალიფორნიულ კლუბს. მაქსიმუმი, რაც მან მოახერხა, საფინალო სირენამდე სხვაობის შვიდ ქულამდე შემცირება იყო. მასპინძლებს ეს ბოლო იმედი უესტბრუკის ორქულიანმა ჩაუქრო. რაც შეეხება ფიშერს, მან ყოფილ თანაგუნდელებს შვიდი ქულა ჩაუგდო. საინტერესოა, რომ ვეტერანმა პლეიმეიკერმა ყველა ქულა მეორე მეოთხედში ორი წუთის განმავლობაში ჩააგდო.

■ ■ ■

სამარცხვინოდ გამოიყურებოდა მოქმედი ჩემპიონი "დალასი" შარშანდელი ფინალის რიმეიქში. "მაიამიმ" ტეხასელ სტუმრებს მხოლოდ პირველ ნახევარში მისცა ბრძოლის საშუალება, უფრო სწორად, "ჰიტის" 11:4 გაქცევამდე, რომელიც დიდ შესვენებამდე შედგა. მანამდე კი "მაიამის" აწუხებდა **კარტერი,** რომელმაც თავისი 11 ქულიდან ცხრა სადებიუტო მეოთხედში დააგროვა. დამაჯერებლად დაბრუნდა **დელონტე უესტი.** გუნდიდან მოკვეთილ მცველს 15 თებერვლიდან მოყოლებული არ ჰქონდა არც ერთი მატჩი ჩატარებული და თვენახევრიანი პაუზის შემდეგ, პირდაპირ **ლებრონ ჯეიმსის** წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. დაბრუნება ეფექტური გამოვიდა - მცველმა მაშინვე სამქულიანი ჩააგდო. იმ მომენტში ოდომის ორი გარბენისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ ეს შეცდომები კარგად ახასიათებდა თამაშის იმ სცენარს, რომელიც მაყურებელმა მეორე ტაიმში იხილა.

საბოლოოდ, ნოვიცკიმ და კომპანიამ პრაქტიკულად ყველა სტატისტიკური მონაცემით წააგეს შეხვედრა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო "მაიამის" უპირატესობა მოხსნებში – 44:29. მესამე მეოთხედში 15:6 და მეოთხეში 11:0 გაქცევებმა "ჰიტს" იოლი გამარჯვება მოუტანეს.

| ინდიანა-ვაშინგტონი | 93:89 |
|---|---|

30:26, 22:23, 29:20, 21:20

ი: გრეინჯერი (25+7 მოხსნა), უესტი (14+8 მოხსნა), ჰილი (14).

ვ: კროუფორდი (20), ნენე (16+13 მოხსნა), უოლი (13), მარტინი (10+5 მოხსნა), ბუკერი (6+11 მოხსნა).

| პორტლენდი-ნიუ ორლეანი | 99:93 |
|---|---|

28:27, 23:27, 25:16, 23:23

პ: ოლდრიჯი (25+12 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (18), ბებიტი (16), ბატუმი (14), ჰიქსონი (12+6 მოხსნა), ფელტონი (12+10 პასი+3 ჩაჭრა).

ნ-ო: ბელინელი (27), ლენდრი (24+7 მოხსნა), ვასკესი (14+7 პასი), სმიტი (13+9 მოხსნა).

| მაიამი-დალასი | 106:85 |
|---|---|

24:29, 36:24, 20:19, 26:13

მ: ჯეიმსი (19+9 მოხსნა+5 პასი), ბოში (19+9 მოხსნა), უეიდი (16+5 პასი), ჰასლემი (16), ჩელმერსი (12+5 პასი+4 ჩაჭრა), კოული (10).

დ: ნოვიცკი (25+6 მოხსნა), ოდომი (12), კარტერი (11), რაიტი (11).

| ლეიკერსი-ოკლაჰომა | 93:102 |
|---|---|

30:18, 19:26, 19:34, 25:24

ლ: ბინუმი (25+13 მოხსნა+4 დაფარება), ბრაიანტი (23+9 მოხსნა), გასოლი (13+6 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (36+6 პასი), დურანტი (21+11 მოხსნა+5 პასი), პერკინსი (12+8 მოხსნა).

## ამბები

### ვარეჟაო ოლიმპიადაზე წავა

"კლივლენდის" ბრაზილიელმა ცენტრმა **ანდერსონ ვარეჟაომ** NBA-ის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიადაში. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კალათბურთელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ექნება. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელები პირდაპირ გავიდნენ ოლიმპიადაზე ამერიკის ჩემპიონატის მოგების შემდეგ,

ვარეჟაომ NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში დაახლოებით შვიდი კვირა გამოტოვა მაჯის ტრავმის გამო, მაგრამ მალე უნდა დაბრუნდეს მწყობრში.

ბრაზილიელმა ამ სეზონში ჩატარებულ 25 მატჩში საშუალოდ 10.8 ქულა და 11.5 მოხსნა დააგროვა.

### ნეშსა და ტერის მაიამი უნდათ

"ფინიქს სანზის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** აღიარა, რომ მოხარული იქნებოდა "მაიამიში" კარიერის გაგრძელებით.

*"სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით განვიხილავდი "მაიამის" წინადადებას. მომწონს ის, რაც ამ კლუბში ხდება. ბევრს არ უყვარს "ჰიტი", რადგან მათ ერთ გუნდში შეკრიბეს ნიჭიერი მოთამაშეები, მაგრამ სწორედ ეს არის პროფესიული მიდგომა. ეს ნამდვილი გუნდია. პატივს ვცემ მათ და, რა თქმა უნდა, მოვუსმენდი მათ წინადადებას",* - ამბობს ნეში ამერიკულ პრესაში.

დღეს "მაიამისთან" წაგების შემდეგ, **ჯეისონ ტერიმ** ზაფხულში კლუბის გამოცვლის სურვილის შესახებ გამოაცხადა. მან ისიც დაამატა, რომ ძალების მოსინჯვა სწორედ "ჰიტის" შემადგენლობაში სურს.

*"დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ "მაიამის" გაძლიერებას. NBA-ში გამოსვლის უდიდესი გამოცდილება მაქვს და ჩემი მოქმედებებით გარკვეულ დატვირთვებს მოვუხსნი ლებრონსა და უეიდს. ჩემთვის სულ ერთია, სასტარტო ხუთეულში ვითამაშებ თუ სათადარიგო ვიქნები",* - განაცხადა ტერიმ.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| დონკასტერი-ბირმინგემი | 1:3 |
| **II ლიგა** | |
| საუთენდი-ჩელტენემი | 4:0 |
| ბარნეტი-ტორკი | 0:1 |
| **ნასიონალი** | |
| ლუტონი-იორკი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვერონა-ჩიტადელა | 3:2 |
| **სერია C1/A** | |
| აველინო-ბენევენტო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნუმანსია-რეკრეატივო | 1:0 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-შტუტგარტი | 4:4 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-დინამო | 0:1 |
| ბრაუნშვაიგი-პადერბორნი | 0:0 |
| აინტრახტი-ბოხუმი | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კილი-პლაუენი | 1:1 |
| მეპენი-ვილჰელმშავენი | 2:4 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბაიერნი (ა)-მანჰაიმი | 1:2 |
| ფრანქფურტი II-კარლსრუე II | 1:3 |
| კასელი-მეინგენი | 2:0 |
| ვორმატია-პფიულენდორფი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კობლენცი-ვიდენბრუკი | 0:3 |
| ესენი-ლევერკუზენი II | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ლავალი | 3:2 |
| შატორუ-ამიენი | 4:1 |
| კლერმონი-ჰავრი | 2:1 |
| გინგამი-არლი | 1:1 |
| ისტრი-რეიმსი | 1:1 |
| ლე მანი-მონაკო | 0:1 |
| მეცი-ბულონი | 1:0 |
| ტური-ანჟერსი | 1:0 |
| სედანი-ლანსი | 1:1 |
| **ნასიონალი** | |
| ორლეანი-ნიმი | 1:1 |
| ბოვე-რუანი | 0:1 |
| კრეტეი-ბეზანსონი | 0:2 |
| ნიორი-შერბური | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| უტრეხტი-ექსელსიორი | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-მაასტრიხტი | 1:1 |
| ემენი-ჰელმონდი | 0:1 |
| ვოლენდამი-ალმერი | 3:1 |
| ფორტუნა-ვეენდამი | 1:0 |
| იგლზი-დენ ბოში | 1:1 |
| ოსი-ვილემი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე-გენკი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ეუპენი-ბორინაჟი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-მარიტიმუ | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-სანდნესი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-გრიოდიგი | 2:0 |
| ავსტრია (ლ)-სტ. პოლტენი | 1:1 |
| ლინცერი-სტ. ანდრა | 2:1 |
| ვენა-ბლაუ ვაისი | 2:0 |
| ჰარტბერგი-ლუშტენაუ | 0:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-არაუ | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ანკარაგიუჯუ | 1:0 |
| მერსინი-ქარაბუქი | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 2:0 |
| კორკი-ბრეი | 1:1 |
| დროგედა-დერი | 2:0 |
| უნივერსიტი-მონეგანი | 3:2 |
| შელბურნი-სტ. პატსი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-ლიმერიკი | 0:1 |
| გალვეი-ლონგფორდი | 1:1 |
| უექსფორდი-მერვუ | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოჰემიანსი-ვიქტორია | 1:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ზენიცა | 2:2 |
| **რუსეთი** | |
| ნალჩიკი-ტომი | 0:2 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ვოლინი | 0:3 |
| **პოლონეთი** | |
| ბელხატოვი-ლეხია | 1:3 |
| ვისლა-ლეგია | 0:0 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-ოსიეკი | 2:0 |
| ზაგრები-ზადარი | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| შიოფოკი-დიოშდიორი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| ოცელული-ვოინტა | 3:0 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-კრუოია | 0:0 |
| **მოლდოვა** | |
| ზიმბრუ-სფინტულ | 2:0 |
| მილსამი-ნისტრუ | 0:2 |
| ისკრა-ცსკა | 1:2 |
| დაჩია-აკადემია | 3:0 |
| ოლიმპია-ტირასპოლი | 0:0 |
| შერიფი-კოსტულენი | 4:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. IV მატჩები** | |
| ბილბაო-ცსკა | 71:73 |
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 76:69 |
| **საფრანგეთი** | |
| როანი-ორლეანი | 66:69 |
| პარიზი-ვილერბანი | 86:73 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სკა-დინამო (მ) | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 4:3 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:4 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ბლუზი | 2:5 |
| პელიკანსი-კერპეტი | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 6:3 |
| სლავია-ბოლესლავი | 3:0 |
| ბრნო-პლზენი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 4:2 |
| შელეფტეო-აიკ | 5:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ნადალი-მიურეი | *ნადალის უარი* |

## TV პროგრამა

### 31 მარტი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. დორტმუნდი-შტუტგარტი.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტურის წინ.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტურის წინ.
**14:30** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტურის წინ.
**15:00** სუპერკოლაჟი.
**16:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი (LIVE).
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. კატანია – მილანი (LIVE).
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ოსასუნა-რეალი (LIVE).
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ბარსელონა-ბილბაო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა – გოლი.
**11:45** NBA Action.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ნიუ იორკი.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ნიურბერგი-ბაიერნი (LIVE).
**19:30** RELIVE კალათბურთი. ევროლიგა. IV ტურის მიმოხილვა.
**20:00** ტელეჟურნალი – ტრანსვორლდსპორტი 29.03
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰერტა-ვოლფსბურგი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**23:00** NBA Action.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-პანათინაიკოსი. IV მატჩი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
**23:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ნანსი-პსჟ (LIVE).

**I არხი**

**13:55** ფეხბურთი. ევრო 2012 (UNDER 17). საქართველო-უკრაინა (LIVE).

### 1 აპრილი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ბარსელონა-ბილბაო.
**12:00** იტალიის შოუ.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**14:30** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. რომა-ნოვარა (LIVE).
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. ინტერი-ჯენოა (LIVE).
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ვალენსია-ლევანტე (LIVE).
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:45** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. იუვენტუსი-ნაპოლი (LIVE).
**00:45** სუპერკოლაჟი.
**01:10** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. ნიუელსი-რასინგი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ნანსი-პსჟ.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი
**14:15** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**15:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**16:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. ნიუკასლი-ლივერპული (LIVE).
**18:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტურიი. ვიტესი-ალკმაარი (LIVE).
**20:30** სუპერკოლაჟი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ჩიკაგო (LIVE).
**23:45** NBA Action.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**14:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ანტონიო.
**16:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტურიი. აიაქსი-ჰერაკლესი (LIVE).
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ლილი-ტულუზა (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**00:00** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.

### ამინდის პროგნოზი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 4 | 17 |
| ქუთაისი | 6 | 13 |
| ბათუმი | 8 | 14 |
| ფოთი | 7 | 14 |
| ზუგდიდი | 6 | 13 |
| გორი | 1 | 15 |
| თელავი | 5 | 19 |
| ბაკურიანი | -3 | 3 |
| გუდაური | -6 | 1 |
| მესტია | -2 | 2 |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2053 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6605 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6364 |
| 100 რუსული რუბლი | 5.6701 |

ჩოგბურთი. მაიამის ტურნირი

# შარაპოვას მეოთხე ცდა

მორიგ სათამაშო დღეს მაიამიში ქალებს შორის ფინალური წყვილი დაკომპლექტდა, აგრეთვე გაირკვა მამაკაცებს შორის ბოლო ორი ნახევარფინალისტი.

დღის ცენტრალურ მატჩში **მარია შარაპოვა** და **კაროლინ ვოზნიაცკი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. თამამად შეიძლება ითქვს, რომ დანიელი ჩოგბურთელის ნახევარფინალში მოხვედრა სიურპრიზი აღმოჩნდა. ინდიან უელსში მან ძალიან ცუდად ითამაშა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები გამოიტანა და მეოთხედფინალში კარიერაში პირველად დაამარცხა **სერენა უილიამსი**. იმ მატჩში კარომ სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა. სწორედ ასე უნდა ემოქმედა მას შარაპოვას წინააღმდეგ, მაგრამ ზედიზედ მეორედ ეს ვერ მოახერხა.

მარიამ შესანიშნავად დაიწყო შეხვედრა და მალე ორბრეიკიანი უპირატესობა მიიღო – 4:1. მაგრამ შემდეგ რუსმა კონცენტრაცია დაკარგა და შეცდომებს უმატა. შედეგად, ვოზნიაცკიმ ერთი მოწოდება დაიბრუნა, შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა, როცა მარიამ მერვე გეიმში სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა – 4:4. შარაპოვა პირველ სეტში გონს ველარ მოვიდა. შეცდომას შეცდომა მოსდევდა და საქმე იმით დასრულდა, რომ ვოზნიაცკიმ ზედიზედ სამ გეიმს ორი დაუმატა და 6:4 მოიგო.

მაგრამ შემდეგ შარაპოვამ ისევ მოიკრიბა კონცენტრაცია და მომდევნო ორი სეტი დამაჯერებლად ჩაატარა. მეორეში 4:0-ზე მან აღარ გაიმეორა პირველი სეტის შეცდომები და ვოზნიაცკიმ ველაფერი დაუპირისპირა რუსის კარგ თამაშს. ამ პარტიაში დანიელმა ცხრა უნებლიე შეცდომა დაუშვა – ზუსტად იმდენი, რამდენიც მთლიანად უილიამსთან მატჩში.

მესამე სეტში შარაპოვამ შუა ნაწილი ჩაატარა მაღალ დონეზე. პირველ გეიმებში ვოზნიაცკი ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას და ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებებს, მაგრამ 2:2-ზე მარიამ



მარია შარაპოვა

ბრწყინვალე ფორჰენდით გამოიყენა ბრეიკ-პოინტი. ცოტა ხანში ის უკვე 5:2-ს იგებდა.

თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა კაროლინმა შეძლო მობილიზება და შემდეგი ორი გეიმი უნაკლოდ ჩაატარა. მაგრამ მეორე ცდაზე მარიამ მაინც ჩააწოდა მატჩზე. ამასთან, შეხვედრის დასასრული საკმაოდ დრამატული გამოვიდა. მატჩბოლზე ხაზის მსაჯმა "აუტი" დაიყვირა, მაგრამ მთავარმა არბიტრმა **კადერ ნუნიმ** ზუსტი დარტყმა დააფიქსირა. ვოზნიაცკის "ჩელენჯი" აღარ ჰქონდა დარჩენილი, ამიტომაც მხოლოდ მსაჯთან კამათი შეეძლო, ამ უკანასკნელმა კი თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა. განაწყენებულმა დანიელმა ხელი არ ჩამოართვა მსაჯს, თუმცა, როგორც ტელეგამეორებამ აჩვენა, დანიელის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სამართლიანი იყო.

შარაპოვა მეოთხედ გავიდა მაიამის ტურნირის ფინალში და შეეცდება პირველად მოიგოს აქ მთავარი პრიზი. 2004 წელს მან **კიმ კლაისტერსთან** დათმო ფინალი, ერთი წლის შემდეგ **სვეტლანა კუზნეცოვასთან**, შარშან კი მან **ვიქტორია აზარენკასთან** წააგო. ამჯერად რუსის მეტოქე **აგნიეშკა რადვანსკა** იქნება, რომელმაც 6:4, 6:2 დაამარცხა **მარიონ ბარტოლი**. მათი შეხვედრა უამრავი რაოდენობის ბრეიკით აღინიშნა (აგნიეშკამ სამჯერ შეინარჩუნა თავისი მოწოდება, ბარტოლიმ – ვერც ერთხელ). ფრანგმა მატჩის მსვლელობისას დაზიანება მიიღო და კორტზე ექიმი გამოიძახა, მაგრამ 20-წუთიანმა პაუზამ ვერ უშველა. 4:2-ზე აგნიეშკამ სწრაფად აიღო ზედიზედ ორი გეიმი და მატჩის თავის სასარგებლოდ დაასრულა.

**1/2 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4) 4:6, 6:2, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 7) 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# მონაკო ამერიკას დაერია

მამაკაცთა ორი მეოთხედფინალი ნაკლებად საინტერესო იყო, ვიდრე წინა დღეს გამართული მატჩები. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ორ სეტში გაიფორმა კარიერაში **დავიდ ფერერზე** მერვე გამარჯვება. ეს შეხვედრა ძალიან ჰგავდა მათ ორი თვის წინანდელ დაპირისპირებას ავსტრალიის ღია პირველობაზე. პირველ სეტში ჯოკოვიჩი ჯაბნიდა თავის მეტოქეს უკანა ხაზზე თამაშში და საკმაოდ სწრაფად მოიგო პარტია – 6:2.

მეორე სეტი იმით დაიწყო, რომ ნოვაკმა კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ამით ბრძოლა არ შეწყვეტილა. ფერერმა მკვეთრად გააუმჯობესა თამაში, დარტყმების სიზუსტე გამოასწორა და ძალიან შეავიწროვა ჯოკოვიჩი, რომელსაც დაცვაში გადასვლამ მოუწია. ფერერმა სწრაფად გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ როცა ჩოგბურთელებმა მეცხრე გეიმამდე მიაღწიეს, დავიდის დამაჯერებელი თამაშისგან აღარაფერი დარჩა. მისმა უზუსტობებმა ნოვაკს ბრეიკის აღებისა და 5:4 დაწინაურების საშუალება მისცა. და კვლავ, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ფერერმა ისევ მოუმატა და მეორედ დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. კულმინაცია გახდა გათამაშება 30:30-ზე – დავიდმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მატჩბოლი არ დაეშვა და მოიგო ეს ქულა, რადგან ჯოკოვიჩმა ვერ გაუძლო დაძაბულობას და 21-ე დარტყმაზე შეცდომა დაუშვა. ამის შემდეგ ესპანელმა ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, საბოლოოდ კი გამარჯვებული ტაი-ბრეიკზე გამოვლინდა, რომელიც ნოვაკმა დამაჯერებლად ჩაატარა – 7:1.

ჯოკოვიჩის მეტოქე ნახევარფინალში **ხუან მონაკო** გახდა, რომელმაც მოულოდნელად იოლად დაამარცხა **მერდი ფიში**. ამერიკელმა, რომლის მწვრთნელი ცოტა ხნის წინ წყვილთა რეიტინგის ყოფილი პირველი ნომერი **მარკ ნოულზი** გახდა, ბევრი უნებლიე შეცდომა დაუშვა, ამასთან, სუფთად მოგებული მხოლოდ 7 ქულა ჰქონდა. ბუნებრივია, ფიშმა ვერ შეძლო თანაბარი ბრძოლის წარმართვა – 1:6, 3:6. შეგახსენებთ, რომ წინა ეტაპზე მონაკომ კიდევ ერთი ამერიკელი – **ენდი როდიკი** გამოთიშა ბრძოლას.

**1/4 ფინალი**

**ხუან მონაკო (არგ, 21)**-მერდი ფიში (აშშ, 10) 6:1, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:2, 7:6(1).

**1/2 ფინალი**







ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია